

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**ეტიმოლოგიური**

**ძიებანი**

**XI**

თბილისი

2014

**UDC (uak) 81373.6(0512)**

ე-871

„**ეტიმოლოგიური ძიებანი**“ ქართული და სხვა ქართველური ენების ლექსიკის ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევისადმი მიძღვნილი თემატური კრებულია.

კრებული 1987 წელს დაფუძნდა **აკად. ქეთევან ლომთათიძის** ინიციატივით.

კრებულში წარმოდგენილია გამოკვლევები, რომლებშიც ქართველურ ენათა ლექსიკური მასალის ანალიზისას მოხმობილია როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენათა სათანადო მასალა.

სარედაქციო კოლეგია:

**ავთანდილ არაბული** (მთავარი რედაქტორი)

**ნანა მაჭავარიანი**

**მურმან სუხიშვილი**

**მედეა დლონტი** (რედაქტორი)

**ვაჟა შენგელია**

**იზა ჩანტლაძე**

**მერაბ ჩუხუა**

**ზურაბ ჭუმბურიძე**

ტექნიკური რედაქტორი **ლევან ვაშაკიძე**

© თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**ISSN**

## ბაკურ გოგონია (ზუგდიდი)

### ლაზეთის ქალაქ ვიჯას სახელისთვის

ქალაქი ვიჯა, ანუ ჩამლიხემშინი (თურქ.: Çamlıhemşin /ჩამლიჰემშინ), როგორც მას ოფიციალური თურქული სახელით მოიხსენიებენ, მდებარეობს ლაზეთის (ჭანეთის) მხარეში – ისტორიულ კოლხეთში და დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკის რიზეს პროვინციის ვიჯას რაიონის (თურქ.: Çamlıhemşin ilçesi) ადმინისტრაციული ცენტრია. ის შექმნილია მანამდე არსებული სოფლების ვიჯე-თუდენისა (იგივე „ვიჯა-კუდელი“; თურქ. უწინ Aşağı Vice ან Vice-i süfla, ასევე Vicealtı და Vicedibi; დღევანდელი Aşağı Çamlıca-ს უბანი) და ვიჯე-ჟიდენის (თურქ. უწინ Yukarı Vice ან Vice-i ulya; დღ. Yukarı Çamlıca-ს უბანი) გაერთიანებით, თუმცა მთავარ ნაწილს ვიჯე-თუდენი იგივე ვიჯა-კუდელი წარმოადგენდა. ლაზები დღესაც რაიონის ცენტრის, ქალაქის სახელად ხშირად იტყვიან სწორედ „ვიჯა-კუდელი“-ს (მისი სახესხვაობაა „ვიჯა-კუდელი“<sup>1</sup>). ვიჯა-კუდელი ლაზების სამოსახლოდ მიიხნეოდა, ხოლო ვიჯე-ჟიდენი ხემშინების. საგულისხმოა, რომ ნიკო მართან, დიმიტრი ბაქრაძესთან (რუკაზე), ივანე ჯავახიშვილთან (რუკაზე), იური სიხარულიძესთან, ასევე მე-19 საუკუნის უცხოურ რუკებზე გვხვდება მხოლოდ ერთი სახელი „Виджа“ (ვიჯა) ან „Widsche(h)“ (ვიჯე).

1953 წლამდე ვიჯეალთის (Vicealtı) სახელით დასახლება არტაშენის ნაჰიეში (Ardeşen nahiyesi) შედიოდა. 1953 წელს მას ძველი ოფიციალური სახელი ვიჯეალთი „ჩამლიჯა“-თი (Çamlıca) შეუცვალეს და ის უკვე არტაშენის რაიონის (Ardeşen ilçesi) შემადგენლობაშია. თუმცა მაღევე, 1955 წელს ცალკე რაიონად გამოეყო. ყოველივე ეს განმტკიცდა 1957 წლის 27 ივნისის №7033-ე კანონის ძალით და საბოლოოდ დასრულდა 1960 წელს.

---

<sup>1</sup> ალექსივა, ბუჯაქლიში, 2009, 151;

ამ დროიდან ის გვევლინება დღევანდელი სტატუსითა და სახელწოდებით.

მხარის ადგილობრივი მოსახლეობა, ბუნებრივია, იმთავითვე ლაზური იყო. დღეისთვის კი რაიონის 27 სოფლიდან მხოლოდ რვაში<sup>1</sup> მეტყველებენ ლაზურად, ხოლო დანარჩენში, მიუხედავად იმისა, რომ არაოფიციალური, ძველი სახელების (და მათ შორის მიკროტოპონიმების) უმრავლესობა ქართველურია<sup>2</sup>, ცხოვრობენ ამ მხარეში მოგვიანებით მოსული ხემშინები – მუსულმანი სომხები. თავად ქალაქში შერეული ლაზურ-ხემშინური მოსახლეობაა.

როგორც დასახლების (მისი ძველი უბნების) მრავალფეროვან სახელებზე დაკვირვებით ირკვევა, ტოპონიმის მთავარი მაწარმოებელი სიტყვაა **ვიჯა** (**ვიჟა** || **ვიჯე**). ის ცალკეც იხმარება ქალაქის სახელწოდებად, განსაზღვრებების გარეშე. რთული შედგენილობის სახელებიდან კი ზოგიერთის განსაზღვრება თურქულია (მ.შ. ოსმალური), ზოგი კი ლაზური – სახელწოდებებში **Aşağı Vice**, **Vice-i süfla**, **Vicealtı** და **Vicedibi**, **aşağı-**, **süfla**, **altı-** და **-dibi** ნიშნავს „ქვემოს, ქვედას“, ხოლო **Yukarı Vice**-სა და **Vice-i ulya**-ში **yukarı** და **ulya** „ზემოს, ზედას, მაღლის“ აღმნიშვნელია. შდრ.: ლაზურად „ვიჯე-თუდენი“-ში **-თუდენი** ასევე „ქვემოს, ქვედას“ აღნიშნავს, ხოლო „ვიჯე-უილენი“-ში **-უილენი** – „ზემოს, ზედას“. ეს სახელები იური სიხარულიძეს აქვს მოხმობილი „ჭანეთი“-ს მეორე ტომში (სიხარულიძე, 1979, 7), რომელიც მას ინფორმატორებისგან ჩაუწერია. „ვიჯა-კუდელი|ვიჟა-კუდელი“-ში მეორე ნაწილი **-კუდელი** ლაზურ-მეგრულად „კუდს“, ამ შემთხვევაში კი „ქვედას, ქვემოს“ ბოლოს აღნიშნავს<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> 1. აფინხო||აბინხო||აბიშხო||ობინხო (თურქ.: Köprübaşı), 2. დვანდი|ღვანთი (Çayırüzü), 3. ქომილო||წომილო (Muratköy), 4. მეკალესკირითი|მეკალესკირითი (Dikkaya), 5. ბეიჯა (Behice), 6. ზიბარი (Güllü), 7. მწანუ|მწანო||წანო (Topluca) და 8. ორენკითი|ორენკითი (Kadıköy);

<sup>2</sup> ლაზურთან ერთად გვხვდება ასევე საკუთრივ ქართული რამდენიმე სახელი.

<sup>3</sup> ტოპონიმიკის ამგვარი წარმოება დამახასიათებელია მეგრულისთვისაც – შდრ. აფხაზეთის მხარეში, გალის

ჩვენთვის საინტერესოა ვიჯა-ს და მისი სახესხვაობების, ვიჟა-სა და ვიჯე-ს რაობა და ეტიმოლოგია<sup>1</sup>. ლაზების ცნობით, ამ მხარის სომხური მოსახლეობა უფრო ვიჯე-ს ხმარობს, თვითონ კი ვიჯა-ს იტყვიან. მეკალესკირითელი და ღვანდელი ლაზები სულაც „ვიჟა“-ს ეძახიან.

ვინაიდან ამ სიტყვის მნიშვნელობა მხარის ძირძველ მოსახლე ლაზთათვის დღეს გაუგებარია, მისი ახსნა, პირველ ყოვლისა, უნდა ვცადოთ ქართველური ენობრივი სისტემის სხვა წევრების მონაცემთა მოშველიებით. მით უფრო, რომ ეს სიტყვა (ვიჯა||ვიჟა/ვიჯე) მხარესთან ისტორიულად დაკავშირებულ, მოგვიანებით მოსულ ხალხთა ენებზე – თურქულად, სომხურად თუ ბერძნულად არაფერს ნიშნავს.

ზოგადად, ადგილის სახელდების არაერთი პრინციპი არსებობს, სრულიად შემთხვევითი მოვლენიდან დაწყებული, ბუნებრივი თუ სხვა სახის მახასიათებლების აღნიშვნით დამთავრებული. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება – ვიჯას მხარე განსაკუთრებით მდიდარია თავისი თერმულ-მინერალური წყლებით. ქალაქის შემოგარენში ასეთი თვისების არაერთი წყარო მოედინება. რაიონშივეა ცნობილი აიდერის სპაც (თურქ.: Çamlıhemşin Ayder kaplıcaları).

დღეს ამ მხარის ლაზურად წყაროს „ფულარი||ფოლარი“-ს (puğari||poğari) ეძახიან, ხემშინები „puğer“-ს, რომლებიც თურქული „pınar“-ის (ფენარ) სახესხვაობას წარმოადგენს<sup>2</sup>. ასევე იმავე მნიშვნელობით ითქმის „წართოლი“ (ათინასა და არტაშენში) და „წკართოლი“ (ვიწესა და არტაბში), რაც პირდაპირ „წყალთვალი“-ს ნიშნავს. მუავე წყლის (ასევე საჭმლის, ხილის) აღსა-

---

მუნიციპალიტეტის სოფელ ვეშკუდელის სახელი, რომელიც „ველის (..ვეშ-) ბოლოს, ქვემო ველს“ აღნიშნავს, იგივე ველისკუდი (ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1987).

<sup>1</sup> დღევანდელი ოფიციალური თურქული სახელი Çamlıhemşin შედგება „ჩამღე“-სა (თურქ.: çamlı – ფიჭვიანი) და „-ხემშინ“-ისგან (თურქ.: hemşin – მუსულმან სომეხთა სახელი), ხოლო მისი წინამორბედი Çamlıca „ფიჭვნარს“ აღნიშნავს.

<sup>2</sup> შდრ.: თურქ. don (ყინვა, ჭირხლი) > ლაზ. დოდი (იგივე), ðn (წინ, წინა) > ლაზ. ოდიოგი (იგივე);

ნიშნავად სოფ. სარფში **მჟაი წკა(რ)**-ის იტყვიან. ჩხალელ (თურქ. Düzköy) ლაზებში იგივე სიტყვა **მჟაჲ**-ს სახითაა დამოწმებული (შდრ. მეგრული **ბჟე**); გამქრალია საკუთრივ თერმული წყლების აღმნიშვნელი ძირეული ლაზური სიტყვა. მეტყველებისას თურქულს იყენებენ. ხოფისა და არქაბის ლაზურში გამოვლენილი ცხელი წყლის აღმნიშვნელი **აბანოშ წკა(რ)**ი გვიანდელი მოვლენა თუ იქნება.

მიგვაჩნია, რომ მხარის მინერალურ-თერმული წყლებით სიუხვის გამო, ქალაქის სახელი **ვიჯაღვიჯა**, შესაძლოა, სწორედ ამ თვისებათა მქონე წყაროების აღმნიშვნელი ლაზური სიტყვა იყოს.

შევადართო ქართველურში დღეისთვის ცნობილი შესაძლო შესატყვისები – სალიტერატურო ქართულად მჟავე წყალს **ვეძა** ჰქვია (*ქველ*, IV), რომელიც **ვერძა**-ს (რაჭულში), **ვეშა**-სა (გუდამაყრულში, მთიულურში) და **მუჯა**-ს (ხევისურულში, მთიულურში, გუდამაყრულში, ფშაურში) სახითაც გვხვდება:

- „ვეძა – წყარო მლაშე“ (*ნ. ჩუბინაშვილი*, 1961);
- „ვერძა – მადნის წყალი“ (*ალ. ღლონტი*, 1984);
- „ვეშა – ნ. ვეძა (მჟავე მინერალური წყალი)“ (*იქვე*);
- „მუჯა – მლაშე მიწა, სადაც ნადირნი მოვლენ სალოკავად.“ (*ნ. ჩუბინაშვილი*, 1961); „ოდნავ მომჟავო ცუდი გემოს წყალი; მჟავე წყალი; მლაშე ან მჟავე მინერალური წყალი“ (*ალ. ღლონტი*, 1984);

მეგრულად კი მათი შესატყვისია **მენჯი**, **მეჯი**, **მეჯა**, **მუჯა** და **მუჯა**:

- „მენჯი – (რ. მუჯა у Орб.) солончакъ; минеральные воды, бани, ср. ჯიმუ.“ (*ციფშიძე*, 1914, 279); „მლაშობი, მარილ-წყალი, მლაშე წყალი, ვეძა“ (*ა. ქობალია*, 2010);
- „მეჯი – მლაშობი (იხ. მენჯი)“ (*ა. ქობალია*, 2010);
- „მეჯა – მჟავე; მარილიანი“ (*იქვე*);
- „მუჯა – ვეძა, მლაშობი“ (*იქვე*);
- „მუჯა – მლაშობი, მჟავე წყალი“ (*იქვე*);

სვანურში მინერალური წყლის სახელად **სგიმ** ითქმის, რომელიც ზემოთ ხსენებულ სიტყვათა წრეში არ შედის.

საქართველოში ამ სახელით არაერთი ტოპონიმია ცნობილი. მოვიხმობთ რამდენიმეს:

- **ვეპათხევა** (იგივე **ვეძა**) – *სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტში*;

- **ვეპათხევი** – *სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტში*;

- **ვეძები** – *სოფელი კახეთში, ახმეტის მუნიციპალიტეტში*;

- **ვეძისი** – *ძველად სოფელი თბილისის მახლობლად. დღეს ქალაქის ერთ-ერთი უბანი მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში*;

- **ოძისი** – *სოფლების სახელი ხაშურისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში*;

- **ვეშაწყარო** – *ჰიდრონიმები დუშეთის მუნიციპალიტეტსა და ხევში, სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში*;

- **ვეზური** – *სოფლისა და მდინარის სახელწოდება ჯავის მუნიციპალიტეტში*;<sup>1</sup>

- **მენჯი** – *სამეგრელოში, სამკურნალო თერმული წყლებით ცნობილი სოფელი და კურორტი სენაკის მუნიციპალიტეტში; სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში; ადგილის სახელი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფლებში კირცხში, ლესიჭინესა და მუხურში*;

- **მენჯიშ დუდი** – *ადგილის სახელი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფ. კირცხში*;

- **ომენჯე** – *ადგილის სახელი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფ. თაიაში*;

- **მუჟავა (მუჟა)** – *სოფელი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში*;<sup>2</sup>

საინტერესოა კახეთში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფლის სახელი **ვეჯინი**, რომელიც წყაროებში „ვეჯინი“-ს ფორმით არის ნახსენები X საუკუნეში აფხაზთა მეფე კონსტანტინე III-ისა და კახეთის მთავარ კვირიკე I-ის ჰერეთის მთავარ ადარნასე პატრიკთან დაზავების ამბებთან დაკავშირებით, რომელიც საცილო ყოფილა კახელებსა და ჰერებს შორის:

---

<sup>1</sup> მიგვანია, რომ მასში გამოიყოფილი **ვეზ-** ძირიც ამავე რიგისაა.

<sup>2</sup> ამავე რიგს ხომ არ მიეკუთვნება აჭარის მდინარე **მეჯინისწყლის** სახელის პირველი ნაწილი **მეჯი(ნი)**-?

„მაშინ უკმო კვრიკე ქორეპისკოპოსმან კოსტანტი აფხაზთა მეფესა; ჩავიდეს ჰერეთად და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა.“  
(„ქართლის ცხოვრება“, I, 1955);

ასევე „ვეჯინის ხევი“ – ხეობა გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ქვემო ქართლში;

მიგვანია, რომ „ვეჯინი|ვეჟინი“-ში სოწრედ ზემოთ ხსენებული ვეძა/ვეშა-ს შესატყვისი ვეჯ-ვეჟ- ფუძე გამოიყოფა, ხოლო -ინ(ი) ჩვეულებრივ, გავრცელებული ტოპონიმიკური მაწარმოებელია. გურამ ბედოშვილს ვეჯინი|ვეჟინი გაურკვეველი წარმოშობის სახელად მიაჩნია (ბედოშვილი 2002, 154).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლაზეთის ქალაქ ვიჯას (ვიეას) სახელშიც სწორედ მქავე, მლაშე წყლის ადმინიშენელი ლაზური სიტყვა უნდა გვექონდეს შემონახული. ლაზური დიალექტური სახესხვაობები ვიჯა|ვიეა და ვიჯე ქართული ვეძა-ს სრულყოფილ შესატყვისად გვესახება ზანურ-ქართული ჯმ მონიშნობიერების გათვალისწინებით.

შდრ.: ლაზ.-მეგრ. ჯუმა/ჯიმა – ქართ. ძმა; მჯვე-ში/მჯვე/ჯვე/ჯვეში – ძველი; ჯირი/ნჯირი/ონჯირუ – ძილი; სიჯა/სინჯა – სიძე; ჯა/ნჯა/ჯალ(ეფე) – ძელი/ძელები; ჯუმორი/ჯომორი – ძმარი და სხვა.

ჯმ შესატყვისება შდრ. თავად ლაზურის მაგალითზე: 2 (ორი), გარდა „ჟურ“-ისა, ათინურ-არტაშენულად იქნება „ჯურ“ (მსგავსი მოვლენა თვით ვიჯას რაიონის მეტყველებისთვისაცაა დამახასიათებელი), მქა|ბქა / მჯა|ბჯა (რძე), მჯვაბუ|ჯვაბუ / მქვაბუ|ქვაბუ (გომბეშო), ომჯვარუ / ომქვარუ (ვეერვა), ჯილენი / ჟილენი (ზემო); ნასესხებ სიტყვებშიც: ჯანგი / მქანგი|ქანგი (ქანგი), (იგივე მოვლენაა შავშურ, კლარჯულ და ჰერულ დიალექტებშიც). შდრ. ასევე ჯალეთი|ქალეთი (იგივე ჩელეთი) – ადრინდელი შუა საუკუნეების კახეთის ცენტრის სახელი. საგულისხმოა, რომ კახურ-ჰერული ვეჯინი|ვეჟინი-ს მსგავსად, ლაზურშიც სწორედ ჯმ მონაცველობა გვაქვს – ვიჯა|ვიეა.

ასევე საკუთრივ ლაზურის წიადში წარმოშობილად მიგვანია ამ ქალაქის სახელის -ე ხმოვნის სახესხვაობა ვიჯე-ც, რომელსაც უფრო ხემშინები ხმარობენ. მსგავს მოვლენას ჩვენ



ლაზეთის სხვა ტოპონიმებშიც ვაწყდებით – ბახთა|ბახთე, ბუ-  
ნა|ბუნე, გიდრევა|გიდრევე, დუთხა|დუთხე, კისა|კისე, ლომა|ლომე,  
ღერა|ღერე და არაერთი სხვა.

დავასკვნით, რომ ქალაქის სახელი ლაზეთში ვიჯა და მი-  
სი სახესხვაობანი ვიუა და ვიჯე მიგეაჩნია მუავე, მლაშე წყლე-  
ბის აღმნიშვნელ ლაზურ სიტყვად, რომელიც შემოგვინახა ტო-  
პონიმოკამ. ის სრული კანონზომიერი შესატყვისი ჩანს ამავე  
მნიშვნელობის ცოცხალი ქართველური სიტყვებისა ვეძა/ვეშა/მუ-  
ჯა/მუჟა/მენჯი/..., რომელთა ამოსავალ ფორმად დასახულია  
**\*უქა** (კლიმოვი, 1998, 53; ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 202; ფენ-  
რიხი, 2007, 162).

### გამოყენებული ლიტერატურა:

ალექსანდრე ღლონტი, „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კო-  
ნა“, თბილისი, 1984;

ალიო ქობალია, „მეგრული ლექსიკონი“, თბილისი, 2010;

გურამ ბედოშვილი, „ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტი-  
მოლოგიური ლექსიკონი“, თბილისი, 2002;

გურამ კარტოზია, “ლაზური ტექსტები”, II, თბილისი, 1993;

გივი ელიავა, გივი ფარულავა, გრიგოლ შენგელია, “ჩხორო-  
წყუს რაიონის ტოპონიმოკის კატალოგი”, თბილისი, 1983;

დიმიტრი ბაქრაძე, “არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა  
და აჭარაში”, ბათუმი, 1987;

იური სინარულიძე, “ჭანეთი (ლაზეთი), საისტორიო გეოგრა-  
ფიის მასალები”, I, ბათუმი, 1977;

იური სინარულიძე, “ჭანეთი (ლაზეთი), საისტორიო გეოგრა-  
ფიის მასალები”, II, ბათუმი, 1979;

ნიკო ჩუბინაშვილი, „ქართული ლექსიკონი რუსულის თარ-  
გმანითურთ“, თბილისი, 1961;

საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფი-  
ული ლექსიკონი, თბილისი, 1987;

„ქართლის ცხოვრება“, ტ. 1, თბილისი, 1955;

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ), ტ. 4, თბილისი, 1955;

ჰინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, თბილისი, 2000;

**Georgij A. Klimov**, “Etymological Dictionary of the Kartvelian Languages”, Berlin, 1998;

**Heinz Fänrich**, “Kartwelisches Etymologisches Wörterbuch”, Leiden, Boston, 2007;

**İrfan Aleksiva, İsmail Bucaklışı**, “Svacocho - Laz Yer Adları Sözlüğü”, İstanbul, 2009;

**Иосиф Куншудзе**, “Грамматика Мингрельскаго (Иверскаго) Языка с Хрестоматиею и Словарем”, С.-Петербургъ, 1914;

## **Bakur Gogokhia**

### **About the name of Vija town in Lazeti**

#### **Summary**

Today it is impossible to understand the meaning of the name of Vija (other variants: **Viža, Vije**; Official Turkish name: Çamlıhemşin) town in Lazeti province by modern Lazuri of Kartvelian stock, as well as with the languages of historically related and later settler peoples of this area – Turkish, Armenian or Greek. In his case first of all we should to use data of other members of Kartvelian language group. It is well known that Vija district is rich with its thermal and mineral springs. In literary Georgian mineral water, brine called **Veza** (dialectal variants: **Verza, Veša, Muja** and in Megrelian **Menji/Meji/Meja/Muja/Muža**). According to Zan-Georgian j||ʒ and intra-Lazuri j||ž equivalences we can say that the name Vija/Viža/Vije is Lazuri word for mineral (salty) water kept as toponym and it corresponds to Kartvelian \*weʒ<sub>1</sub>- form. Moreover we have these abovementioned words used as toponyms in all over Georgia.

## რაფოსლავ კანაკოვსკი (ბოლონეთი, კრაკოვი)

სამართო იბერიულ-კავკასიური ლექსიკონი:

ქართ. „ნაცარი“ ღა აზს. a-rac<sup>a</sup> „ნახშირი“ - ეტიმოლოგიური შვედისპირებისათვის

ქართული სიტყვას ნაცარი აკლია კორელატი მონათესავე ქართველურ ენებში. ქართულში პარალელურად გამოიყენება სიტყვა „ტუტა“, რომლის ბგერით ცვლილებათა გათვალისწინებით პოვნირია ყველა ქართველურ ენაში, შდრ.:

მეგრ. **tuṭa** < \***tuṭa**; ლაზ. **mṭuṭa** < \***tuṭa**; სვან. **ṭaṭ** < \***tuṭ** < \***tuṭa**.

სვანურში იხმარება მეორე ვარიანტიც:

**daṭ** < \***ndaṭ** < \***mdaṭ** < \***mṭaṭ** < \***mṭuṭ** < \***mṭuṭa** < \***tuṭa**.

სინქრონიული თვალსაზრისით, ქვემოთ განხილული სიტყვა მიეკუთვნება ნასახელარი დერივატების ჯგუფს, რომლის მაწარმოებელია კონფიქსი: **na-...-ar**. თუმცა ამ დერივაციული კლასის პროდუქტიულობა თანამედროვე ენაში ძალიან შეზღუდულია, ყველაფრის მიუხედავად, საზღვარი მორფმათა შორის ამ შემთხვევაში ჯერ კიდევ ენის მატარებლებისათვის ადვილად საგრძნობია, შდრ.:

**na-balax-ar-i** ← **balax-i** : „ადგილი, სადაც ადრე ბალახი იზრდებოდა“

**na-venax-ar-i** ← **venax-i** : „ადგილი, სადაც ადრე ვენახი იზრდებოდა“

**na-saxl-ar-i** ← **saxl-i** : „სახლის ნანგრევი; ადგილი, სადაც ადრე სახლი იდგა“

თუმცა ამ დერივაციულ ჯგუფში ადგილების სახელწოდებათა გარდა შედის აგრეთვე პირთა განმსაზღვრელი არსებითი სახელები, მაგ.:

**na-giž-ar-i** ← **giž-i** : „ვინც ადრე გიჟი იყო, ვინც საგიჟეთში იმ-კურნალა“.

ქართული სიტყვის ნაცარი აგებულება ასეა წარმოდგენილი:

**na-c-ar-i**, სადაც **na-** პრეფიქსია, **-c-** არის ძირი, **-ar** სუფიქსი-დეტერმინანტია.

ამ არსებითი სახელის წარმომავლობა ხდება გაცილებით უფრო გასაგები, თუ მიიღება მხედველობაში შესაძლო კავშირი აფხაზურ-აბაზურ „ნახშირის“ აღმნიშვნელ სიტყვასთან: აფხ. **a-ra-cʷa**; აბაზ. **ra-cʷa**.

ეტიმოლოგიური ანალიზისათვის მნიშვნელოვანია მორფმატა შორის მართებული საზღვრების დადგენა სახელურ ფუძეში. ამ სიტყვის სეგმენტაცია შემდეგია:

**r-a-cʷa**, სადაც **r-** გაქვავებული კლას-ნიშანია, **-a-** ანაფტიქსური ხმოვანია, ხოლო **-cʷa** სახელური ძირი.

აფხ.-აბაზ. ძირი **-cʷ-** შეპირისპირდება ქართ. **-c-** სთან.

ქართულში ამ შემთხვევაში მოსალოდნელი ფუძისეული სიტყვა: †**ca** გამოვლენილი არ არის, რაც გამონაკლისია.

ამის მიუხედავად, ამოსავალი მნიშვნელობა შეიძლება იყოს აღდგენილი:

ნაცარი = „ნახშირის ნარჩენები (მაგ. ღუმელში)“; პარალელური სემანტიკისათვის შდრ.: ქართ. **na-saxl-ar-i** ← **saxl-i** : „სახლის ნანგრევი, ნარჩენები“.

ერთადერთი ფონეტიკური ცვლილება აფრიკატის დელაბიალიზაციით მჟღავნდება: \***-cʷa-** > \***-ca-**.

ძირი **cʷa-**, სავარაუდოდ, უკავშირდება ძირს **cʷa-**, შდრ. ქართ. ზმნა **čva**, (აგრეთვე ზმნურ კომპოზიტში: **da-čv-a**; **še-čv-a**), რომელიც დაფიქსირებულია ჩერქეზულ ქვეჯგუფშიც, თუმცა საგრძნობი ფონეტიკური ცვლილებებით, შდრ.:

უბიხ.  $g^i a(-n-)c^w a$ ; ად.  $\xi^w a-mi\zeta i$ ; ყაბ.  $.fa-mi\zeta < * \xi^w a-mi\zeta$  „ნახში-რი“.

ეჭვს ბადებს უბიხ. ძირი  $c^w a$ , ვინაიდან ამის ნაცვლად, რეგულარულ კანონზომიერებათა თანახმად, მოსალოდნელია ძირი:  $\zeta-c^w a$ , რომელსაც შეესატყვისება:

ადიდ.  $\xi^w a- < * \zeta^w a-$  აფრიკატის გამარტივების გზით; ყაბ.  $.fa- < * \xi^w a- < * \zeta^w a-$ .

ჯერ აფრიკატმა განიცადა გამარტივება (როგორც ადილეური), შემდგომ გადავიდა ლაბიო-დენტალურ სპირანტში.

რაც შეეხება ბგერითი კანონზომიერების დარღვევას უბიხურში, ამ კონკრეტულ მაგალითში ეს შეიძლება განიმარტოს ამგვარად:

როგორც წესი, ს.ჩერქ  $*c^w-$ -ს რეგულარულად შეესატყვისება შესაბამისი: უბ.  $c^w$ ; ად.  $\xi^w$  და ყაბ.  $.f$ , მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს არის ამოსავალი  $*c^w$ . სხვა სიტყვით, თუ ეს არ არის შეძენილი ადრინდელი ხშული თანხმოვნისაგან პალატალიზაციის შედეგად:  $*k^w- > *k^w- > c^w-$ , რასაც ამ შემთხვევაში მხოლოდ ვარაუდის ფარგლებში რჩება.

ამაზე მიუთითებს სემანტიკურად დაკავშირებული სიტყვები სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, მაგ.:

დიდ.  $r-i-k^w a$ ; ჰინ.  $r-e-k^w a$ , სადაც ხმოვნები:  $-i-$ ;  $-e-$  განვითარებულია.

მაგალითები დელაბიალიზებულ თანხმოვანთან:

ბაგბ.  $d-a[k]-ar$ ; ხუნდ.  $re-[ki]-ne$ ; ბეჟ.  $j-e[k]-al$ ; ჰუნზ.  $r-e[k]-a$ ; უდ.  $bo-[k]-sun$ .

მაგალითები, რომლებშიც ძირეულმა თანხმოვანმა განიცადა დეზაბრუპტივიზაცია (ზოგ შემთხვევაში დელაბიალიზაციითურთ):

ანდ.  $b-i[ku]-du$ ; კარ.  $re-[k^w a]-\lambda a$ ; ჭამ.  $b-i[k^w]-na > b-i[ku]-na$ .

მაგალითები, რომლებიც სხვა ბგერით ცვლილებათა შემცველია, მაგრამ ამოსავალი ძირის ამოცნობა შესაძლებელია:

ინგ. d-a[g]a; დარგ. u-[χ]-es; ლეზგ. [k:] -un; ად. u[g] -as; რუტ. w-ur[x<sup>w</sup>] -as; კრიწ. u[ga] -ჭu; ბუდ. su[ga] -ჭi; თაბ. u-b-[gu]b.

ოთხკუთხა ფრჩხილებში [ ] მითითებულია გაუნაწილებელი ზმნური ძირი.

ყველა ზემოთ მოყვანილი სიტყვის მნიშვნელობაა: „წვა, დაწვა“.

უხვი შედარებითი მასალა დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ იბერიულ-კავკასიურ ფუძე-ენაში აღსადგენია ძირი: \*<sup>w</sup>ka-. ამ საკითხზე დაწვრილებითი მსჯელობა აღემატება წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს და მომავალში დეტალურად იქნება განხილული ცალკე სტატიაში.

ზემოთქმულის შუქზე ს.ავხ.-აზაზ. ძირი <sup>w</sup>ka- უნდა მომდინარეობდეს ადრინდელი ს.ჩერქ. \*<sup>w</sup>ka- < \*<sup>w</sup>i- ისაგან, რაც შეძენილია ს.იბერ.-კავკ ძირისაგან: \*<sup>w</sup>i-.

რაც შეეხება ჩერქეზულ ენათა ფორმებს, რომლებშიც დასტურდება სისინ-შიშინა ნაპრალოვნები, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს თანხმოვნები აგრეთვე წარმოქმნილია ამოსავალი აფრიკატისაგან <sup>w</sup>-, რომელიც აფხაზურ-ჩერქეზული ფუძე-ენის საწყის საფეხურზე უნდა იყოს პოსტულირებული. არტიკულაციის უკან გადაწევა: \*<sup>w</sup>- > \*<sup>w</sup> - ქრონოლოგიურად გვიანდელი უნდა იყოს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უბიხურმა შემოინახა ყველაზე არქაული ფონეტიკური ვითარება, რაც იმით იხსნება, რომ თანხმოვანი პოზიციურად კომპოზიტის მეორე წევრშია.

ზემოთ წარმოდგენილი პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია დეტალური ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, რასაკვირველია, არა მხოლოდ აფხაზურ-ადიღურ, არამედ განსაკუთრებით სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემთა გათვალისწინებით.

ზემოთ განხილულ სიტყვასთან დაკავშირებულია აგრეთვე უბ. ფუძე ca-, რასაც ადასტურებს უბიხ. ca-ni „ხმალი“. როგორც

ჩანს, უბიხ. **ca-ni** ნაზმნარი დერივატია, რომელიც იწარმოება ძირი-საგან **c-** „დაწვა“.

შეგვიძლია ვივარაუდოთ ამ სიტყვის შემდეგი სემანტიკური განვითარება:

ცეცხლი → იარაღი → ხმალი.

კიდევ ერთი მოვლენა იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას.

შედარება ქართული სიტყვებისა **na-c-ar-i** და **(da-/še-)-cv-a** (ორივე სემანტიკურად მეტად ახლო დგას ერთმანეთთან) გვიჩვენებს, რომ ერთ ენაში თანაარსებობს ორი (სემანტიკურად მჭიდროდ დაკავშირებული) ძირი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ რომელიმე ფონეტიკური თვისების ქონებითა ან უქონლობით:

ა) ძირი: **c-** < \***cʷ-** < \***čʷ-** დეზაბრუპტივიზებული და დელაბიალიზებულია.

ბ) ძირმა: **čʷ-** როგორც აბრუპტივიზაცია, ისე ლაბიალიზაცია შეინარჩუნა.

პარალელური მოვლენა შემოწმებულია როგორც უბიხურში, სადაც გვაქვს:

**agʷa(-n)-čʷa** „ნახშირი“ და ზმნური ძირი: **ca-** „დაწვა“, შდრ. ზემოთაც: **ca-ni** „ხმალი“, ისევე აფხაზურში, სადაც პოვნიერა:

**a-ra-cʷa** „ნახშირი“ და **a-m-ca** „ცეცხლი“, სადაც **-m-** გაქვავებული კლას-ნიშანია.

ამის ანალოგიური მაგალითი დადასტურებული უნდა იყოს ქართ. **sa-č-ol-i** :: **sa-re-c-el-i** -ში.

ორივე სიტყვაში თავკიდური **sa-** პრეფიქსია, **-ol-/-el-** კი სუფიქს-დეტერმინანტები.

ამავე წყვილის მეორე წევრში ივარაუდება ინფიქსი \***-re-**, სადაც **r-** წარმოადგენს გაქვავებულ კლას-ნიშანს და **-e** არის ანაფტიქსური ხმოვანი.

ამ ყურადსაღებ საკითხს ესაჭიროება მომავალი სიღრმისეული კვლევა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

კვახაძე 2014: ა. კვახაძე, ჩერქეზულ ენა-ვილო-თქმათა სემანტიკურ-შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

კლიმოვი, ხალილოვი 2003: Климов Г. А., Халилов М. Ш., Словарь кавказских языков. Сопоставление основной лексики, Москва.

ფოგტი 1963 : H. Vogt, Dictionnaire de la langue oubykh, Oslo.

ქურდიანი 2007: მ. ქურდიანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, თბილისი.

Radoslav Kanarkovski (Poland, Cracow)

From common Ibero-Caucasian vocabulary:

On etymological relationship between Georg. *nacari* „ash” and Abkh. *a-ra-c<sup>w</sup>a* „coal“.

### Summary

In the present paper the possible connection between Georg. *na-c-ar-i* “ash” and Abkh. *a-ra-c<sup>w</sup>a* “coal” is considered. Taking into account comparative data, mainly from Dagestanian languages, these words can be derived from the Proto-Ibero-Caucasian root: \**k<sup>w</sup>i*- “burn”, where occlusive velar consonant underwent into dental affricate: \**k<sup>w</sup>-* > \**č<sup>w</sup>-*. Desabruptivization: \**č<sup>w</sup>-* > *c<sup>w</sup>-* (as in Abkh. *a-ra-c<sup>w</sup>a* “coal”) and delabialization: \**c<sup>w</sup>-* > *c-* (as in Georg. *na-c-ar-i* “ash” or Ub. *ca-ni* “sword”) are secondary phonetic changes.



## ლევან კელაშრავა

### დამატებანი ქართველურ მნათა მტიმოლოგიური ლექსიკონისათვის - II.

წინამდებარე სტატიით განვაგრძობთ ქართველურ ენათა შორის გამოვლენილი შესაძლო ახალი კოგნატებისა და მათი შეპირისპირების საფუძველზე რეკონსტრუირებული საერთო-ქართველური არქეტიპების, ასევე ეტიმოლოგიური ლექსიკონებიდან უკვე ცნობილ შეპირისპირებათათვის დამატებითი მასალის წარმოდგენას.

\*-ა

ქართ. კულ-ა “უკულო”, ფეხ-ა “კოჭლი”; ყურ-ცქვიტ-ა, კნაჭ-ა...

+ მეგრ.-ლაზ. (მეგრ.) კულ-ა “კულა, მოკლეკუდიანი”, უიპოტ-ა “რისამე უხეიროდ მკეთებელი კაცი” (შდრ.: უიპოტ-უ-ა “რისამე უხეიროდ კეთება”), ფოფორ-ა “ფაფრიანი, ფაფრის აშლის მოყვარული” (ფოფორ-ი “ფაფარი”), ფურინ-ა “მფრინავე, ფრენია” (ფურინი “ფრენა”), ღულ-ა “მრუდე, მოღუნული” (ღულ-ე-ბ-ა “მრუდება”, ღულ-ან-ე-ბ-ა “გამრუდება”), ცუჯ-ა “დიდჯურა; უყურადღებო, ყრუ” (ცუჯ-ი “ყური”), (ლაზ.) ღულ-ა “მოგრეხილი, მოღუნული”, დვაბუჯ-ა “ქათამი, რომელსაც ყურის ძირში ბურღდა აქვს” (დვაბუჯ-ი “ლაყუჩი”), ყუჯ-ა, უჯ-ა “ყრუ” (ყუჯ-ი, უჯ-ი, ცუჯ-ი ყური)...

სვან. კუდ-ჰ-ე “უკულო”, კტარჩხ-ჰ-ე “უფეხო, კოჭლი”, ჳეფ-ჰ-ე “კბენია”...

სქ ენობრივი დონისათვის აღადგენენ “უარყოფითობის მაწარმოებელ” \*-ა და “მიმდობის მაწარმოებელ” \*-ა სუფიქსებს (ფენრიხი, სარჯველაძე, 76; ფენრიხი, 30). ვფიქრობთ, რომ უნდა აღდგეს ერთი პოლისემიური \*-ა სუფიქსი, რომელიც სასუბიექტო მიმდობათა მაწარმოებელიც უნდა ყოფილიყო და რაიმე თვისების, დამახასიათებელი ნიშნის მქონებლობასა და, ირონიული გადაზრებით, ასევე უქონლობასაც გამოხატავდა (იხ.: ქემმელ, გვ. 14). ამ სუფიქსის რეფლექსად მეგრულ-ლაზურში -ა მორფემა დასტურდება. შესატყვისობისათვის ქართ.

ა : მეგრ.-ლაზ. ა : სვან. ა აუსლაუტში იხ. Климов, Мачавариани 1966, Климов 1998.

**\*არუნა-**

ქართ. (საბა) **არონა** “ყვეარი ხარის ერქუანი (საწნველი)”;  
(ჯავახ.) **არონა**, (მესხ.) **არუნა**, (აჭარ.) **არვანა**  
მეგრ.-ლაზ. (მეგრ. – ქობალია) **ორნა** “სახნისი, კავი”  
მეგრულ-ლაზური (მეგრული) **ორნა** (< \***არუნა**), რომელიც მხოლოდ ალიო ქობალიას ლექსიკონში გვხვდება, თითქოს კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ **არუნა/არონა**-ს (აჭარული **არვანა** < **არონა** **ო** > **ვა** პროცესის შედეგად). ივანე ჯავახიშვილის ვარაუდით, “ტერმინი “**არონაჲ**”, ანუ “**არუნაჲ**” ნასესხები უნდა იყოს ბერძნულითგან... საფიქრებელია, **ადრ** ზმნის **ადრჷ**-ისაგან იყოს წარმომდგარი” (ჯავახიშვილი, ტ. VI, 237). გამოდის, ბერძნული სიტყვა-ფორმა ჯერ კიდევ ქართულ-მეგრულ-ლაზური ენობრივი ერთიანობის ხანაშია შეთვისებული?

**\*ბანძ-**

მეგრ.-ლაზ. (ლაზ.) **ბონძ-ოლა** “გრძელბეწვიანი, ბანჯგვლიანი, ჭუჭყიანი”  
სვან. **ბანძ-ჷ**, **ბანძ-ჷრ**, **ბანძ-ჷ**, **ბანძ-ა-ჲ** “გრძელბეწვა, ბანჯგვლიანი”.  
მეგრულ-ლაზური (ლაზური) **ბონძ-** სვანურ **ბანძ-** ძირის კანონზომიერი შესატყვისია. ლაზური **-ოლა** სუფიქსი შეიძლება ქართული **-ალა** (კოდ-**ალა**, ყრუ-**ალა**) ან **-ოლა** (ბონ-**ოლა**, შდრ.: ბონ-იკ-ი) რთული სუფიქსებისთვის დაგვეკავშირებინა. დაისმის საკითხი **\*ბანძ-** და **\*ბანჯტ-** (ფენრიხი, სარჯველაძე, 94; ფენრიხი, 48) არქეტიპთა ურთიერთმიმართების შესახებ.

---

\*დასაწყისი იხ.: „ეტიმოლოგიური ძიებანი – X“, თბილისი, 2013, გვ. 3-26.

### **\*ბარკ-**

ქართ. ბარკ-ალ-ი

მეგრ.-ლახ. (მეგრ.) ბორკ-ი “ფეხი”, + (ლახ.) ო-ბორკ-უ, ო-ბროკ-უ “წიხლეა, დატორვა”

სვან. ბარკ-ჲ “მრუდეფეხა”

Климов, 49, Klimov, 9, ფენრიხი, სარჯველაძე, 96-97, ფენრიხი, 50-51; აქვე უნდა იყოს მოსახმობი ლახური ბორკ-, ბროკ- ძირებიც.

### **\*ბეკ-**

ქართ. ბეკ-ნ-ა

მეგრ.-ლახ. (მეგრ.) ბაკ-უ-ა; + (ლახ.) ო-ბანიკ-უ (შდრ. გურ. ბაბნიკ-ი)

+ სვან. (პალმაიტისი, გუჯეჯიანი) ლი-ბეკ “მიწოლა, მიბჯენა”, შდრ. (დონდუა) ლი-ბკ-ინ-ე, ლა-ხ-ბეკ-ე “მიაბჯინა”

ფენრიხი, სარჯველაძე, 102; ფენრიხი, 57, Klimov, 11; ვფიქრობთ, ამავე მასალას უნდა დაუკავშირდეს ლახური ბაკ- (ო-ბანიკ-უ <\*ო-ბაკ-ინ-უ მეტათეზისის შედეგად; ანალოგიური განვითარებისათვის შდრ. აქვე \*ჯეკ-) და სვანური ბეკ-.

### **\*ბელენძ-**

ქართ. (აჭარ.) ბელენძ-უკ-ი “ძუ ძაღლი, გადატ.

მაწანწალა, უქნარა”, (იმერ., გურ.) ბელენძ-უხ-ა/ე-ა “უშნო, უსუფთაო; დიდი, უზარმაზარი”

მეგრ.-ლახ. (ლახ. – დიდი ლახური ნენაფუნა) ბალანძ-ა ჯოღორი სთერი კოჩი “ბალანძა ძაღლივით გრძელი და უშნო კაცი”.

### **\*ბოდ-**

ქართ. (მოხ.) ბოდო “საფორე ხორბლეულის ნაცვენი”

სვან. ბადტ, ბჲდტ “ფეტვის, კანაფის, სელისა და მისთანათა ჩენჩო”

სვანური ბადტ, ბჲდტ < \*ბედტ < \*ბტედ < \*ბოდ. სვანურში ამავე მნიშვნელობით დასტურდება ბიდ (ბზ. – ბ.

ნიჟარაძე (“კილი, шелуха”); (ლშხ. – თოფურია, ქაღდან 2000) და ბიდ-ირ (“კანაფის ჩენჩო, კანი; კანაფის თესლის ბუსუსები; სათესლე კანაფი”), რომლებიც ბიდ “ბუდე” (< სქ \*ბუდ-) სიტყვას უნდა უკავშირდებოდნენ. შდრ. ქართული ბუდე ლექსემის ერთ-ერთი მნიშვნელობა – “ზოგიერთი მცენარის (თხილის, რკოს, წაბლის...) ნაყოფის გარსი”.

**\*ბოტ-**

ქართ. ბოტ-ი

მეგრ.-ლაზ. (მეგრ.) ბოტ-ი, ბეტ-არ-ი; + (ლაზ.) ბოტ-ი,

ბოტ-იკინ-ა, ო-ბოტ-უ “კუროსთან, ბუღასთან ატეხილი საქონლის მიყვანა”

სვან. ბოტა, ბოტ, (ბზ. – ნიჟარაძე) ბეტუ

ფენრიხი, 74; აქვეა მოსახმოზი ლაზური ბოტ-. ლაზური ზმნური ლექსემის სემანტიკისათვის შდრ.: (მთიულ.) ბოტ-აობს “ინერბება ცხვარი”, (მოხ.) ბოტ-ება, ბოტ-ობა “ჯიხვების მძუნაობა, ხურაობა”, (სვან. – ბ. ნიჟარაძე) ლი-ბუტ-ან-წლ “ამუენება თხათა”.

**\*ბრძ-**

ქართ. ბრძ-ან-ებ-ა

მეგრ.-ლაზ. (ლაზ. – თანდილავა) ო-ბურჯ-უ “ბრძანება”

**\*ბუნ-**

ქართ. ბუნ-ე-ა, ბუნ-ა-ობ-ა

+ მეგრ.-ლაზ. (მეგრ.) ბუსქ-ა, ბუსკ-ა “ხარი, ხარის ან კამენის სახელი”

სვან. ლი-ბუცქ-უნ-ე “თავის მაგრად დარტყმა”

ფენრიხი, სარჯველაძე, 127; ფენრიხი, 88; ამავე მასალას უნდა უკავშირდებოდეს მეგრული ბუსქ- (<\*ბუცქ). ბუსქ-ა – ეტიმოლოგიურად “რჩოლია” (-ა სუფიქსისთვის იხ. აქვე \*-ა).

**\*გლეჯ-/გლიჯ-**

ქართ. გლეჯ-ა, და-გლიჯ-ა

მეგრ.-ლაზ. (მეგრ.) გურჯ-ონ-უა “გლეჯა”, + (ლაზ.) ო-გლიჯ-უ

+ სვან. გგლჯ-დ, გლჯ-დ ლიგნე “დაგლეჯა, დაფლეჯა”, (ლიპარტელიანი) გლიჯ-გლაჯ “მაგრად სიარული, მირტყმა-მორტყმის ხმები”, გლიჯ-ა-ჟ “დიდი”.

ფენრიხი, სარჯველაძე, 146-147; ფენრიხი, 108-109, Klimov, 30-31; უკვე შეპირისპირებულ მასალას უნდა უკავშირდებოდეს ლაზური გლიჯ- და სვანური გლჯ (<\*გლეჯ-ა) ფუძეებიც.

გლჯ, გლიჯ და გლიჯ-გლაჯ ტიპის ფორმათა

ურთიერთმიმართებისათვის სვანურში იხ.: ჭკადლა 2005, 325-326.

### \*გოზ-

ქართ. გოზ-ა “შელესვა”, სა-გოზ-ელ-ი “შესალესავი”

მეგრ.-ლაზ. (მეგრ.) გოზ-ნ-ა, გოზ-ლ-ა “ნეხვი” (შდრ.: (ზ. იმერ.) გოზლა “ნეხვი ერთად დაყრილი”)

წარმოდგენილი მასალის შეპირისპირება შესაძლებლად მიგვაჩნია იმის გათვალისწინებით, რომ ნეხვი კედლების შესალესადაც გამოიყენებოდა. შდრ.: “ბოსელს, საღორეს და საქათმეს ხანდახან ტალახით შევგლისავთ ხოლმე, ანდა ნეხვით. ნეხვს ავზილავთ წყალში და მერე ქაფხით წოუსვამთ ხოლმე ჭუჭრუტანებში ან მთლად კედლებზე” (აპოლონ ბიწაძე, სოფ. ცხრუკვეთი, ზემო იმერეთი, მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. I, აღმშენებლობა და ავეჯი). გასარკვევია მეგრულში –ნ/-ლ-ს წარმომავლობა.

### \*ღგ-

ქართ. სა-ღგ-ის-ი

მეგრ.-ლაზ. (მეგრ.) ო-ღგ-იში-ი; + (ლაზ.) ო-ღაგ-უ “ბასრი იარაღით ხეზე ნაჭდევის გაკეთება, ფხაჭნა, ამოჭრა”, ო-ნღაგ-უ/ო-ღაგ-უ//ო-ღაგ-უნ-უ “კიდების გახვრეტა”

ქართული და მეგრულ-ლაზური (მეგრული) მასალის შეპირისპირების საფუძველზე რეკონსტრუირებულია \*(ხ)ა-ღგ-ის-ი- (Климов, 168-169; Klimov, 173) და \*ღგ- არქეტიპები (ფენრიხი,

სარჯველაძე, 166-167; ფენრიხი, 127). ლაზურ ზმნური ძირი **დაგ-**სქ. **\*დგ-** არქტივის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს.

### **\*დუნდგო-**

ქართ. **დუნდგო**-ო (ნ. ჩუბინაშვილი, დ. ჩუბინაშვილი)  
“ბრბო, ჯგუფად სიმრავლე კაცთა”.

სვან. **დუნდგუ**-ნრ “სქელი, დამდგარი კვამლი”, **დუინდგუ**-დ “სქელ კვამლად”, **დინდგუ**-დ “უზომოდ, როგორც სქელი კვამლი, ისე ხშირად”

მასალა შეაპირისპირა ასლან ლიპარტელიანმა (ლიპარტელიანი 1994, 94, 96); სვან. **დუნდგუ** <**\*დუნდგო**.  
სემანტიკური გადასვლისათვის “ბრბო” > “კვამლი” შდრ.:  
(ქართლ.) **ბრბო** “ბუდი”.

### **\*-ელ-ა-**

ქართ. (ფშ.) ჯვარ-**ელ-ა** “ჭრელი”, გოგი-**ელ-ა**  
სვან. (ბქ.) ფაუ-**ელ-ა** “უგონოდ მოხეტიალე, ბოდილა”  
(შდრ.: (ბზ.) ფაუ “გაოგნებული, ელდანაკრავი”), (ჩბხ.) ფხინტ-**ელ-**  
ს “ჩიჩქნია” ((ლხმ.) ფხეტნ-ს “id.”)

ხომ არ შეიძლება რამდენსამე სვანურ (ბალსქვემოურ) სიტყვაში გამოყოფილი **-ელ-ა** მორფემა ქართულ **-ელ-ა** რთული სუფიქსისათვის დაგვეკავშირებინა?

### **\*თათ-**

ქართ. **თათ-ი** (საბა) “ველი”, (ნ. ჩუბინაშვილი; დ. ჩუბინაშვილი) “ჩწვილთ ხელი; ტოტი მხეცთა”; **თათ-უნ-ი**  
მეგრ.-ლაზ. (მეგრ.) **თოთ-ი**, **თვათე-ი** “თათი”, (ლაზ.) ო-  
თოთ-უ “ხუთივე თითით ჭამა”, მო-თოთ-უ “ხელის მოხვევა ჩახუტებისას”;

ქართულ **თათ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრულ-ლაზური **თოთ-**. მეგრული **თვათე-** < **თოთ-** (მეგრულში **ო** და **უ** ხმოვნების **ვა**, **ვი** და **ვე** ბგერათმომდევრობში გადასვლისათვის იხ.: ყიფშიძე, 62). თუკი ეს დაკავშირება სწორია, მაშინ სომხური **թատ** “თათი” უფრო ქართულიდან

ნასესხებად უნდა მიიჩნეს, ვიდრე – პირიქით.

**\*-იკ-, \*-იკა-,**

ქართ. (საბა) ვაც-**იკი**, ვარ-**იკა**

მეგრ.-ლაზ. (მეგრული) (მეგრ.) ხოჯ-**იკია** “პატარა ხარი” (შდრ.: ხოჯ-ი “ხარი”), (ლაზ.) ფინ-**იკი** “ფინია”, ხოჯ-**იკა** (ხოჯ-ი), ბონ-**იკა** (ბონ-ი), ბოტ-**იკინა** (ბოტი), დეჯ-**იკინა** (დეჯ-ი)...

**\*-იტა**

ქართ. (ზ. რაჭ.) გოლ-**იტა** “პატარა ბუღა, მოზვერი, კურო” (შდრ.: (რაჭ.) გოლ-აფი “მოზერის ასვლა ავარდნილ ძროხაზე”), გოგ-**იტა**...

მეგრ.-ლაზ. (ლაზ.) ხოჯ-**იტ-იკინა** “ახალდაბადებული ხბო”.

**\*კარჭალ-**

ქართ. (გურ., იმერ.) კარჭალ-ი, კაჭალ-ი

“წინგოშემოცლილი, დაკროლილი კაკალი”, (ლენხ., გურ.) და-**კა(რ)ჭვლ-ა** “თხილისა და კაკლის გარჩევა, დაკაკვლა”

ლაზ. კორჭოლ-ა “ცარიელი ადგილები სიმინდის ტაროში”

მნიშვნელობათა სხვაობა თითქოს არ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას ამ ლექსებითა დასაკავშირებლად. ვინაიდან **კაჭალ-//კარჭალ-** ამოსავლად, სავარაუდოდ, **\*კაკალ-** ძირს უნდა გულისხმობდეს, გამოდის, რომ **\*კაკალ-** > **კაჭალ-//კარჭალ-** ჯერ კიდევ ქართულ-მეგრულ-ლაზური ენობრივი ერთიანობის ხანაში უნდა განხორციელებულიყო?!

**\*კეხ-**

ქართ. კეხ-ნა

მეგრ.-ლაზ. (ლაზ.) ო-**კეხ-**უ “ძრახვა, აუგად სხენება”

ლაზური **კეხ-** ქართული **კეხ-** ძირის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია. ამოსავალ სიტყვას ლაბილური

სემანტიკა უნდა ჰქონოდა და, სავარაუდოდ, “დაქადნების, კვეხნის, მუქარის” მნიშვნელობებს გამოხატავდა.

**\*კუ-ილ//\*პუ-ილ-**

ქართ. კუ-ილ-ი

სვან. (ბზ. – ბ. ნიუარაძე) სა-პტნელ “პროჭი; задница”, (ჩლრ. – ლიპარტელიანი) პტელ-ი “აკუებს”

სვან. საპტნელ – ეტიმოლოგიურად “საკუარი”, პტელ <\*პუ-ილ-. ბგერათფარდობის დარღვევა – ქართ. კ : სვან. პ – შეპირისპირებულ ლექსიკურ ერთეულთა ხმაბაძვითი და ექსპრესიული ბუნებით ჩანს განპირობებული.

**\*კუტ-**

ქართ. კუტ-ი

მეგრ.-ლაზ. (მეგრ.) კუნტ-ი “კუტი”, (ლაზ.) კუკუტ-ი “ხელგამხმარი”

ლაზური კუკუტ- <\*კუტ-კუტ-

**\*ლაგაზ-**

ქართ. ლაგაზ-ი “ნოტიო თიხნარი ნიადაგი”

მეგრ.-ლაზ. (ლაზ.) ლონგოზ-ი (თანდილავა) “ქვა-ლორღი”, (დიდი ლაზური ნენაფუნა) “წვიმის შედეგად ადიდებული ნაკადი, რომელსაც ქვები მოაქვს; ნიადაგი, რომელშიც ფეხი ეფლობა”.

**\*ლად-**

ქართ. (იმერ., აჭარ., ლეჩხ., გურ) ლანდ-ი “ერთი ამოდება აბრეშუმის ძაფი, – შულო”

მეგრ.-ლაზ. (ლაზ.) ლოდ-ა “სუსტად შეკრული, მოშვებული თოკი”

ქართ. ლანდ- <\*ლად- ნ-ს განვითარებით.

**\*ლარ-**

ქართ. ლარ-ი (საბა) “ალყა, ძალი; წელი შეგრეხილი”, ლარ-ო “გალატოხის ბაწარი”, (გურ.) “ნაქსოვი სარტყელი,



ხვანჯარი”, ლარ-ო (ქიხიყ.) “საფეიქრო ხელსაწყო; ორკაპა, ჯოხია ბაწრის საქსელავი”...

მეგრ.-ლაზ. (ლაზ.) ლორ-ი (თანდილავა) “ძაფის სახეობა ნემსში გასაყრელი”, (დიდი ლაზური ნენაფუნა) “კანაფის თოკის გრეხისას გამოყენებული თითოეული ძაფი”.

**\*ლორწ-**

ქართ. ლორწო

მეგრ.-ლაზ. (ლაზ. – დიდი ლაზური ნენაფუნა) ლერწო-ი “ატეხილი ძროხის მიერ გამოყოფილი სითხე; სპერმა”  
ლაზური ლერწო- <\*ლორწ- უმლაუტის შედეგად.

**\*ლოხ-**

ქართ. ლოხ-ი “ხანტი, ზარმაცი; უღონო, უჯანო ადამიანი”

მეგრ.-ლაზ. (მეგრ.) ლეხ-ი “ავადმყოფი”

სემანტიკური განვითარება ამგვარად გვესახება: “ხანტი, ზარმაცი” > “უჯანო, უღონო” > “ავადმყოფი”; მეგრული ლეხ-ი <\*ლოხ- უმლაუტის შედეგად. თუკი ეს დაკავშირება სწორია, უარყოფილ უნდა იქნეს ვარაუდი მეგრული სიტყვის ინდოევროპულიდან შესაძლო მომდინარეობის შესახებ (იხ.: Климов 2009, 186).

**\*მოლ-**

ქართ. მოლ-ი

+ ლაზ. ო-მოლ-უ “მარგვლა”

სვან. მელჷ, მელ “ბალახი, მოლი”

ფენრიხი, სარჯველაძე, 334; ფენრიხი, 295; ვფიქრობთ, ამავე მასალას უნდა დაუკავშირდეს მეგრულ-ლაზური ზმნური ძირი მოლ-. შდრ.: სვან. (ბზ. – ბ. ნიუარაძე) ნა-მოლ “ახო; расчищенный кустарник под пашню”.

**\*მორ-**

ქართ. მორ-ი

მეგრ.-ლაზ. (მეგრ.) მურ-უა “ნაჯახით ჭრა; მორებად ჭრა”; (ლაზ.) ო-მურ-უ “ხის გასხვლა”.

### \*რეშ-

ქართ. (ი. აბულაძე) მ-რეშ-ე-ელ-ი “შემის მჭრელი”, (ზ. იმერ.) რეშ-ვა, და-რეშ-ვა “დიდი წვიმა, თავსხმა”, (იმერ.) და-რეშ-ვა “წაქცევა, ძირს დაფენა (ქარმა სულ დარეშა ყველაფერი)”.

მეგრ.-ლაზ. (მეგრ. – ქაჯაია) რასკ-უა, რასქ-უა “ჯოხის ჩარტყმა (თავში); ჩარაკუნება”, რასქ-ვალ-ი “კაკუნი”.

### \*რტ-

ქართ. რტ-ვა

მეგრ.-ლაზ. (მეგრ.) რტპიტ-ი “რტვა, ტარტარი”, რტპიტ-უა “ყბედობა, როშვა”, რაპატ-უა “ძლიერ ჩქარა ლაპარაკი” (ლაზ.) რტტი-პტი “მოლაყბე”

სვან. (ჩღრ. – ლიპარტელიანი) ა-რტტ-ე “უგონოდ ათრობს”, ი-რტტ-ვლ “სიმთვრალის გამო უაზროდ იქცევა”

ლაზური რტტი-პტი მიღებული უნდა იყოს რტტ-ძირისგან ლაბიალური რედუბლიკაციით; მეგრული რტპიტ-ი < \*რტტი-პტი დისიმილაციური მარცვალთდაკარგვის შედეგად.

### \*რუმ-

ქართ. მ-რუმ-ე

მეგრ. -ლაზ. (მეგრ.) ო-რუმ-ე, ო-რომ-ე “საპყრობილე, ორმო”, ო-რუმ-უან-ს “აბნელებს”, ი-რუმ-უან-ს “იბნელებს”; + (ლაზ.) ო-რუმ-ე, ო-რომ-ე “ჭა, ორმო”

+ სვან. ლი-რმი-ი (ბზ. – გუჯეჯიანი, პალმაიტისი) “დაჭერა, დაპატიმრება”, (ბზ. – ბ. ნიჟარაძე) “შეპყრობა; ლიბტჟე, удерживать, арестовать”, (ბზ. – ივ. ნიჟარაძე) “арестовать”.

ქართული და მეგრულ-ლაზური (მეგრული) მასალის შეპირისპირების საფუძველზე აღადგენენ \*რუმ- არქტიპს (Климов, 158, Klimov, 160, ფენრიხი, სარჯველაძე, 389, ფენრიხი, 352-353). ამავე მასალას უნდა უკავშირდებოდეს აქ

წარმოდგენილი ლაზური და სვანური ლექსემები. “სიბნელისა” და “ღამწყვდების” სემათა ურთიერთმიმართებისათვის შდრ.: ძვ. ქ. **ღა-წყუდ-გვა-ღ** – წყუდიადი, რუს. **темень** – **темница**.

**\*სპერ-/სპირ-**

ქართ. (ღენხ.) **სპერ-ვა** “მოკვეთა”  
მეგრ.-ლაზ. (ლაზ.) **ო-სპირ-უ** “კარგად ჭრა”.

**\*სხ-**

ქართ. სე-**სხ-ი**, ვა-**სხ-ი**  
მეგრ.-ლაზ. (ლაზ.) **ო-ცხ-ერ-უ**, **ო-ცხ-უ** “სესხება”.  
ლაზური **ცხ-** < **\*სხ-** აფრიკატიზაციის შედეგად; შდრ.  
ლაზ. **ო-ცხ-ონ-უ** “არჩევა, გარჩევა” : მეგრ. **სხ-უნ-უ-ა** “არჩევა,  
გამორჩევა” და სხვ.

**\*ტაჟუნ-/ტაჟინ-**

ქართ. (თუშ.) **მ-ტაჟუნ-ა-ღ** (ი-მ-ტაჟინ-ებ)  
“ძიღმორეულისნაირი გამოხედვა”  
სვან. ი-**ტაჟუნ-ე**, ი-**ტაჟინ-ე** “ხუჭავს”  
ქართულში **მ-** განვითარებულია. შდრ.: “მ  
მასუბსტანტივებელი ელემენტია საწყისთა ფორმებში: ძვ. ქ.  
ცრევა, შდრ. მ-ცვრევა; თნევა, შდრ. მ-თნევა; ვ-ცან – ცნება,  
შდრ. მ-ცნება და სხვ.” (უთურგაიძე, 1997, 155).

**\*ტარეც-/ტარიც-**

ქართ. ა-**ტარეც-ს** “რისამე ზედაპირს ერთბაშად დაწვავს,  
სიმხურვალეს აიტაცებს, - აღანძავს”, შდრ. (საბა) **ტარც-ოლ-ა**  
“მწურვალის ქვის დახეთქა”  
მეგრ.-ლაზ. (მეგრ. – ქობალია) **ტაირაც-უ-ა** “გადამწიფება,  
დახეთქვა, დატკრეცა (ხილისა)”.

**\*ტუს-**

ქართ. (ზ. სარჯველაძე) **ტუს-ვა-ღ** “ღაწვა”,  
+ მეგრ. **ტუს-უ-ა** “ტრუსვა, ტუსვა”; ლაზ. **ო-ტუს-ან-უ**

“გაცხელება”

სვან. ღი-ტუს-ე “კმევა, დაწვა”

ფენრიხი, სარჯველაძე, 442; ფენრიხი, 409; Klimov, 160; ვვარაუდობთ, რომ უკვე შეპირისპირებულ მასალას უნდა უკავშირდებოდეს მოსმობილი მეგრულ-ლაზური ძირებიც. მეგრულ-ლაზური ტუც- <\*ტუს- აფრიკატიზაციის შედეგად.

### \*ტყეპ-/ტყიპ-

ქართ. ტყეპ-ა (ქეგლ) “ცემა ხელით”, (საბა) მო-ტყიპ-ა “ერდოს კეტით დალაწვა”

მეგრ.-ლაზ. (მეგრ.) (ქაჯაია, ქობალია) რტყაპ-უ-ა “მაგრად მიკვრა, მიტყეპება”, (ქობალია) გო-ტყაპ-აფ-ა “მიტყეპება”, (ლაზ. – დიდი ლაზური ნენაფუნა) ო-ტყაპ-უ “ტაშის ცემა”

სვან. (ჩლრ. – ლიპარტელიანი) ა-ტყპ-გნ-ე “თხლად მოხელილ ცომს აბრტყელებს, აცხობს”.

### \*ტყტეშ-/ტყტიშ-

ქართ. (მოს.) და-ტყტეშ-ა “დასუსხვა; გაწკეპვლა, ცემა მათრახით ან ქამრით” (ჭინჭარმა და-მ-ტყტიშ-ა)

სვან. მუ-ტყტჷსგ, მუ-ტყტჷასგ... “ნაპერწკალი”; (ჩლრ. – ლიპარტელიანი) ტყტჷასგ “id.”, ტყტჷესგნე “ცეცხლიდან ნაპერწკლები ცვივა”, ტყტჷისგ “გავლისას ხმელის ხის შტოს ტყდომის ხმა”

ქართულ ტყტეშ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური ტყტჷსგ (<\*ტყტჷესგ-ა), ტყუიშ-ს – ტყტჷისგ.

### \*ტყრუშ-

ქართ. (ფშ.) (შანიძე) და-ტყრუშ-ვა “დასუსხვა (ჭინჭრისაგან); ნედლი ხე რომ ცეცხლზე ტკრციალს მოიღებს” (ხორნაული) “სიმინდის ტაროს შეწვა, გადატ. მიტყეპვა”, (ხევს.) და-ს-ტყრუშ-ავ-ს “დაწვავს, დატრუსავს, დასუსხავს”

სვან. ტყგრსგ-ნ-ჰ-ჲ, ტყგრსგ-ნ-ჰ “ტკაცუნა (ცეცხლი)”.

ცხადია, დაისმის საკითხი \*ტყტეშ-/ტყტიშ- და \*ტყრუშ-

(იხ. აქვე) არქეტიპთა მიმართების შესახებ.

**\*-ულ-ა**

ქართ. წალღ-ულ-ა (შდრ.: წალღ-ი), თუნგ-ულ-ა (შდრ.: თუნგი)...

მეგრ.-ლაზ. (მეგრ.) კუტ-ულ-ა “ანთროპონიმი”, (ლაზ.) კუტ-ულ-ა “ბიჭუნა, ბიჭიკო” (შდრ.: კუტ-უ), გუდ-ულ-ა (გუდ-ა), ბანგ-ულ-ა “შეუგნებელი, მიუხვედრელი” (ბანგ-ა)...

**\*-უტ//უტ-ა**

ქართ. კაკ-უტ-ი (შდრ.: კაკვი), ქინძრ-უტ-ა (შდრ. ქინძ-არ-ა)...

მეგრ.-ლაზ. (მეგრ.) ლობ-უტ-ი “ბრიყვი, ჩერჩეტი”, ლულ-უტ-ი “ჩვილი, თოთო” (შდრ. ლულუ), (ლაზ.) ლობ-უტ-ა “რბილი კონსისტენციის მქონე; ზანტი” (შდრ.: ლობ-ო “რბილი”).

**\*-უხ**

ქართ. (ფშ.) კინჭ-უხ-ი “წვერი, კენწერო”, (გუდ. – შანიძე) კენწ-უხ-ი “წვეტიანი მთა” (შდრ.: კენწ-ერ-ო), ბებრ-უხ-ა (ბებერ-ი) მეგრ.-ლაზ. (ლაზ.) კუტ-უხ-ი (შდრ.: კუტ-უ, კუტ-ულ-ა).

**\*ფშტენ-**

ქართ. ფშენ-ა

+ მეგრ.-ლაზ. (ლაზ.) ო-ფუშქონ-უ “ფშენა”

სვან. ფურსგტნ-დ, ფურშგტნ-დ ლიგნე “დამსხვრევა, დაშფენა”

Klimov, 209, ფენრიხი, სარჯველაძე, 479, ფენრიხი, 450;

**\*ფშტენ-** არქეტიპიდან უნდა მომდინარეობს მეგრულ-ლაზური (ლაზური) ფუშქონ- ძირიც.

**\*ქაშ-**

ქართ. ქაშ-ა ვაშლი “ვაშლი, რომელიც მეტის-მეტი სიმწიფისას ფაშრდება”, (ფუტკარაძე) და-მქაშ-და “გადამწიფდა, დარბილდა, დაშაქრდა”, + (ჯავახ., გარეკახ.) და-ქაშ-ება “ხილის

დამწიფება, გამოშრობა; გადამწიფება, გამოშრობა, გაფხვიერება (ვაშლის)”

მეგრ.-ლაზ. (მეგრ.) ქოშ-ა “შმორი, ობი”, ქოშ-ინ-აფ-ა “დაობება, აშმორება”, ქოშ-ინაფილი “აშმორებული, ობმოკიდებული, ღპობისპირად მისული” [> სვან. (ბქ.) ქოშ “ფაშარი, ქაშა (ვაშლი, ყველი...)”], + ლაზ. ო-ქიშ-ინ-უ “დაფქვილება (ვაშლის)”

ქართული და მეგრულ-ლაზური (მეგრული) მასალის შეპირისპირების საფუძველზე აღვადგინეთ \*ქაშ- არქეტიპი (“ეტიმოლოგიური ძიებანი”, X, 2013, 20). ვფიქრობთ, ამავე მასალას უკავშირდება ლაზ. ქიშ- ძირიც (<\*ქოშ-).

### \*ქეშ-

ქართ. ქოშ-ინ-ი, ქშ-ენ-ა,  
+ (მეგრ.-ლაზ.) ლაზ. ო-ქაშ-ან-უ “ქშენა”  
სვან. ლი-ქშ-ღელ “მოქნარება”, ჰდ-ქეშ-ალ “დაამოქნარა”  
ფენრიხი, სარჯველაძე, 490, ფენრიხი, 461; მეგრულ-  
ლაზური (ლაზური) ქაშ- ძირი კანონზომიერად შეესატყვისება  
უკვე შეპირისპირებულ ქართულ და სვანურ მასალას.

### \*ქეზ-/ქიზ-

ქართ. წა-ქეზ-ება  
სვან. ი-ქზ-ი, ი-ქიზ-ი “იცინის”, (გუჯეჯიანი-პალმაიტისი)  
ლი-ქზ-ე “(2პ) დაცინვა; (1პ) გაცინება”  
ამოსავალ ზმნურ ძირს “დაცინვის, გაღიზიანების,  
წაქეზების” მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა?

### \*ქიც-ქიც-

ქართ. (ხევს.) ქიცციქიც გაიყრების “დაიგლიჯება,  
დაიფხრიწება”, გა-ქიცციქიც-დების “დაიგლიჯება, დაიშლება”,  
(ფშ.) ქინციქინც “ნაგლეჯ-ნაგლეჯ, ნაწილ-ნაწილ”, (კახ.) ქიცმა-  
ქიცმა “ნაკუწ-ნაკუწად”  
ლაზ. ქიცა-ქიცა “ფანტელ-ფანტელ”.

### **\*ქონ-//ქუნ-**

ქართ. **ქონ**-ი “ბუჩქი”, **ქუნ-ქუნ**-ი (საბა) “ერთ ძირზედ მრავლად აღყვავებული”, (ქეგლ.) “ქუნად მოსული ერთგვარი ბალახი”, **ქონ**-ს შეიკრავს (ქართლ.) “თავს მოიყრის, შექუნდება, მოგროვდება”, მო-**ქუნ**-ება “თავის მოყრა”;

მეგრ.-ლაზ. (მეგრ.) **ქუნ**-ონ-ა “ბუჩქნარი”, (ქობალია) **ქუნ**-ოლ-უ-ა “თავის მოკვრა, შექუნება”, **ქუნ**-უ “ბუჩქი”...

სვან. (ბზ. – გუჯჯვიანი, პალმაიტისი) **ქონ**, (თოფურია, ქაღდანისი) (ბზ., ლშხ.) **ქონნ**, (ბქ.) **ქონ** “მცენარის ძირზე შემოყრილი მიწა; გროვა”, **ქონ-ქონ**-დ “გროვა, გროვად”.

### **\*ღაჟ-**

ქართ. **ღაჟ-ღაჟ**-ი “წითლად ეღვარება, წითლად ბრწყინვა”

სვან. (ბზ. – ივ. ნიუარაძე, ლიპარტელიანი) ნა-**ღაჟ** “ციალი, ანარეკლი სინათლე”.

### **\*ყტაჟ-**

ქართ. **ღა-ყვავ**-ება (ღა-უ-ყვავ-ა) “სიტყვით მიაღერდება, მოფერება, ტკბილად თქმა”

სვან. (ლშხ. – დონდუა) ღე-**ყტაჟ**-ეღ “საძრახი, დასაძრახი”, (ჩღრ. – ლიპარტელიანი) ღი-**ყტაჟ**-იეღ, (ჩღრ. – ჩანტლაძე, ბაბლუანი, ფენრიხი) ღი-**ყტაჟ**-იეღ “ქოქოლის დაყრა”

შეპირისპირებულ ქართულ და სვანურ ზმნურ ლექსემათა მნიშვნელობები ენანტიოსემიით ჩანს მიღებული (ენანტიოსემიისათვის იხ: აბულაძე, ლუდენი, 2013). სვან. (ჩღრ.) **ყტაჟ**- < **ყტაჟ**- ყ-ს ასიმილაციური განვითარებით?

### **\*შლეგ-/შლიგ-**

ქართ. (იმერ.) **შლიგ**-ინ-ი

სვან. (ჩოლ. – ჩანტლაძე, ბაბლუანი, ფენრიხი) ღი-**შლეგ**-ი “დარტყმა”, ღი-**შლიგ**-ე “ხმაურით მტვრევა, ტკაცანი”

ხომ არ შეიძლება ქართული **შლეგ**-ი “გიჟი, ფეთიანი,

გადარეული” ამოსავალი ე ხმოვნიანი \*შლეგ- ფუძის დერივატად მიიჩნეს?!

**\*ცქუებ-/ცქუიტ-**

**\*ცქუიტ-ინ-**

ქართ. ცქვებ-ა, ცქვიტ-ინ-ა, ყურ-ცქვიტ-ა

მეგრ.-ლახ. (ლახ.) მ-ცქვიტ-ურ-ა “კურდღლის ეპითეტი”, ელა-ცქვიტ-უ, ელა-ცქვიტ-ინ-უ “აცქვება”.

\*ცქუებ-/ცქუიტ- შდრ.: \*ცქურ - (ფენრიხი, სარჯველაძე, 584, ფენრიხი, 564, Klimov, 267).

**\*წიდ-**

ქართ. წიდა “ჭუჭყი”, წიდ-ოვან-ებ-ა-ე “ჭუჭყი, თვიური”

მეგრ.-ლახ. (მეგრ.) წიდ-ა/წინდ-ა “ჭუჭყი”, + ლახ. წიდა “ატეხვის ნიშანი ცხოველებში” (?): ფუჯის წიდა ქაგაუხთერენ “ძროხას წიდა ჩამოუვიდა”, წიდა “საქონლის განაგალი”

სვან. წიდ “წვირე, ჭუჭყი; ძროხის მომყოლი”

ფენრიხი, სარჯველაძე, 642, ფენრიხი, 623-624, Klimov, 295-296; ეჭვგარეშეა, რომ ამავე მასალას უნდა უკავშირდებოდეს ლახური წიდ- ძირიც.

**\*ჭეჭკ-**

ქართ. ჭეჭკ-ე-ა

მეგრ.-ლახ. (მეგრ.) ჭკაჭკ-ე-ა, + (ლახ.) ო-ჭკაჭკ-ე

Климов, 255, Klimov, 321, ფენრიხი, სარჯველაძე, 683-684, ფენრიხი, 667; აქვეა მოსახმობი ლახური ჭკაჭკ-. შდრ.: \*წეწკ- (ფენრიხი, სარჯველაძე, 640, ფენრიხი, 621-622, Klimov, 294) და აქვე \*ჯეჭკ-.

**\*ჭიკ-**

ქართ. (იმერ, გურ.) ჭიკ-ნ-ა “ჭრა, უხეიროდ ჩეხა ბლაგვი დანით”

მეგრ.-ლახ. (ლახ. – დიდი ლახური ნენაფუნა) ო-ჭიკ-ონ-უ “ქათმის აქნა”.



### **\*ჭიხინ-**

ქართ. **ჭიხინი**-ი

მეგრ.-ლაზ. (ლაზ. – დიდი ლაზური ნენაფუნა) **ჭიხინ**-აფ-ა “ჭიხინი” (ჰია ცხენიქ მუშენი ჭიხინს? “რატომ ჭიხინებს ეს ცხენი?”).

### **\*ჭყეპ-/ჭყიპ-**

ქართ. (იმერ. – ქველ) **ჭყეპ**-ავ-ს “იგივეა, რაც წუწავს”

სვან. (ბზ.) ლი-**ჭყჷპ**-ე, (ჩლრ.) ლი-**ჭყიპ**-ე “მისხმა,

პკურება”.

### **\*ხორხ-**

ქართ. **ა-ხორხლ**-ავ-ს “ერთმანეთზე უწესრიგოდ დაყრის ბევრ რამეს”

სვან. **ა-ხონნ**-ა, **ა-ხონ**-ა “ბლომად ასხია, დახუნძლულია, ახვევია”

### **\*ხუპ-**

ქართ. (ზ. იმერ.) მო-**ხუპ**-ვა “ბადის აკრეფა მებაღურის მიერ, როცა შიგ თევზი გამოჰყვება”

ლაზ. ო-**ხუპ**-უ, ო-**ხუპ**-ინ-უ “გახსნა-დახურვა”, **ხუპ**-ე-ი “დალუქელი, დახურული (მჭიდროდ)”

სვან. ლი-**ხუპ**-ე “მოგროვება, შექუჩება”, **ა-ხუპ**-ე, **ა-ხუპ**-ე “თავს უყრის, აქუჩებს; ანაოჭებს, ნაოჭს ასხამს”

### **\*ჭეჩ-**

ქართ. **ჭეჩ**-ა (საბა) “ძლიერად განკება”, (ხევს.) “დაპობა, დაჩეხა”, (ფშ.) “ჩეხვა, ხეჩვა; ამოჭრა, გამოჭრა”, **ჭეჩ**-ვა-ა, **გა-ჭეჩ**-ვა-ა (ქიზიყ.) “პობა, გაპობა, ხეთქა, გახეთქა”

სვან. (ჩლრ. – ლიპარტელიანი) ლი-**ჭეჩ**-გნ-ე “ყინულის ამოტეხვა, ყინულზე საფეხურების ამოჭრა”, **ა-ჭეჩ**-გნ-ე “ყინულს ჭრის ნაჯახით, ანდა წაღდით”, (ბზ.) ჟი-ლი-**ჭეჩ**-გნ-ე “id.”, **ჭეჩ**-ნ-ი, **ჭეჩ**-ენ-ი “ცვლება”.

**\*ჯარ-**

ქართ. **ჯარ-ი** (ხევს.) “მწკრივი, რიგი”, (თუშ.) **ჯარ-ად** “მწკრივად, წყებად”, (ფშ.) **ჯარ-ი** “ხალხის რიგზე დაწყობა; რაღაცა რიგზე დაწყობილი”.

სვან. [ზან. (მეგრ.)] (ლიპარტელიანი) ა-**ჯგორ-ე** “ბევრს აყენებს, აწყობს მწკრივში”, **ჯგორ-უშუ** “ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივებულად, ერთი-მეორის მიყოლებით” (ბზ. – ბ. ნიჟარაძე) **ჯგორ-დ** “წართვით (=ერთმანერთზედ მობმით), რადომ”

სვანურში დადასტურებული **ჯგორ-** ძირი, რომელიც მეგრულ-ლაზურიდან უნდა იყოს ნასესხები, კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ **ჯარ-ს**. ამოსავალ ძირს “რიგის, რიგზე დაწყობის” მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

**\*ჯეკ-**

ქართ. (იმერ.) **ჯეკ-ნა** “ფეხით ტკეპნა”  
მეგრ.-ლაზ. (ლაზ.) ო-**ჯინაკ-უ** “ტკეპნა, თელვა”  
მეგრულ-ლაზური (ლაზური) **ჯინაკ-** < **ჯაკ-ინ-**  
მეტათეზისის შედეგად (ანალოგიური განვითარებისათვის შდრ.: აქვე **\*ბეკ-**).

**\*ჯეჭკ-**

ქართ. (საბა) **ჯეჭკ-ა** “ცოტად დანაყა”,  
მეგრ.-ლაზ. (ლაზ. – ართაშნული) **დაშკ-ერ-ი** “წერილად დაჭრილი”

მეგრულ-ლაზური (ლაზური) **დაშკ-** < **\*ჯეჭკ-** რეგრესული დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციისა და ამოსავალ **ჭკ** კომპლექსში აფრიკატის სპირანტიზაციის შედეგად. **\*ჯეჭკ-** შდრ.: აქვე **\*ჭეჭკ-**, **\*წეწკ-** (ფენრიხი, სარჯველაძე, 640, ფენრიხი, 621-622, Klimov, 294) და სხვ.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
- ლ. აბულაძე, ანდრეას ლუდენი, ენანტიოსემია ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 2013.
- ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ-რაჭულ თქმათა, სანკტ-პეტერბურგი, 1912.
- ვრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1981.
- თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1981.
- გუჯეჯიანი, პალმაიტისი – Svan-English Dictionary, compiled by Chato Gudjedjiani and Letas Plmaitis, Caravan Books, Delmar, New York, 1985.
- დიდი ლაზური ნენაფუნა – İsmail Bucaklışi, Hasan Uzunhasanoğlu, Büyük Lazca Sözlük, Didi Lazuri Nenapuna - Lazca - Türkçe / Türkçe – Lazca, İstanbul, 2007.
- კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 2001.
- ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბ., 2013.
- თოფურია, ქაღდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.
- ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბ., 1967.
- Климов – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.
- Г. А. Климов, Г. И. Мачавариани, Рефлексы общекартвельского \*а в занском (мегрело-чанском) языке, Studia Caucasica, 2, The Hague, 1966.
- Klimov – G. A. Klimov, Etymological Dictionary of the Kartvelian Languages, Mouton de Gruyter, Berlin - New York., 1998.
- Г. А. Климов, Фрагмент из неоконченной монографии "Очерк сравнительной грамматики картвельских языков" (из раздела "Фонетика"), Вопросы Языкознания, №4, 1998.
- Г. А. Климов, Древнейшие индоевропеизмы картвельских языков, изд.

второе, М., 2009.

ა. **ლიპარტელიანი**, სვანურ-ქართული ლექსიკონი [ჩოლურული კილო], თბ., 1994.

**მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის**, ტ. I, აღმშენებლობა და ავეჯი, თბ., 1976.

ბ. **ნიჟარაძე**, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბ., 2012.

ივ. **ნიჟარაძე** – **Нижарадзе И. И.**, Русско-сванский словарь, Тифлис., 1910.

შ. **ნიჟარაძე**, ქართული ენის აჭარული დიალექტის ლექსიკა, ბათუმი., 1971.

**საბა** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I-II, თბ., 1991-1993.

ზ. **სარჯველაძე**, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბ., 1995.

ზ. **სარჯველაძე**, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001.

თ. **უთურგაძე**, სიტყვათა მორფონემატური დიაქრონიული ცვლილებისათვის, ეტიმოლოგიური ძიებანი, VI, თბ., 1996.

უ. **სახლთხუციშვილი**, გარეკახური ლექსიკონი, თბ., 2003.

ნ. **სუჯაშვილი**, ი. **ფიცხელაური**, მოხვეური ლექსიკონი, თბ., 2005.

**ფენრიხი**, **სარჯველაძე** – ჰ. **ფენრიხი**, ზ. **სარჯველაძე**, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მეორე გამოცემა, თბ., 2000.

**ფენრიხი** – **Fänrich H.**, Kartwelisches Etymologisches Wörterbuch, BRILL, Leiden-Boston, 2007.

შ. **ფუტკარაძე**, ჩვენებურების ქართული, ბათუმი., 1993.

**ქებელ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი..

**ქემმელ** – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

ო. **ქაჯაია**, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ I-IV, თბ., 2001-2009.

ა. **ქობაღია**, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010.

- ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, მეორე გამოცემა, თბ., 1984.
- ო. ყიფშიძე – Кипшидзе И., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, Санкт-Петербург, 1914.
- ა. შანიძე, მთის კილოთა ლექსიკონი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი I, თბ., 1984.
- ჩანტლაძე, ბაბლუანი, ფენრიხი – Tschantladze I., Babluani R., Fänrich H., Tscholurswanisch-Deutsches Verbenverzeichnis, Jena., 2003.
- დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.
- ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსულის თარგმანითურთ, თბ., 1961.
- მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003.
- გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბ., 2012.
- ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.
- ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკონი, I, თბ., 1938.
- ა. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005.
- რ. ჭკადუა, ზოგი -ა სუფიქსიანი მასდარისა და “პირველად სახელთა”. შეპირისპირებისათვის სვანურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IX., თბ., 2005.
- გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბ., 2000.
- პ. ხუბუტია, თუშური კილო. ლექსიკა, თბ., 1969.
- ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, IV, თბ., 1996.

**Levan Kelauradze**

**Addenda to Etymological Dictionary  
of Kartvelian Languages - II.**

Summary

Publication of the possible new cognates identified among the Kartvelian languages and Common Kartvelian archetypes reconstructed on the basis of their comparisons, and also additional material to the comparisons already known from the etymological dictionaries is continued in the present article.

**მანანა კობაიძე**

**აღქმის სხვადასხვა მოდალობის გამომხატველი ხ- ძირის  
შემცველი ზოგბი ფუძე ქართულში**

სტატიაში განხილულია რამდენიმე ფუძე, მათ შორის, ფუძეები **მ-ხი-არ-ულ-ი** და **სა-ხ-ელ-ი**. მიჩნეულია, რომ ამ ორივე ფორმის ამოსავალია **ხ-ეგ-ა** ზმნა, რომლის მნიშვნელობაც უნდა ყოფილიყო „ხმიანობა, ხმამაღლა ლაპარაკი“ ან „სიმღერა“. დასმულია საკითხი იმის შესახებ, რომ თვითონ **ხ-ეგ-ა**, კერძოდ, ზმნის ძირისეული **ხ-**, დაკავშირებული უნდა იყოს ფიზიკური შეხების გამომხატველ **ხ-** ძირთან (**ხ-ებ-ა**), აგრეთვე მხედველობის გამომხატველი ზმნების ძირისეულ **ხ-სთან**. **ხ-** ძირი მიჩნეულია ცალთან-ხმოვნიანი ზმნური ძირების რიგის ზმნად, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „ფიზიკური შეხება“, საიდანაც აღქმის სხვადასხვა მოდალობის გამოხატვა განვითარებულია.

**1. მხიარული**

სიტყვა **მხიარულს** კანონზომიერი შესატყვისები ეძებნება მეგრულსა და სვანურში. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ვკითხულობთ:

„ქართ. **ხი-** მ-**ხი-არ-ულ-ი**; მ-**ხი-არ-ულ-ებ-ა-ფ**

მეგრ. **ხი- ხი-ოლ-ი** „სიხარული“; **მ-ო-ხი-ოლ-ღ**  
„მიხარია“; **მ-ა-ხი-ოლ-ღ** „გამეხარდა“...

სვან. **ხი- ხი-ად** „სიხარული“; **ხი-ად-ულ** „სი-  
ხარულ“... (ფენრიხი, სარჯველძე 2000: 700).

სიტყვა **მხიარული** ძველ ქართულშიც ამ ფორმით გვხვდებოდა. ვიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს ადიშის და ჯრუჭის ოთხთავებიდან:

„გიხაროდენ და **მხიარულ** იყვნეთ“ (მ. 5,12);

„გიხაროდენ და **მხიარულ** იყვნით“ (ლ. 6, 23);

„გიხაროდენ, **მხიარულ**“ (ლ. 1, 28);

„იყოს შენდა სიხარულ და **მხიარულებად**,“ (ლ. 1, 14)“ (იმ-  
ნაიშვილი 1986: 417).

ვფიქრობ, ამ სიტყვის ამოსავალი ზმნური ძირი უნდა იყოს იგივე **ხი-** მორფემა, რომელიც წარმოდგენილია სიტყვა **მახიობელ**-ში და რომლის მასდარიც (**ხევა**) „ვეფხისტყაოსანშია“ დადასტურებული. **ხევა** ფუძის ამოსავალი მნიშვნელობა ხმის გამოცემაა, ამიტომ სიტყვა **მხიარული**, როგორც ფორმით, ისე სემანტიკითაც, ახლოს დგას ამ ფუძესთან.

ილია აბულაძემ დაწვრილებითი გამოკვლევის საფუძველზე დაადგინა, რომ **ხი-** სეგმენტი სიტყვა **მახიობელ**-ში სწორედ ხმის გამოცემას აღნიშნავს (**აბულაძე 1960: 212**). მეორე მხრივ, ტერმინების **მეხურ**-ისა და **მეხელ**-ის განხილვის შედეგად ასკვნიან, რომ **ხ-** ძირი სწორედ „ხმის გამოცემას“ უნდა აღნიშნავდეს, მეხური საგალობლები კი ხმამაღლა, გალობით წასაკითხ საგალობლებს (**ეკეკელიძე 1980: 604-606**; **ჯღამაია 1962: 152-160**; **მეტრეველი 1966: 160-177**).

ილია აბულაძეს ზეპირ საუბარში გამოუთქვამს ვარაუდი, რომ **მახიობელი** და **მეხური** ერთმანეთთან დაკავშირებული ფორმები უნდა ყოფილიყო (**ჯღამაია 1962: 156**). ილია აბულაძის ეს ვარაუდი კიდევ უფრო სარწმუნო ხდება მას შემდეგ, რაც გამოითქვა მოსაზრება, რომ **მახიობელ**-ის ამოსავალი ზმნური ფუძე უნდა იყოს სწორედ **ხ-ევ-**, ხოლო ამ ზმნური ძირისგან ნაწარმოები მასდარი **ხევა** „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში დადასტურებული ფორმაა. „ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“ გრძელი

ლექსების თქმა და სიმღერა უნდა ყოფილიყო (კობაიძე 1997: 118-122). ხევა ზმნის პირიანი ფორმა, II კავშირებითის სახით (ახი-ოს), „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ სტროფშიც გვხვდება (ვაი მოყვრისა გაყრილსა, ახი ოს ეყოს, ახიოს). პირიანი ფორმა ძველი ალექსის თარგმანებშიც დასტურდება ახიობს, ახიობდეს („სცემდეს ნესტუებსა და... ახიობდეს ქებასა“ – II ნეშტთა, 23, 13). ასე რომ, ხევა ფუძედრეკადი ზმნაა, ისევე, როგორც სხვა -ევ-სუფიქსიანი ზმნები (ძ-ევ-ა, წ-ევ-ა, ნგრ-ევ-ა და ა.შ.).

როგორც ჩანს, ამავე ფუძისგან (ხ-ევ//ხ-ივ) არის ნაწარმოები სიტყვა მხიარული. სიტყვა მხიარული-ის ძირად გამოყოფილია ხი- (ფენრიხი და სარჯველაძე 2000: 700). ვფიქრობ, რომ ეს ხი-უნდა იყოს იგივე ძირი, რომელიც ხევა-შია წარმოდგენილი: ხ-ევა-ა – „ხმის გამოცემა, სიმღერა“, მ-ხ-ი(ვ)-არ-ული – „მოხმამაღლე, მომღერალი“. მხიარულის ამოსავალი სემანტიკა სწორედ ხმამაღლა მოსაუბრე უნდა იყოს. -არ სუფიქსით მიმღეობის წარმოება სხვა ფუძედრეკად ზმნებთანაც დასტურდება, შდრ., მაგალითად, მსგავსი ფორმის მიმღეობური წარმოება ხვევა ფუძედრეკადი ზმნისგან: ხვევა → მ-ხეი(ვ)-არ-ა → ხეიარა.

არ გამოვრიცხავ, რომ ამავე ძირისგან იყოს ნაწარმოები ფორმა ჟივილ-ხივილი. ქართულისთვის დამახასიათებელია ერთი და იმავე მოდელში თანხმოვანთა მონაცვლეობის მეშვეობით სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსის გამოხატვა. ხმიანობის გამოსახატავად გავრცელებულია -ილ სუფიქსიანი წარმოება: წივილი, კივილი, ჭყივილი, ყივილი, ჩივილი...“ აქ შემოდის რიგი სიტყვებისა, ცხოველთა და ფრინველთა „ხმიანობის“ გამომხატველი, სულხან-საბა ორბელიანის სიტყვებით რომ ვთქვათ“ (შანიძე 1980: 564, §577). ამგვარი და სხვა აგებულების ფორმები, რომლებიც შეიძლება ხმაბაძვითი ან ბგერწერითი სიტყვები ჩანდნენ, ერთ დიდ სისტემას ქმნიან. მათ ხშირად მოეპოვებათ შესაბამისი ზმნური ფორმებიც, რომლებიც ზოგჯერ გახმოვანების საფუძვრით განსხვავდებიან სახელური ფორმებისგან (ჯორბენაძე 1980: 236-242).

ხმის გამოცემის გამომხატველი ხ- ძირი უნდა აერთიანებდეს ამ ფუძეებს: ხ-ივ-ილი, ხ-ევა-ა, მ-ხ-ი(ვ)-არ-ული, ასევე, მესხ-



**რი, მეხელი.** იგივე **ხ-** ძირისგან ჩანს ნაწარმოები სვანური **ხ-ი-ად** და მეგრული **ხ-ი-ოლ-ი** „სიხარული“.

ამ ძირთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ივანე ქავთარაძის მოსაზრებაც.

ივანე ქავთარაძე თვლიდა, რომ **მახიობელის** ძირისეულ **ხ-**ს კავშირი უნდა ჰქონოდა **სიხარულ-**ის ფუძეში დადასტურებულ **ხ-**სთან და, აგრეთვე, სვანური **ხიად**, მეგრული **ხიოლ** ფორმებთან: „ჭან. **ა-ხ-ელ-უ**, მეგრ, **ა-ხ-ი-ოლ-უ** „გაუხარდა“ სვან. **ხ-ი-ად** – სიხარული“ (**ქავთარაძე 1980: 310**).

ამავე სტატიაში ივანე ქავთარაძემ **სახიობისა (სახიობს)** და **მახიობელის (ახიობს)** სხვადასხვაობასაც ვარაუდობს (**ქავთარაძე 1980: 310**). ის ფიქრობს, რომ **სახიობის** ამოსავალი უნდა იყოს **სახე** (იქვე, გვ. 311), თვითონ **სახე** ფუძეს კი აკავშირებს სხვა ფუძეებთან: **სა-ხ-ე**, **ხ-ედ-ავ**, **ნა-ხ-ავ**, **ა-ხ-ელ** ფუძეებთან (**ქავთარაძე 1954: 108, 141**). მისი თვალსაზრისით, ერთი მხრივ, არის **სახ-ე** ფუძისგან წარმოქმნილი ფუძე **სახიობა** (← \***სახ-ივ-ობ-ა**), ხოლო, მეორე მხრივ, **ხ-** ძირზე დამყარებული **მახიობელი**. ეს ანგარიშ-გასაწვევი მოსაზრებაა. თუმცა თვითონვე აღნიშნავს, რომ ძველ ქართულში სხვა ზმნის პირიან ფორმაშიც იჩენს თავს მასდარი-სეული პრეფიქსი: **სი-ძვა** – **ი-სი-ძვა** (**ქავთარაძე 1980: 308**). ვფიქრობ, **სახიობისა** და **მახიობელის** ამოსავალი სწორედ **ხევა** ზმნა უნდა იყოს. ფორმა **მსახიობელი** ჰგავს **მახიობელისა** და **სახიობის** კონტამინაციით გაჩენილ ფორმას, რასაც ალბათ ხელი შეუწყო **სახიობის** გადააზრებამ და სიტყვა **სახე-**სთან ასოციაციამ.

აქვე შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ თვითონ სიტყვა **ხმის (ჴმა)** ამოსავალი ძირი **ხევასთან** არ არის დაკავშირებული. **ხმის (ჴმის)** ამოსავალად მერაბ ჩუხუა აღადგენს \***ჴუ-ამ-ა** ფორმას. ამავე ძირისგან ჩანს განვითარებული ფუძეები **ჴმევა**, **საჴმარი (ჩუხუა 2000-2003: 410)**.

ცალკე უნდა იქნას განხილული, თუ რა კავშირი შეიძლება იყოს ხმიანობის გამომხატველ ფუძე **ხევას** ძირისეულ **ხ-**სა და **სახისა** და **ხედვის** ძირისეულ **ხ-**ს შორის. ვიდრე ასე შორს მიმავალ საკითხზე გადავიდოდეთ, განვიხილავთ სიტყვა **სახე-**

ლის ეტიმოლოგიას, რომელიც, ვფიქრობ, იმავე **ხ-** ძირისგან უნდა იყოს ნაწარმოები.

## 2. სახელი

ტრადიციულად, სიტყვა **სახელ-**ის ამოსავლად მიიხსენიება **ძახ** ფუძე, რომელიც წარმოდგენილია ფორმებში **ეძახის**, **ძახილი**... ამ სტატიაში სხვა მოსაზრებას გთავაზობთ. სიტყვა **სა-ხ-ელ-**ის ამოსავალი ძირი უნდა იყოს არა **ძახ-**, არამედ იგივე **ხ-** ძირი, რაც **მახიობელ-**ში და **ხ-ევა-**ში დასტურდება. ქვემოთ განვიხილავთ ტრადიციულ ეტიმოლოგიას და იმ წინააღმდეგობებს, რაც მას ახლავს.

**ძახილი** და **ზახილი** რომ ერთი და იგივე ფორმაა, ეს უუჭველია. ქართულ **ძახილს** თავისი კანონზომიერი შესატყვისები მოეპოვება მეგრულსა და სვანურში. დღემდე ამავე ძირს უკავშირებენ სიტყვასაც **სახელ-**ი. კერძოდ, ითვლება, რომ ფორმა **სახელს** საფუძვლად უდევს **ძახ-** ძირი: **ძახ-ელ-ი//ზახ-ელ-ი** → **სახელ-ი**.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითები დამოწმებულია „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონიდან“:

„ქართ. **ძახ-**: **ძახ-ილ-ი**; ვ-ე-**ძახ-ი**; და-**ძახ-ებ-ა**; **სახ-ელი-ი**...

მეგრ. **ჯოხ-**: მ-**ჯოხ-ო** „მქვია“, რ-**ჯოხ-ო** „გქვია“; **ჯოხ-ო** „სახელი“...

ლაზური **ჯოხ-/ოხ-**: ვ-უ-**ჯოხ-ევ** „ვეძახი, ვუწოდებ“, ვ-უ-**ჯოხ-ი** „დაეუძახე“/„ვეუწოდე“, **ჯოხ-ო** „სახელი“; **ჯოხ-ონ-ი** „სახელოვანი“...

სვან. **ჟახ-/ჟხ-/შხ-** მ-ა-**ჟხ-ა/მ-ა-შხ-ა** „მქვია“; ხ-ა-**ჟხ-ა/ხ-ა-შხ-ა** „ჰქვია“; **ჟახ-ე/ჟახ-ე** „სახელივ... (ფენრიხი და სარჯველაძე 2000: 622)

ქართული **ძახ-**, მეგრული **ჯოხ-**, ლაზური **ჯოხ-** და სვანური **ჟახ-** ფორმები რომ ერთი და იგივე ძირებია, ეს აშკარაა, მაგრამ, ვფიქრობ, საეჭვოა ქართული **ძახ-** ძირის დაკავშირება ქართულსავე სიტყვა **სახელ-**თან.

„ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „ქართული **სახელი** მიღებულია **\*ძახ-ელ-**ისაგან ასიმილაციური დაყრუების შედეგად. ძველი ქართულის **ზახ←\*ძახ** სპირანტიზაციის გზით, (ფენრიხი და სარჯველაძე 2000: 622). ავტორები უთითებენ კლიმოვის ეტიმოლოგიურ ლექსიკონს (კლიმოვი 1964: 236) და არნოლდ ჩიქობავას „სახელის ფუძის უძველეს აგებულებას ქართველურ ენებში“ (1942: 32).

ვარაუდს სიტყვა **სახელი**-ის წარმოშობის შესახებ (**\*ძახელი** → **\*ზახელი** → **სახელი**) გარკვეული წინააღმდეგობები ახლავს. რადგან ენამ შეინარჩუნა ფორმა **ძახილი/ვძახის** დეზაფრიკატიზაციისა (**ზახილი**) და ნავარაუდვეი ასიმილაციური დაყრუების გარეშე (**\*სახ-ილ-ი**, **\*ე-სახ-ი-ს**), ახსნას მოითხოვს, რატომ უნდა მომხდარიყო ასეთი დაყრუება მაინცდამაინც ამ ერთ ფორმაში **სახელი**. თანაც ისე, რომ არც ერთ დიალექტში არ ჩანს ნავარაუდვეი **\*ძახელის** ნაკვალევი. სიტყვა **სახელი** რომ მართლაც **ძახ-** ძირთან იყოს დაკავშირებული, მოსალოდნელი იქნებოდა, რომ რომელიმე დიალექტში მაინც შემორჩენილიყო ამოსავალი ფორმით. მით უფრო, რომ ზმნური ფორმა **მეძახიან** დღესაც გამოიყენება მნიშვნელობით „მკვია“. ეს ორი ფორმა, **სახელი** და **მეძახიან**, ერთი ძირისგან რომ იყოს ნაწარმოები, მოსალოდნელია, რომ სიტყვა **სახელი** ზმნურ ფორმასთან (**მეძახიან**) ფორმობრივ (მასალობრივ) კავშირსაც შეინარჩუნებდა და **\*ძახელის** ფორმით შეინახებოდა. მთის დიალექტებშიც კი, რომლებსაც მორფემის შიგნით ახასიათებთ დეზაფრიკატიზაცია და აფრიკატიზაცია (**ჟანგი** → **ჯანგი**, **სიზმარი** → **სიმმარი**, **ბაძევა/ბაძილი/** → **ბაზილი...** ), არ გვხვდება ფორმა **\*ძახელი** ან **\*ზახელი**. გარდა ამისა, საერთოდ, ქართულში ძნელი მოსაძებნია **ძ** → **ს** პროცესი სიტყვის ანლაუტში. მაშინაც, როცა სხვა ქართველურ ენებში **ზ-** არის წარმოდგენილი, ქართულში კი **ს-**, არსად ჩანს **ძ-** თანხმონიანი ვარიანტი (მაგალითად, **ზისხირი/სისხლი**, მაგრამ არსად ჩანს **\*ძისხირი**).

დეზაფრიკატიზაციის შედეგად **ძ-** თანხმონისგან **ზ-** ს მიღება გავრცელებული მოვლენაა (**ლომთაძე 1997: 68-70**); **ძ-** თანხმონისგან **ს-** ს მიღება დასტურდება სვანურში: **მურსგვენ** „მარ-

ჯვენა“. შდრ. მეგრ. მარტვეან. ი. ქობალავა წერს: „ქართველურ ენებში დეზაფრიკატიზაციის პროცესი საერთოდ სუსტად არის წარმოდგენილი. სუსტი უნდა ყოფილიყო იგი წინათაც. გამონაკლისს ქმნის მხოლოდ სვანური, რომლისთვისაც გარკვეულ პერიოდში ძლიერი სპირანტიზაცია ჩანს დამახასიათებელი. მაგრამ სვანურის ეს თავისებურება უკავშირდება თვით სვანური ენის ჩამოყალიბების რთულ პროცესებს, მასში განსხვავებულ ენობრივ ფენათა არსებობას“ (ქობალავა 1955: 85-85). არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმაზე, თუ რა იყო დეზაფრიკატიზაციის მიზეზი სვანურში (ლომაძე 1998: 171-174), მაგრამ ფაქტია, რომ ქართულისთვის **ძ** → **ს** პროცესი არ არის დამახასიათებელი.

არის კიდევ ერთი ფუძე, რომელშიც დასტურდება **ძ** → **ზ**-პროცესი სიტყვის ანლაუტში. ეს არის ფორმა **ზესიძე**, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა იქონია ამოსავალი მნიშვნელობის დაბნელებამ და სიტყვის სემანტიკურმა გადააზრიანებამ. ამ ფორმაში დასტურდება **ძ** → **ზ**-პროცესი სიტყვის ანლაუტში. ფორმა **ზესიძის** ამოსავალი უნდა იყოს **ძესიძე**. მაგრამ აქ, ფონეტიკური პროცესის გარდა, გადააზრიანებასაც უნდა შეესრულებინა დიდი როლი. ეს სიტყვა თავისი ამოსავალი ფორმით **ძესიძე** დასტურდება მთიულურ დიალექტში. მოსალოდნელია, რომ სიტყვა **ძესიძე** მთის სხვა დიალექტებშიც იყოს ამ ფორმით შემორჩენილი. კომპოზიტის პირველი ნაწილი – **ძე** – „მემკვიდრეს“ ნიშნავს, **ძესიძე** კი „სიძეს“, რომელიც იმავე დროს მემკვიდრეც არის. სიტყვა **ძე** ამ კომპოზიტში ზუსტად იმავე მნიშვნელობით ჩანს შემორჩენილი, რომლითაც ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანშიც“ დასტურდება: „*სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული*“, მეფეს არ ჰყავდა სხვა მემკვიდრე, გარდა ასულისა, მეფის ასული იყო მეფის ერთადერთი **ძე**, ანუ ერთადერთი **მემკვიდრე**. რამდენადაც მემკვიდრედ, ჩვეულებრივ, ვაჟი მიიჩნეოდა, ბუნებრივია, სიტყვამ **ძე** (მემკვიდრემ) სალიტერატურო ქართულში თანდათან ვაჟის მნიშვნელობა შეიძინა. ამოსავალი მნიშვნელობით კი (მემკვიდრე) კომპოზიტ **ძესიძე**-ში შემორჩენილა.

სალიტერატურო ქართულში სიტყვა **ძესიძე**-ის ანლაუტის **ძ**-ის დეზაფრიკატიზაცია ფაქტია (**ძესიძე** → **ზესიძე**), მაგრამ არც

ეს პროცესი წასულა უფრო შორს და არ მომხდარა იმ სახის დისტანციური ასიმილაცია (**ზესიძე** → **\*სესიძე**), რომელიც ივარაუდება სიტყვა **სახელ-**ში (**\*ძახელი** → **\*ზახელი** → **სახელი**). თუმცა, ისევ გავიმეორებთ: რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია სემანტიკური ფაქტორიც. ამოსავალი ფორმიდან (**ძესიძე**) ახალი ფორმის მიღება (**ზესიძე**) სემანტიკურმა გადაზრებამ განაპირობა, რის გამოც ფორმა **ძესიძე** ჯერ **ზესიძე**-დ და შემდეგ **ზედსიძე**-დ იქცა.

არის სხვა ფუძეები, სადაც ხდება აფრიკატის ასიმილაციური დაყრუება, მაგალითად, **ძარცვა** → **ცარცვა**, **გაძარცვა** → **გაცორცა**, მაგრამ მუდური აფრიკატის ყრუ სპირანტად გადაქცევა (**ძ** → **ს**) არც აქ დასტურდება. მართალია, არის ასეთი წყვილები: **ზრქელი**//**სქელი**, მაგრამ აქ არსად ჩანს **\*ძრქელი** ან **\*ძქელი**, არის **ზრო**//**ძრო** (შდრ. **ძირ-ი**), მაგრამ არ დასტურდება **\*სრო**. მაშასადამე, თუ დავუშვებთ, რომ სიტყვა **სახელ-**ი მომდინარეობს **\*ძახელ-**ისაგან, აუხსნელი რჩება, რა მიზეზით იჩინა თავი ამ ნავარაუდევმა პროცესმა მხოლოდ ამ ერთი სიტყვის ანლაუტში (**\*ძ** → **ზ** → **ს**).

აქვე დავიმოწმებთ დებულებას ბესარიონ ჯორბენაძის ფუნდამენტური გამოკვლევიდან ქართული დიალექტების შესახებ. იგი განიხილავს დეზაფრიკატიზაციის მოვლენას ქართული ენის ყველა დიალექტის მონაცემების მიხედვით და წერს: „მუდური და ყრუ მკვეთრი აფრიკატი გადადის მუდურ სპირანტში, ყრუ ფშვინვიერი იცვლება ყრუ სპირანტით“ (**ჯორბენაძე 1998: 484**). ამავე ნაშრომში განიხილულია როგორც აფრიკატების (**იქვე, გვ. 352-355**), ისე **ზ-** თანხმოვნის (**იქვე, გვ. 355**) დაყრუების (და სხვა შესაძლო ცვლილებების) პოზიციები და მიზეზები ქართული ენის დიალექტებში. ეს მონაცემები არ ადასტურებენ **ძ** → **ს** პროცესს სიტყვის ანლაუტში. **ზ** → **ს** პროცესი კი, სადაც კი ის დასტურდება, არის კონტაქტური (და არა დისტანციური) ასიმილაციის შედეგი.

გარდა ამისა, ძეგლებში დადასტურებული **ზ-**თანხმოვნიანი ფორმა **ზახილი** ვერ გამოდგება იმის დასტურად, რომ **ზ-**თანხმოვნიანი ფორმები ისტორიულად წინ უსწრებდა **ძ-** თანხმოვნი-

ან ფორმებს. პირიქით, სწორედ **ძახილი** უნდა იყოს ფორმა **ზახილ**-ის ამოსავალი (ამას მოწმობს მეგრულისა და სვანურის მონაცემებიც). ისიც გასათვალისწინებელია, რომ საკუთრივ სიტყვა **ძახილ**-ის ამოსავლად **ზრახ-ძრახ**- ფორმები მიიჩნევა (**ჩიქობავა 1942: 32**). ვფიქრობ, **ძახ**- ფორმის **ძრახ**- ფორმისაგან წარმოშობის მტკიცებას დამატებითი დასაბუთება ესაჭიროება. თუკი გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ **ძახ**- და **ძრახ**- ფორმები საერთო წარმოშობისაა, უფრო მეტად გაძნელებულია, ერთი მხრივ, **ძახ/ზახ/ძრახ/ზრახ** ძირებისა და, მეორე მხრივ, **სახელ**-ის ერთმანეთთან დაკავშირება.

ზმნა **მეძახიან**, მნიშვნელობით „მქვია“, ქართულშიც გამოიყენება. მეგრული **ჯოხ**-ო „სახელი“ და სვანური **ქახ**-ე „სახელის“ შესატყვისი ქართულში სწორედ **ძახ**- ძირია. მაგრამ ქართული **სახელი** წარმოშობით ქართულ **ძახ**- ძირთან რომ იყოს დაკავშირებული, მაშინ ეს ძირი (**ძახ**-) სიტყვა **სახელ**-შიც იქნებოდა დაცული. ვფიქრობ, **სახელ**-ის ამოსავალი უნდა იყოს არა **ძახ**-, არამედ იგივე **ხ**- ძირი, რომელიც **ხევა**-ა ფორმაშიც დასტურდება. ეს ფორმა, **სახელი**, უნდა იყოს მომავალი დროის მიმღეობა **სა-ხ-ელ-ი**, რომელიც გამოხატავს სწორედ ამ სიტყვის, **სახელის**, მიზანს, დანიშნულებას (მსგავსად მომავალი დროის მიმღეობებისა: **სა-თქმ-ელ-ი**, **სა-ჭრ-ელ-ი**, **სა-ჭმ-ელ-ი**...): **სა-ხ-ელ-ი** „მოსახმობი ფორმა“. **სახელი** რომ **\*ძახ-ელ**-ისგან მომდინარეობდეს (**\*ძახ-ელ-ი** → **სახელი**), მაშინ **სახელი** იქნებოდა შედეგის აღმნიშვნელი, წარსული დროის მიმღეობა. შდრ. ამავე **-ელ** სუფიქსით ნაწარმოები: **ქს-ელ-ი**, **ჭრ-ელ-ი**, **გრძ-ელ-ი**, **ვრც-ელ-ი**, **ყინ-ელ-ი**.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ სიტყვა **სახელ**-ი ნაწარმოები უნდა იყოს არა **ძახ**- ძირზე - **ელ** სუფიქსის დართვით, არამედ **სა-** და **-ელ** აფიქსებით, მისი ამოსავალი ძირი კი უნდა იყოს არა **ძახ**-, არამედ ხმიანობის გამოხმატკველი **ხ**- ძირი, რომელიც დასტურდება **ხევა**-ა, **მა-ხი-ლ-ელ**, **მე-ხ-ურ** და **მე-ხ-ელ** ფორმებში.

### 3. ხ-ებ-ა, ხედვა, სახე

მოსალოდნელია, რომ ამავე **ხ-** ძირის ამოსავალი, პროტოტიპული მნიშვნელობა ფიზიკური შეხების გამოხატვა ყოფილიყო. ეს იგივე ძირი უნდა იყოს, რომელიც წარმოდგენილია **ხ-ებ-ა** ზმნასა და, ასევე, **ხ-ეგ-ა** ზმნაშიც. ამჯერად ვგულისხმობთ **ხეგა** ზმნას, რომელსაც გაყოფის, დანაწილების მნიშვნელობა აქვს. **ხ-ეგ-ა** ზმნის შესატყვისი სვანური ფუძე **ღი-ხი-ორ-ე** განხილული აქვს მ. ჩუხუას. ის ამ ძირს სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიც უძებნის შესატყვისობებს (**ჩუხუა 2000-2003: 401**).

მნიშვნელობის სხვადასხვა მიმართულებით განვითარება დაედო საფუძვლად აღქმისა და შეგრძნებების გამომხატველ სხვადასხვა ფუძეს. ფიზიკური შეხების, ხმის გამოცემის, გრძნობა-აღქმისა და გაგების გამომხატველი ზმნები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ვფიქრობ, რომ ეს არის იგივე **ხ-** ძირი, რომელიც წარმოდგენილია **ხ-ილ-გ-ა**, **ხ-ედ-გ-ა**, **სა-ხ-ე** ფორმებშიც. თავის მხრივ, **ხილვა** ფორმის **ხ-ს** აკავშირებენ იმ **ხ-** ძირთან, რომელიც თავს იჩენს სვანურ **მა-ხალ** „ცოდნა“ ფორმაში. **გა-ხ-ელ-ა**, **ხ-ილ-ულ** ფორმებში დადასტურებულ **ხ-** ძირს მერაბ ჩუხუა აკავშირებს სვანურ **ხალ-**, **ხ-ო-ხა//ხ-ო-ხალ** „იცის, ჰგონია“, **მა-ხალ** „ცოდნა“ ფორმებთან: „ქართულ **ხელ-/ხილ-** (ახელს/გაახილა) და სვანურ **ხალ-** ფუძეთა ერთიანობაზე ადრეც მიუთითებდნენ: სვან. **ხალ-ა** არა მხოლოდ ძირეული მასალის მიხედვით, არამედ სტრუქტურულადაც შესაძლოა ქართ. (ა)–**ხ-ელ** ზმნური ფუძის ადეკვატური იყოს (ილ. ცერცვაძე). **ხ-ელ/ხ-ილ** ფუძე საერთო ძირისაა **ნა-ხ-ა**. **ხ-ედ-გ-ა**, **სა-ხ-ე** ფორმებთან (კ. თოფურია)“ (**ჩუხუა 2000-2003: 393**).

ერთი და იმავე ძირისგან, ერთი მხრივ, **ხედვისა** და, მეორე მხრივ, **თქმის** გამომხატველი ფუძეების წარმოება სხვა ენებშიც დასტურდება. კერძოდ, ლათინურში, ბერძნულში და ზოგ სხვა ენაში ერთი და იმავე ძირებისგან იწარმოება „დანახვის, თქმის და უკან გაყოლის“ გამომხატველი ფუძეები (**ინდოევროპული ენების ეტიმოლოგიური ლექსიკონი**). **დანახვა** როგორც ფიზიკური მოძრაობა – „უკან გაყოლა (ან თვალებით, მხერით გაყოლა)“ – გვხვდება ლათინურში და სხვა ენებში. მით უფრო მოსალოდნელია, რომ **შეხება** და **ხედვა** ერთი ძირიდან მომდინარეობ-

დეს. მსგავსი პოლისემია სხვა ენებშიც დასტურდება. მაგალითად, ერთ-ერთ ავსტრალიურ ენაში, ნგარინჯინ ენაში, ღარტყმა და შეხედვა ერთი და იმავე ძირით იწარმოება. ზმნა **შეხედა** გამოხატულია ფორმით, რომლის ზუსტი თარგმანი იქნებოდა „სინათლე დაარტყა, მოახვედრა“. „შეხედვის“ მსგავსი სემანტიკა ბევრ სხვა ენაშიც დასტურდება, მათ შორის, ევროპულ ენებში, გამოთქმებში, როგორცაა “მზერა სტყორცნა” და სხვა (**ვიბერგი 2001: 1302**).

ქართულში სწორედ თარგმანის საშუალებით უნდა იყოს შემოსული ეს კონსტრუქცია (მზერა ესროლა, მზერა სტყორცნა), თუმცა არც ქართულისთვის ჩანს უცხო „შეხედვის“ მნიშვნელობის გამოხატვა მსგავსი კონსტრუქციით. როგორც ცნობილია, ივარაუდება, რომ **ხედავს** ზმნა წარმოშობით სამპირიანი უნდა ყოფილიყო: **ჰხედავს ის მას \*თვალებს, შეჰხედა მან მას \*თვალები (შანიძე 1980)**. **შემომხედა** ზმნა მრავლობითი რიცხვის პირდაპირ ობიექტს გულისხმობდა საშუალ ქართულშიც: „ვეუთხარ: დადეგ, გამიგონე, შენი საქმე მეცა მინა! **შემომხედ-ნა**, მოვეწონე, სიარული დაითმინა“ („ვეფხისტყაოსანი“, 596). ხალხურ პოეზიაში „**შემომხედას**“ მნიშვნელობით დასტურდება **თვალნი შემომყარნა**. ამ მხრივ საინტერესოა ხედვის სემანტიკური ველის განვითარებისა და ცვლილებების აღწერა ქართულში და სხვა ენებში (**მგელაძე 1993, თორია 2002ა: 147-149; თორია 2002ბ: 151-155**).

„აღქმის, შეგრძნების, გაგებისა და ცოდნის“ მნიშვნელობის ზმნათა ამოსავალიც ასევე „ფიზიკური მდგომარეობის, სივრცული მიმართების ანდა შეხების“ გამომხატველი ზმნები ჩანს, საიდანაც ადვილად ვითარდება „ხმიანობის, თქმის, ლაპარაკის“, აგრეთვე სხვადასხვა შეგრძნების მნიშვნელობა. ამის დასტურად მოვიხმობთ ქართული -გ- ძირისგან განვითარებულ სხვადახვა მნიშვნელობას. ამოსავალი უნდა იყოს „სივრცის, ადგილის“ გამოხატვა. ამ ძირის სემანტიკური განვითარება რამდენიმე ფუძეში დაწვრილებით არის შესწავლილი (**ჩიქობავა 2008: 256-257; თოფურია 2002: 431-433, ბერიძე 1942: 381-388**), **კლიმოვი 1964: 57-58; არაბული 1998, არაბული 2001: 234-239, ფენრიხი და სარჯველაძე 2000: 129-130; ბერიძე 2008: 52-55**). -გ- ძირი წარმოდგენილია



„ადგილის, არსებობის, გაგების“ გამომხატველ ფუძეებში და შეძენილი აქვს ბევრი სხვა მნიშვნელობაც, მათ შორის, „საუბარი“: **მიუგო (სიტყვა, პასუხი)**; აქაც ჩანს, რომ სივრცული მიმართების გამომხატველ ძირს აქვს უნარი, განივითაროს „შეცნობის“, „მქონებლობის“ და, აგრეთვე, „ლაპარაკის, საუბრის“ მნიშვნელობები. ეს ძირები, რა თქმა უნდა, ენის უძველეს ფენებს მიეკუთვნება. მათ მასალობრივად ნაცვალსახელურ ძირებთან (და ზოგჯერ კლასის ნიშნებთანაც) აკავშირებენ (**ლომთათიძე 1963: 29-32; ოსიძე 1998: 232; ლომთათიძე 1997: 72-73; არაბული 1998: 17**). ამავე სემანტიკურ წრეს მიეკუთვნება „თქმის“ და „მქონებლობის“ გამომხატველი საერთო ძირი **ქუ-** ძირი, რომელიც **აქვს** ზმნაშია წარმოდგენილი და **თქმა** და **რქმა** ფუძეების ამოსავალიც არის (**თოფურია 2002: 430**). აქაც აშკარაა, რომ ზმნები, რომლებიც გამოსატყვევნი **ფიზიკური შეხებას, მქონებლობას და ხმიანობას, თქმას (დალაპარაკებას)**, ერთი და იმავე ძირისგანაა წარმოქმნილი. ასეთივე პოლისემიური ძირი უნდა ყოფილიყო **ხ-** ძირიც, რომლისგანაც განვითარდა **შეხების, ხედვის (დანახვის) და ხმიანობის (/ხევის)** მნიშვნელობები.

„თქმის“ და „კეთების“ აღმნიშვნელი საერთო ფუძეები გვხვდება ლაზურშიც. ქართული **ღად-** (**მ-ღად-ელ-ი** → **მღდელი**) ძირის შესატყვის ლაზურ **ღოდ-** ძირთან დაკავშირებულია როგორც „თქმის“, ასევე „კეთების“ მნიშვნელობები (**ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 501**). ანალოგიური მოვლენა სხვა ენებშიც დასტურდება, მაგალითად, ლათინურში: ავი „თქმა; კეთება“, უდიურში: **ფესუნ** „თქმა; კეთება“ (**იქვე, გვ. 501**). „ფიზიკური მოქმედებისა და ლაპარაკის“ გამომხატველად ერთი და იგივე ზმნები ქართულშიც დასტურდება. **სიღოდას** მრავალი სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა ძველ ქართულშიც: „ხმიანობა, სიცილი, ცეკვა“, და ა.შ. (**სულხან-საბა**). **სიტყუა** ნიშნავდა როგორც „ლაპარაკს“, ისე „მოქმედებას, შექმნას“, აგრეთვე, „გაგებას“ (და ასევე „ტყუილს“).

ეს მნიშვნელობები მას ძველ ქართულშივე უდასტურდება. **გაკეთება, შექმნა**: „დიდი ეფრემ მრავლისა კეთილისა მომატყუებელ ექმნა ქუეყანასა ჩუენსა“ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრე-

ბა“); „ესოდენისა კეთილისა მომატყუებელ არს მსოლოდშობილი და წინამორბედი იგი ნათლის-მცემელი იოვანე“ (**უდაბნოს მრავალთავი 2170**). **მოტყუება**: „შეტყუება – ტყუილი, მოტყუება „გვედრები დედოფალო, შეტყუებით ვთქუ“ – უდაბნოს მრავალთავი, 43v“ (**სარჯველაძე 1995: 241**); **შეტყობა, გაგება**: “მოავლინებით ჩუენდა კაცნი თქუენგანნი, რომელნი ბრძნად საგონებელ იყენენ და საქმესა შემატყუებელ“ **ბალავარ. 144. 33-35“ (ფენრიხი და სარჯველაძე 2000: 446)**. თვითონ **სიტყვისა და ტყუების** ამოსავალი ძირის მნიშვნელობაც სწორედ ფიზიკური შეხების გამოხატვა უნდა ყოფილიყო. კერძოდ, ამ ფორმის ამოსავალი უნდა იყოს იგივე **ტყ**- ელემენტი, რომელიც **ტყ-ებ-ა** და **რ-ტყ-მ-ა** ზმნაში დასტურდება (ამ ზმნის შესახებ იხ.: **ქავთარაძე 1947: 447-449**). ამავე ძირისგან არის ნაწარმოები ლექსემები **სიტყვა** და **ეტყობა** (ევიდენციულობის ნაწილაკებიც ამ სემანტიკის ზმნებისგან იწარმოება: **ეტყობა = ჩანს, როგორც ჩანს, ე-გ-ება, იქნება, შეიძლება**). იგივე **ტყ** ძირი უნდა იყოს ამოსავალი **ტყ-ა-გი** (ა-რ-ტყ-ია, დაკრული აქვს) და, იქნებ, **ტყ-უბ-ი//ტყ-უბ-ი** ფუძეებისათვის. **ტყ-უბი** „შეწებებულის, მიტყუებულის“ მნიშვნელობით.

„შეხების, სივრცეში ახლომყოფობის“ გამომხატველ ზმნას აქვს უნარი, შეიძინოს „ჭამის“ და „სმის“ მნიშვნელობაც. აღწერილია **ეახლება** ზმნის მსგავსი სემანტიკური გადაწვევა (**ქავთარაძე 1985: 115-119**). **ეახლება** ზმნის ფუძე **ხლ-დაკავშირებულია ა-ხლ-ო** და **ა-ხლ-ა** ფუძეებთან (**კლიმოვი 1964: 260**), მას აკავშირებენ სვანურ **მა-ხ-ე** („ახალი“) ფუძესთანაც (**ფენრიხი და სარჯველაძე 2000: 692**). შესაძლოა, რომ თვითონ **ხლ-/ხელ-/ხალ-(ახალ-)** ფუძეშიც ძირი იყოს **შე-ხ-ებ-ა** ზმნისეული **ხ-** (რა თქმა უნდა, სხვა ძირებია **კვლ-** და **ჭალ-** ძირები, რომელიც განხილული აქვს ა. არაბულს, **2001: 144**).

ასე რომ, მნიშვნელობის გადაწვევა და ურთიერთგაცვლა „შეხების, დანახვის, თქმის, ლაპარაკის, კეთების“ სემანტიკური კვლის ზმნეში გავრცელებული მოვლენაა.

ცალთანხმოვნინანი ძირის მქონე უძველესი ლექსემების ფენა **-გ-, -რ-** და **-გ-** მასალობრივად საერთოა ზმნური და ნაცვალსახელური ძირებისათვის (**არაბული 1998: 17; 2001: 238**). **ხ-** ძირი

სწორედ იმ ცალთანხმოვნიანი ძირის მქონე უძველესი ლექსემების ფენას უნდა მიეკუთვნებოდეს. არ არის გამორიცხული, რომ მას კავშირი ჰქონდეს პირის ნიშან **ხ**-სთან. შეიძლება, სწორედ ამიტომ იჩენდა თავს ის სხვადასხვა პირში და არ იყო სპეციფიკურად ერთი პირის გამომხატველი. თუმცა აქ ამ მოსაზრებას მხოლოდ ვარაუდის სახით გამოვთქვამთ. ამ ვარაუდის სისწორის გარკვევას შემდგომი კვლევა სჭირდება.

აღქმის, არსებობის და მქონებლობის გამომხატველი ზმნები არა მარტო გარკვეული მორფოლოგიური და სინტაქსური ნიშნებით ემსგავსებიან ერთმანეთს მრავალ ენაში (სტატიკურობა, მიცემითბრუნვითი სუბიექტი და სხვ.), არამედ ლექსიკურად და სემანტიკურადაც ბევრი ნიშნით ერთიანდებიან და ამჟღავნებენ საერთო ტიპოლოგიას (**სუხიშვილი 1976: 73; ლოლაძე 2003: 74-81, ვიბერგი 2001: 1297**).

**ხ**- ძირი საერთო უნდა იყოს **შეხების, ხმიანობისა და დანახვის** მნიშვნელობის გამომხატველი რამდენიმე ზმნისთვის. ბუნებრივია, რომ აღქმის გამომხატველი ზმნები ასეთ პოლისემიას გვიჩვენებენ. ყურადღება, გაგება, გაგონება, აღქმა, აღება, სუნის შეგრძნება, შეხება, ხმის ამოღება და, ბოლოს, ცოდნა – ყოველივე ამის პროტოტიპული ამოსავალი მნიშვნელობა ქართულ ენაში ალბათ **შეხება, ფიზიკური შეგრძნება და სივრცული ურთიერთგანლაგების აღწერა** უნდა იყოს. ამ მხრივ ძალიან ბევრი ენა, მათ შორის, აგებულებით ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული, არამონათესავე ენები, გვიჩვენებს ტიპოლოგიურად მსგავს სურათს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

**აბულაძე, ილია 1960:** ძველი ქართული ლექსიკიდან: ძალი – ძნობა – მძნობარი და \*ხე/\*ხი- -- ხიობა//სახიობა – მახიობელი//მსახიობელი. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XII. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

**არაბული, ავთანდილი 1998:** ზოგი ცალთანხმოვნიანი ზმნური და სახელური ძირის ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ

- ენებში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები VII, თბილისი, ქართული ენა.
- არაბული, ავთანდილი 2001:** ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში. თბილისი, ქართული ენა.
- ბერიძე, ვუკოლი 1942:** *საგან* სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, N4.
- ბერიძე, მარინე 2008:** არსებობის ზმნები და სივრცის დანაწევრება ქართულში. იკე XXXVI, თბილისი.
- ვიბერგი 2001:** Åke Viberg, Verbs of perception, in: Haspelmath, Martin (Editor). Language Typology and Language Universals, Volume 2, Berlin, DEU: Mouton de Gruyter.
- თორია, ფიქრია 2002ა:** „ხედვის„ სემანტიკური ველის შესახებ. საენათმეცნიერო ძიებანი XIII, თბილისი, ქართული ენა.
- თორია, ფიქრია 2002ბ:** ინგლისური ზმნის „to see“ პოტენციური შესაძლებლობები კონტექსტში. საენათმეცნიერო ძიებანი XIII, თბილისი, ქართული ენა.
- თოფურია, ვარლამი 2002:** დ თავასართიანი ზმნები ქართულში. შრომები, ტ. II.
- იმნაიშვილი, ივანე 1986:** ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
- ინდოევროპული ენების ეტიმოლოგიური ლექსიკონი:** <http://www.etymonline.com/index.php?term=see> (29 მარტი, 2014)
- კეკელიძე, კორნელი 1980:** ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, მეცნიერება.
- კლიმოვი 1964:** Климов, Г. А. Этимологический словарь картвельских языков. Москва, Издательство наук академий СССР.
- კობაიძე, მანანა 1997:** „ვეფხისტყაოსნის“ ხევა ტერმინისათვის: ეტიმოლოგიური ძიებანი VI, თბილისი, მეცნიერება.
- ლოლაძე, ნანა 2003:** გრძნობა-აღქმის ზმნები ქართულში. ბესარიონ ჯორბენაძისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, ქართული ენა.
- ლომთათიძე, ქეთევან 1963:** ქართული *აქვს* ზმნა მეგრულში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები III. თბილისი.

**ლომთათიძე, ქეთევან 1980:** „მოწონება-სიყვარულის,, გამომხატველ ზმნათა ამოსავალი სემანტიკისათვის. საქ. ენის კათედრათა კონფ. თეზისები, თბილისი.

**ლომთათიძე, ქეთევან 1997:** ყოფნა-არსებობისა და ქონა-ყოლის გამომხატველ ზმნათა ძირეული ნაირსახეობების წარმომავლობა ქართველურ ენებში და მათ საერთო ამოსავალთან აბაზურ-აფხაზურ მონაცემთა კავშირი, ქუთაისური საუბრები, IV.

**ლომთაძე, ამირანი 1997:** დეზაფრიკატიზაცია (სპირანტიზაცია) ქართველურ ენებში, ძ>ზ, ქუთაისური საუბრები IV, ქუთაისი.

**ლომთაძე, ამირანი 1998:** დეზაფრიკატიზაცია (სპირანტიზაცია) ქართველურ ენებში, წ>ს, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები VII, თბილისი, ქართული ენა.

**მგელაძე, მანანა 1993:** მარკირების მიმართება და სემანტიკური - ველი („ხედვის“ სემანტიკური ველის მასალაზე ძველსა და - საშუალო ქართულში).

**ონიძე, ეკატერინე 1998:** ვარაუდები „არსებობისა“ და „ქონა-ყოლის“ აღმინიშნელი ზოგი უძველესი ზმნის წარმომავლობის თაობაზე, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VII, თბილისი, ქართული ენა.

**მეტრეველი, ელენე 1966:** „მეხელისა“ და „მეხურის“ გაგებისათვის, შოთა რუსთაველი: ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი, მეცნიერება.

**სარჯველაძე, ზურაბი 1995:** ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**სუხიშვილი, მურმანი 1976:** სტატიკური ზმნები ქართულში.

**ფენრიხი, ჰაინც და ზურაბ სარჯველაძე 2000:** ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**ქავთარაძე, ივანე 1947:** დ- და რ- თავსართები ქართულ ზმნებში, თსუ შრომები, ტ. 30-31.

**ქავთარაძე, ივანე 1954:** ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი.

**ქავთარაძე, ივანე 1980:** ეტიმოლოგიური ძიებები, იკე 22, თბილისი, მეცნიერება.

- ქავთარაძე, ივანე 1985:** სიტყვათა სემანტიკური განვითარების ისტორიიდან ქართულში. იკე 23, თბილისი, მეცნიერება.
- ქობალავა, იზა 1955:** აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე IX-X, თბილისი.
- შანიძე, აკაკი 1980:** ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, ტ. III, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჩიქობავა, არნოლდი 1942:** სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.
- ჩიქობავა, არნოლდი 2008:** ჭანურ-მეგრული ლექსიკონი: შრომები IV, თბილისი.
- ჩუხუა, მერაბი 2000-2003:** ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, უნივერსალი.
- ჯორბენაძე, ბესარიონი 198:** ქართული ზმნის ფორმობრივის და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჯორბენაძე, ბესარიონი 1998:** ქართული დიალექტოლოგია, 2. თბილისი.
- ჯღამაია, ც. 1962:** „მეხურისა,, და „მეხელის“ შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე N3.

## **Manana Kobaidze**

### **Some stems expressing different perception modalities and their shared root kh- in Georgian**

The paper discusses etymology of some stems, among them, stems *m-kh-i-ar-ul-i* ‘cheerful’ and *sa-kh-el-i* ‘name’. It is supposed that the both stems are participles derived from the verb *kh-ev-a* ‘to sound, to talk aloud, to recite’. The same root occurs in verbs *kh-ed-v-a* ‘to see’, *kh-eb-a* ‘to touch’. The original meaning of the root *kh-* must have been expression of physical contact. The similar shared etymology of different perception verbs is attested in wide range of languages and has been examined in lexical typology.

## ნანა მაჭავარიანი

### ზმნის სათანადო კატეგორიის წარმოშობის კვალი ქართულში

ავხაზური ზმნა მდიდარია მორფოლოგიური (მოდალური) კატეგორიებით. მათ შორისაა ე. წ. საურთიერთო-სათანადო კატეგორია, რომელიც გამოიხატება **ა-ც**–**ე-ც** რთული მორფემით და ზმნურ ფორმაში აღნიშნავს თანხლებას: **ს-ცოღტ** „მივიღვარ“, მაგრამ **ჰ-აღც-ცოღტ** „ჩვენ ერთად მივიღვართ“, პრეფიქსი **ც-** დამოუკიდებლადაც იხმარება, ძირის მსგავსად, და თანხლებას გამოხატავს მაგ.: **ს-ლღ-ც-უჰ** „მე მას (ქ.) ვახლავარ“, **ს-ი-ც-ცოღტ** „მე მასთან (მკ.) ერთად მივიღვარ, მივყვები“ აქ ოდენ –**ც** მორფემითაა გამოხატული თან მეოფობა, ზმნური ძირის გარეშე. თავად ეს მორფემა წარმოშობით „ცალის“ აღმნიშვნელი შეიძლება იყოს; შდრ.: **ა-ც** „კბილი“, **ა-ც** „მარცვალი“, **ა-ცა** „ბალი“, **ა-ცახა** „ნაჭერი, ნაგლეჯი“ და ამ ძირთაგან მიღებული მასდარი –**ა-ა-ც(ზაა)რა** „თანხლება“, რომელშიც –ზაა „განგრძობითობის“, „დიურატიულობის“ მაჩვენებელია.

ასეთივე ვითარება უნდა გვქონდეს ფშაურსა და ხევსურულში, შემდეგ მაგალითებში:

„ჭორმიშელთ, ჭიელთ ბიჭებსა/ ღულელებიცა **სტანია**“, „როლი ფიქრობენ, – ბახტრიონს /ბევრი თათარი **სტანაო**“ (**ვაჟა-ფშაველა** „ბახტრიონი“), წამოიყვანეს დაჭრილი, /ზვიადაურიც **სტანია**“ (**ვაჟა-ფშაველა** „სტუმარ-მასპინძელი“).

**ს-ტანაგ** ახლავს. ერთ სხვა ამხანაგი - **სტანაგ** (ბ. გაბ. 168, 16); „ხუთ მეტ იყვნეს, ხუთი-ექვს გათაულ ჯიხვ **ეტანდა** სხვან კი სრუ წვრილნ იყვნეს (ბ. გაბ. 192, 17); ის რქისტებ არხოტიონს არ მახკვლენ, რომ ესას მათ არ **ეტანას** (ბ. გაბ. 199, 18); ერთ იყო ხოგაისმ ინდი, ოთხნი **ეტანნეს** სხვანია (ხევს. პოეზ. 146, 4); ხახიკაურებ ვაჟები ნაჩვევებ იყვნეს ცდასაო; შიგ **სტანაგ** ორი ღულელი, ერთ იქდახდა სხვასაო (ხევს. პოეზ. 50, 13).

**ტანება** 1. თან ყოფნა, გვერდზე ყოფნა, ხლება. „ნუღარ გამიგებინავბ აის **ტანებასავ** (ხევს. თავისებ. 357, 19). 2. მივარდნა,

მიხდომა (ხშირად) **ტანებულა** „სტანავ“ ზმნის თურმ.) ახლდა თურმე. უავარგაივ ჩვენს ხალხს **ტანებულ** (ხევს. თავისებ. 353, 22).

ავხაზურის მსგავსად, ამ მაგალითებშიც, ვფიქრობთ, **ტან** < \***თანა** /**თან** თანდებულის ზმნადქცეული ფორმა გვაქვს: **ს-ტან-ი-ა**. სადაც **ს-** მესამე ირიბობიექტური პირის ნიშანია, -**ა** მესამე სუბიექტურისა, -**ი**- შესაძლოა თემისნიშნისეული იყოს.

ზმნური **ტან** ძირის ამოსავალი ფუძე უნდა იყოს \***თან-ნა/თან**, რომელიც უცვლელი სახით, თანდებულის ფორმით შემოინახა ენამ.

**ტან** გვესახება **თანა/თან** თანდებულის ფონეტიკურ ვარიანტად.

ვფიქრობთ, წერილობითი ძეგლების შექმნის პერიოდისათვის ეს პროცესი უკვე დასრულებული უნდა იყოს.

პირველ ქართულ წერილობით ძეგლში – „წმიდა შუშანიკის წამება“ დადასტურებულია: „**თანა** წარი**ტან**ნა ევანგელს და წმიდანი წიგნი იგი მოწამეთანი“...

აქ სახეზეა **თანა** თანდებულიანი „წარი**ტან**ნა. ისმის კითხვა: თუკი **თან** და **ტან** ერთსა და იმავეს გამოხატავს, რატომ გამოიყენება ორივე ერთდროულად? ხომ არ ხდება ეს ინტენსივობის გადმოსაცემად?

„და დაშთა მხოლოდ ნოე და მის**თან**ანი ნიკიდობანსა შინა“ (შესაქმე), ამ მაგალითში ლაპარაკია ნოეს „თანმხლებ“ არსებებზე. „თანა“ გაფორმებული ნაცვალსახელითა და მრავლობითის ნიშნით გამოხატავს თან მყოფობას...

**ქეთევან ლომთათიძე** თავის ერთ-ერთ ორიგინალურ ნაშრომში „**მარტო, მარტივი**“, აღნიშნავს: ქართველურ ენებში სონანტის მეზობლად ხშულის გამკვეთრების არსებობის საფუძველზე ირკვევა, რომ **მარტო, მარტივი**... სიტყვათა ამოსავალი ფუძე უნდა ყოფილიყო **მართ**.

ხემოთ მოყვანილ მაგალითებში ეს პირობა არაა, რას უნდა გამოეწვიოთ **თ > ტ**? ერთი წარმოშობის მორფოლოგიური ოდენობა, სემანტიკით – „თან მყოფობა“ წარმოდგენილია ზმნაში აბრუპტივით -**ტ**, სახელში კი ფშვინვიერით -**თ**...



ჩვენი აზრით, ომონიმიის დასაძლევად ენამ მიმართა ფონეტიკურ საშუალებას.

ამრიგად, თუ დაეუშვებთ, რომ ქართულში ტან<\*თან, მანინ ქართულსა და აფხაზურს „თან მყოფობის“ სემანტიკის გამოსახატავად, ერთნაირი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტაქტიკა აქვთ არჩეული.

ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით, ეს მოვლენა საინტერესოდ გვესახება და აფხაზური და ქართული ენების გრამატიკული წყობის ერთნაირი მიმართულებების კიდევ ერთ-ერთ დასტურად შეიძლება გამოდგეს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბილისი, 1986.

ქ. ლომთათიძე, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 52-ე სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1993, 14.

ალექსი ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი, 2005, 835, 836.

**Nana Machavariani**

### **Trace of formation of the verb's category of accompaniment in Georgian**

#### **Summary**

Abkhazian language is rich with morphological categories. Among them there is so called a relational-proper category that is expressed by **aj-c** > **ej-c** complex morpheme that denotes 'accompaniment' in a verbal form: **s-cojṭ** 'I'm coming', but **h-ajc-cojṭ** 'We are coming together'. Like a root, a prefix **c-** is used independently and denotes 'accompaniment'. E.g.: **s-lḡ-c-up** 'I'm accompanying her', **s-i-c-cojṭ** 'I'm going together with him'. In this

example ‘accompaniment’ is expressed by **-c** morpheme, without a verbal root.

The paper deal with the view that the similar situation occurs in Pshavian and Khevsurian.

I believe, that like Abkhazian, in these examples there is a phonetic variety of **ṭan<\*tan** preposition that turned into a verbal form: **s-ṭan-i-a**. A verbal root **ṭan** and **tan** postposition seems to be of one origin.

## **მეფა საღლიანო**

### **სივრცული ლოკალიზაციისთვის სვანურში**

**I. აღამიანთა, ცხოველთა, ფრინველთა, მფერთა და ქვეწარმავალთა მეფეარეობის აღმნიშვნელი ზმნების სივრცული ლოკალიზაცია და მათი ურთიმართმიმართება "მყოფობის" ზმნებთან**

ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობის შესწავლას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ენათმეცნიერულ კვლევა-ძიებაში, რადგან მისი შედეგები ფასეულია არა მხოლოდ თავად ლინგვისტიკისათვის, არამედ სხვა სამეცნიერო დისციპლინებისთვისაც. უნდა ითქვას ისიც, რომ სემანტიკის შესწავლის ძირითად ობიექტად ლექსიკური მნიშვნელობები ივარაუდება.

ამჯერად ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანი სწორედ მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკური ანალიზია სვანური ენის კილო-კილოკავთა მონაცემებზე დაყრდნობით და აღნიშნულ ზმნათა ურთიმართმიმართების საკითხი მყოფობა-მქონებლობის გამომხატველ ზმნებთან.

ობიექტის სივრცული ლოკალიზაციის აღსანიშნავად, როგორც ცნობილია, ენები სხვადასხვა საშუალებას იყენებენ, მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი სწორედ მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს უჭირავს, რომელთა შესწავლას ბოლო ათეული წლების ლინგვისტურ კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. რალა თქმა უნდა, სივრცული მიმართებების ენობრივი რეალიზაციის თვალსაზრისით

ენებში განსხვავებული ვითარებაა (ნიუმანი 2002:1-24). ვფიქრობთ, სვანურს ამ თვალსაზრისით (თავისი უნივერსალური და სპეციფიკური ნიშნებით) განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სხვა ქართველურ ენათა შორის.

ცნობილია, რომ *სავნის (resp. ობიექტის)* სივრცული ლოკალიზაციის, მდებარეობის აღსანიშნავად ენების ნაწილი ირჩევს უნივერსალურ ზმნას, რომელიც გამოხატავს ნებისმიერ ლოკატიურ მდგომარეობას და დამოკიდებული არ არის ობიექტის ტიპზე. ასეთი ენის ნიმუშად მიიჩნევენ ფრანგულს, რომელიც ნებისმიერი ობიექტის მდებარეობას აღნიშნავს ზმნით *etre*. განსხვავებული ვითარებაა ისეთ ენებში, რომლებიც ობიექტის მდებარეობის აღნიშვნისას გარკვეულ დიფერენცირებას ახდენენ. ამ ენებში ერთი და იგივე ლოკატიური მდგომარეობა შეიძლება აღიწეროს სხვადასხვა პრედიკატით, იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის ობიექტზე არის საუბარი. მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნების მეშვეობით კი გარკვეულწილად ხდება საგნობრივი ლექსიკის კლასიფიკაცია (ნ. ლოლაძე), ამიტომაც ამგვარ ზმნებს მაკლასიფიცირებელ, ანუ სხვაგვარად პოზიციურ ზმნებსაც („*stance verbs*“) უწოდებენ (რახილინა 1998:69).

სემანტიკა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადად იკვლევს მნიშვნელობათა ცვლილებებს და ცდილობს მათ კლასიფიკაციას სხვადასხვა ტიპებად, რისთვისაც მიმართავს მეტყველების ფიგურებს. ამავე დროს სიტყვის მნიშვნელობა განიხილება როგორც ფსიქოლოგიური ფენომენი — იდეა ან წარმოდგენა (აბულაძე 2000:5). ცხადია, სემანტიკა ეძებს მნიშვნელობათა ცვლილების მიზეზებს ფსიქოლოგიურ პროცესებში და საკვლევ მასალას მისთვის ძირითადად მკვდარი ენების ტექსტები წარმოადგენს, ანუ სემანტიკა ცდილობს ისტორიული ტექსტების ინტერპრეტაციას (იქვე). საინტერესოა რა ვითარებაა ამ მხრივ არქაიზმებით მდიდარ სვანურ ენაში.

მყოფობის, სივრცული ლოკაციისა და მქონებლობის (*verba habendi*) სემანტიკის გამომხატველ ზმნათა ლექსიკურ-სემანტიკური მოდელის ურთიერთმიმართების საკითხი სხვადასხვა ასპექტით განხილულია სამეცნიერო ლიტერატურაში როგორც ქართველი (ლომათაძე 1973:29-32; გაჩეჩილაძე 1974:76-82; სუხიშვილი 1976: 43-48; კორტავა 1981:109-115; გიგინეიშვილი 1987:90; მაჭავარიანი 1987:43-44; ჯანაშია 1991:93-101; ლოლაძე 1995; ოსიძე 1998:231-233; არაბული 2001:228-229; სუხიშვილი 2005:242-253; ლოლაძე 2005:186-191...), ისე უცხოელი (დეეტერსი 1954:109-119; კლიმოვი

1976; კლიმოვი, აღექსევეი 1980:128-131; ბოედერი 1980...) ენათმეცნიერების მიერ და საინტერესო დასკვნებიც არის გამოტანილი სამივე ქართველური ენისათვის, თუმცა სვანურში სივრცული ლოკაციისა და „მყოფობა-მქონებლობის“ მნიშვნელობათა მიმართების საკითხი გამოწვლილვით დღემდე არავის შეუსწავლია.

წინამდებარე ნაშრომში მოცემულია ცდა აღნიშნული საკითხის გამოწვლილვით შესწავლისა სვანური ენის კილო-კილოკავთა მონაცემებზე დაყრდნობით. საანალიზოდ გამოყენებულია სვანური ენის პროზაული ტექსტების ოთხტომეული, სვანური ენის ქრესტომათია, ლექსიკონები და, ასევე, მესტიისა და ლენტეხის რაიონებში ჩვენ მიერ სავლელე პირობებში მოპოვებული სათანადო მასალა.

## § 1. სივრცული ლოკალიზაციის აღმნიშვნელი ზმნები სვანურში

1. 1. სივრცული ლოკალიზაციის აღმნიშვნელი ზმნები სვანურში, მსგავსად ქართულისა, მყარ ლექსიკურ-გრამატიკულ ჯგუფს ქმნიან. მათ, რამდენადაც ცნობილია, უძველესი ფორმაციის ზმნებად მიიჩნევენ (შანიძე 1980:385-392; ჩიქობავა 1950:74), რადგანაც, ერთი მხრივ, შეინარჩუნეს გარკვეული არქაულობა — მონაცვლეობა რიცხვის, გვარის, დრო-კილოთა მიხედვით, მეორე მხრივ კი, განიცადეს მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც მეტად საგულისხმოა როგორც ამ ზმნათა შესწავლის, ისე საერთოდ ენის ტენდენციების თვალსაზრისით (ლოლაძე 2011:138). ცნობილია ისიც, რომ ოპოზიცია **დინამიკურობა-სტატიკურობა** მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართველურ ზმნათა გრამატიკულ-სემანტიკური სტრუქტურების ფორმირებაში და, როგორც არნ. ჩიქობავა მიუთითებდა, იგი ერთ-ერთ ძირითად საკლასიფიკაციო ნიშნადაც გვევლინება (ჩიქობავა 1950:051). წინამდებარე ნაშრომის ძირითადი მიზანი სწორედ **სტატიკურ** ზმნათა ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზია სივრცულ მიმართებათა ენობრივი ასახვის თვალსაზრისით. ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზი, ბუნებრივია, დამყარებული იქნება უძრავობა-მდებარეობის აღმნიშვნელ სტატიკურ ზმნათა (**ლგ** „დვას“, **აჟურე** „წევს“, **სგურ** „ზის“ და ა. შ.) მონაცემებზე<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მდგომარეობის აღმნიშვნელი სტატიკური ზმნები სვანურში დეფექტურია. ამ ტიპის ზმნებს საკუთარი გააჩნიათ მხოლოდ აწმყოს წრის ნაკვები, სხვაგან კი სათანადო ინიანი

1. 2. სვანური *სავნის* (resp. *ობიექტის*) სივრცული ლოკალიზაციისათვის, ჩვენი დაკვირვებით, რამდენიმე პრედიკატს იყენებს, ესენია: **ღგ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) **ღგ** (ბქ., ლნტ.) „ღგას“, **ხგ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ხგ** (ბქ., ლნტ.) „ხარობს, მცენობს, ღგას („ა-ღგ-ა-ს“)“, **ხგ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ხგ** (ბქ., ლნტ.) „აქვს, უღგას“; **აყურე** (ზს., ქს.), **ყურ** (ლნტ., ჩოლ.) „წევს“, **ზი** (ბზ.), **ზი|ზგ** (ბქ.), **ღგ|ღგდ** (ლნტ.) „ძევს დევს“, **სგურ** (ზს., ლშხ., ჩოლ.), **სკურ** (ლნტ., ჩოლ.) „ზის“; **სგუეჯი** (ბზ.), **სგუეჯი** (ბქ.), **სგოჯ** (ლშხ.), **სკუეჯი** (ლნტ., ჩოლ.)<sup>1</sup> „ზის, ბრძანდება“; **ხაქუიქუ** (ზს.), **ქუქუ** (ბქ., ლნტ.), **ხაქუინქუ** (ჩოლ.) „ჩაუტუქულობა („აუტუქუა“)“; **ხაფორცხა** (ბზ., ლშხ.), **ხაფორცხა** (ბქ.) „აუტოცებულია („აუტოცია“)“; **ხაფონცხა** (ბზ., ლშხ.), **ხაფონცხა** (ბქ., ლნტ.) „აუტოცებულია („აუტოცია“), ძლივს ჰკიდა“; **ხაქარჩხა** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ხაქარჩხა** (ბქ., ლნტ.) „აუტოცებულია („აუტოცია“)“; **ხასჟარტა** (ლშხ.) „აუტოცებულია („აუტოცია“)“; **ხაბოლა** (ბზ.), **ხაბოლა** (ბქ.) „აუტოცებულია („აუტოცია“)“; **ხოლჯა** (ზს., ლშხ., ჩოლ.), **ხოლჯა** (ლნტ.) „უთესია, ურგია“; **ხონერგაჟა** (ზს.), **ხონერგაჟა** (ლნტ.) „უთესია, ურგია (უნერგია“)“; **ხოზ** (ბზ.), **ხოზ** (ბქ.) „აქვს (ზედმიწ. — უ-ძ-ევ-ს)“; **ხაჭიდ** (ზს., ქს.) „მიყრდნობილია, მიყუდებულია („აყრდენია, აყუდა“)“; **ხაღერშა**<sup>2</sup> (ბქ.) „გადაწოლილია, გართხმულია ძირს (მაგ., სიმინდი, ფეტვი...)“, **ხაღუწა** (ბზ.), **ხაღუწა** „გადაწოლილია, გართხმულია (მაგ., სიმინდი, ხორბალი, ლობიო...)“ და ა. შ. ჩამოთვლილ პრედიკატთაგან ძირითადია — **ღგ** „ღგას“, **აყურე**

ენების ფორმები წარმოდგენილი (იხ. კ. გაგუა, დრონაკლი ზმნები სვანურში, თბილისი, 1976).

<sup>1</sup> **სგუეჯი** (ბზ.), **სგუეჯი** (ბქ.), **სგოჯ** (ლშხ.), **სკუეჯი** (ლნტ., ჩოლ.) „ზის, ბრძანდება“ პრედიკატი ადამიანის სივრცული ლოკალიზაციის გარდა გამოხატავს *ხატების, ეკლესია-მონასტრების, წმინდანების* და, ასევე, *ცხოველების* (მონადირულ ენაზე) სივრცულ ლოკალიზაციასაც.

<sup>2</sup> ეს ფორმა დასტურდება ბალსქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტებში და მიემართება სიმინდს, ლობიოს, ხორბლეულს (მაგ.: **ნაუჩხუნღუე სიმინდ, ფეტუ ი ლეხა მჰგ გიმქა ხაღერშა** (ბქ.) „წვიმის შემდეგ სიმინდი, ფეტვი და ლობიო მთლიანად მიწაზეა გართხმული“, **სიმინდ მჰგ გიმქა ხაღერშა** „სიმინდი მიწაზეა გართხმული“, თუმცა, ლახამულურ კილოკავში, რ. ჭკადუას თქმით, მსხვილ და წვრილ ღერიიანი მცენარეების მიმართ ორი პრედიკატი გამოიყენება, კერძოდ, მსხვილღერიიანზე (მაგ., სიმინდი) ამბობენ **ხაღერშა** ზმნას, ხოლო წვრილღერიიანზე (მაგ., ხორბალი) — **ხაფანა** პრედიკატს: **სიმინდ დაბქა ხაღერშა** „სიმინდი მიწაზეა გართხმული“, **კეცენ მჰგ გიმქა ხაფანა** „ხორბალი მთლიანად ყანაშია დაწოლილი („გართხმული“)“.

„წევს“, **ზე** „ღევს“ და **სგურ** „ზის“. ამათგან **აყურე** „წევს“ ზმნა სულიერის<sup>1</sup> მდებარეობას აღნიშნავს, ხოლო **ზი||ზე** — უსულოსას<sup>2</sup>. რაც შეეხება **ღგ** „ღვას“ ზმნას, იგი სულიერის მდებარეობასაც აღნიშნავს (**ღგ ამსტალდ** „ღვას ადამიანი“, **ღგ ღშაშ** „ღვას ჯიხვი“ და ა. შ.) და, ამავე დროს, უსულოსაც (**ღგ ქორ** „ღვას სახლი“, **ღგ მეგემ** „ღვას ხე“ და სხვ.), ე. ი. გვაქვს ე. წ. ბინარული ოპოზიცია. **სგურ** „ზის“ კი მხოლოდ სულიერს მიემართება<sup>3</sup>. რაც შეეხება დანარჩენ პრედიკატებს, ისინი შესაძლოა მეტაფორებად მივიჩნიოთ.

1. 3. აღნიშნულ პრედიკატთა გარდა, სვანურში *სავნის* (*resp. ობიექტის*) სივრცული ლოკალიზაციისათვის გამოყენებულია სანათმეცნიერო ლიტერატურაში პირველად მასდარებად წოდებული ფორმები<sup>4</sup>: **თიგ** „კისერაწეული, გამართული დარჭობილია ერთ ადგილას, ღვას (ზედმიწ. — არჭვია)“, **გლიგ** „უშნო სიმალის ადამიანი ერთ ადგილას ღვას“, **ფივ** „გაფარჩხულად ღვას ერთ ადგილას“, **კიკ|კლიკ** „ყურადღებით, ყურებდაცქვეტილი ღვას (მაგ., ქალიშვილი, ფრინველი)“, **გიღ|გლიღ** „უშნოდ ამართული ღვას (მაგ., ბატი)“, **ბიგ|ბრიგ** „მყარად, მაგრად ღვას ერთ ადგილას...“, **ყუთიყუთ** „ზის ზარმაცად, უშნოდ“, **თხიკ** „გამხდარი ადამიანი უშნოდ, მოშვებულად ზის...“, **კაჩ** „ფეხზე ღვას გამართულად, აღმართულია“, **ჭუთიჭ** „ზის

---

<sup>1</sup> თუმცა, იშვიათად, მაგრამ მაინც უსულო საგანსაც მიემართება, მაგ., **სიმიღ გიმიუ აყურე** (ბქ.) „სიმიღი მიწაზეა გათხმული (ანუ სიმიღი მიწაზე წევს)“, **თელ სიმიღ გიმიუ ყურ** (ლნტ.) „სიმიღი მთლიანად მიწაზეა გათხმული (ანუ სიმიღი მიწაზე წევს)“...

<sup>2</sup> **ზი||ზე** „ღევს“ ზმნა კი პირიქით, ზოგჯერ ვადატანითი მნიშვნელობით სულიერსაც მიემართება, მაგ., **ჰამუნღუე ნებოზღ ლაყურალეუა ზე მაშღმარ** (ბქ.) „ღილიდან საღამომღე ლოგინზე ღევს მთვრალი“..., რაზეც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

<sup>3</sup> თუმცა მეტაფორული გადააზრიანებით ზოგჯერ უსულო საგნებსაც მიემართება. მაგ.: **ბინტუ ხასგურ ჩიგუაშუ** (ბქ.) „ნისლითაა ყველაფერი დაფარული („ნისლი აზის ყველაფერს“)“; **კუწამ ახსგურდა ქორს** (ბქ.) „კვამლით დაიფარა სახლი („კვამლ-ი მოაჯდა სახლს“)“; **ლიც ახუსგურდა მთელ სოფელს** (ბქ.) „წყლით დაიფარა მთელი სოფელი („წყალი მოაჯდა მთელ სოფელს“)“; **ლიც ხასგურ ჩიგუაშუ** (ბქ.) „ყველაფერი წყლითაა დაფარული („წყალი აზის ყველაფერს“)“, **ლიც ხასგურ ჩის** (ჩოლ.) „ყველაფერი წყლითაა დაფარული („წყალი აზის ყველაფერს“)“ და სხვ.

<sup>4</sup> ამ ფორმებს სამეცნიერო ლიტერატურაში „სახელურ-ზმნურ“ ფუძეებსაც უწოდებენ (იხ. ა. დავითიანი, გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში, იკვ, XXXVI, თბ., 2008, გვ. 315-331).

ზარმაცად, მოჭმუხნული სახით“, **ყუწყუტი** (ბზ.), **ყუტიყუტი** (ბქ.) „ზის უმნოდ, მოღუნებულად, ზარმაცად (დიდი კაცი, ფრინველი, ცხოველი) — ზედმიწ. **ა-ყუყ-ია**“; **თირ** (ზს.) „ზის, დგას, არის (ზედმიწ. — **ა-თრ-ევ-ია**)“, **კაჩ** „დგას („აღმართულია)“ და მრავ. სხვ., რომელთა გამოყენებას სვანურში სისტემური ხასიათი აქვს. ამგვარ სტატიკურ ზმნებს, როგორც ცნობილია, ფუძის გაუფორმებლობა ახასიათებთ, რაც სწორედ მათ არქაულობაზე მეტყველებს (არნ. ჩიქობავა, რ. ჭკადუა). თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ფორმები მეტაფორული ინტერპრეტაციის შედეგადაა მიღებული და ისინი ზედმიწევნით ასახავენ რეალური *სავნის* (**resp. ობიექტის**) გარეგნულ იერსა და მოძრაობა-მოქმედების თავისებურებას; სუბიექტს წარმოადგენენ ვადამეტებული სილიდით ან სიმცირით, მათი ძირითადი ამოსავალი სემანტიკა კი, როგორც ა. დავითიანის ნაშრომიდან — „გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში“ ჩანს, ადამიანის აღნაგობისა და ქცევის დამახასიათებელი ნიშან-თვისების გადმოცემაა (დავითიანი 2008:315-331).

გარდა აღნიშნული ფორმებისა, სვანურში *სავნის* (**resp. ობიექტის**) სივრცული ლოკალიზაციისათვის მეტაფორული მნიშვნელობით არაერთი მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნის პირიანი ფორმაა გამოყენებული: **ხაპიჭყ** (ბზ.) „აზის, ზის (ზედმიწ. — **ა-პარჭყ-ია**)“, **ხ-აყუთიყუა||ხაბინყუა** (ლშხ.) „ზის უმნოდ, მოღუნებულად, ზარმაცად (დიდი კაცი, ფრინველი, ცხოველი) — ზედმიწ. **ა-ყუყ-ია**“; **ხ-აჩნჩხა** (ჩოლ.) „ზის ქალი უდარდელად (ზედმიწ. — აჩნჩხია)“; **ხაბინჯლა** (ჩოლ., ლშხ.), **ხაბრინგა** (ჩოლ.) „დგას გაბღენძილი“, **ხაპიტყ||ხაბიჯლ** (ჩოლ.) „ზის (ზედმიწ. — ატყებია)“, **ხ-აძუნძგუა** (ჩოლ.) ჩაცუცქულია (ზედმიწ. — აძუძგია)“, **ხათხიფ** (ზს.) „წევს მოღუნებული, მოთენთილი საწოლზე (ზედმიწ. — აფენია)“, **ხათხიკ** (ზს.) „წევს მოღუნებული, მოთენთილი საწოლზე (ზედმიწ. — აფენია)“, **ხაკუარა** (ბზ., ლშხ.), **ხაკუარა** (ბქ.) „ზის (ზედმიწ. — აგღია)“, **ხათორ** (ბზ.), **ხათირ** (ბქ.) „ზის (ზედმიწ. — **ა-თრ-ევ-ია**)“ და მრავ. სხვ., რომელთა ჩამოთვლა საკმაოდ შორს წაგვიყვანს, რადგანაც მეტაფორული ინტერპრეტაციის შედეგად მიღებული ზმნების რაოდენობა სვანურში ძალზე დიდია.

1. 4. მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნები სვანური ენის კილო-კილოკავებში, ქართულის მსგავსად, სივრცეში ადამიანის სამ განსხვავებულ მდებარეობას აღნიშნავს: ვერტიკალურს — **ლგ** „დგას“, ჰორიზონტალურს — **აყურე** „წევს“ და შუალედურს (ე. წ.

„მოკეცილს“) — სგურ „ზის“, თუმცა აქ შეიძლება დაემატოს მეოთხეც, რომელსაც ნეიტრალური მდებარეობა უკავია დგომასა და ჯდომას შორის — ხაქტიქუ (ზს.), ქუქ'ჟუ' (ბქ., ლნტ.), ხაქტინქა (ჩოლ.) „ჩაცუტქულია („აცუტქია“)“. გარდა ამისა, ეს ზმნები გამოიყენება ცხოველთა მდებარეობის, პოზის აღსანიშნავადაც, მაგრამ ცხოველების, ფრინველების, მწერებისა და ქვეწარმავლების მდგომარეობა სივრცული მიმართებების ცვლის თვალსაზრისით აღამიანთან შედარებით სვანურში კიდევ უფრო განსხვავებულია და, ამავე დროს, ზოგ შემთხვევაში საკმაოდ შეზღუდულიც. ქართულში ზოგიერთ ცხოველს, რამდენადაც ცნობილია, სამივე პრედიკატი მიემართება (მაგ., ძაღლი დგას/წევს/ზის), ზოგს — ორი (მაგ., ძროხა დგას/წევს), ზოგს კი მხოლოდ ერთი (მაგ., ბაყაყი ზის) (ლოლაძე 2013:20). რაც შეეხება სვანურს, იქ დიალექტების მიხედვით სხვაობას აქვს ადგილი. ზოგიერთ ცხოველს ამა თუ იმ დიალექტში ან სამივე პრედიკატი მიემართება (მაგ., ედ ლგ/აყურე/სგურ „ძაღლი დგას/წევს/ზის; ციცჷ ლგ/აყურე/სგურ (ბზ.) „კატა დგას/წევს/ზის“), ან — ორი (მაგ., ფჷირ ლგ/აყურე „დგას/წევს“; ღჷაშ ლგ/აყურე „ჯიხვი დგას/წევს“), ან მხოლოდ — ერთი (მაგ., ჰერწემ აყურე (ბქ.) „გველი წევს“), ან საერთოდ ნულთანაა გათანაბრებული და მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნები ენაცვლებიან<sup>1</sup>.

გამომდინარე იქიდან, რომ სივრცული ლოკალიზაციის თვალსაზრისით ენები განსხვავებული ვითარებას გვიჩვენებენ როგორც სულიერსა და უსულოს, ასევე ვინ და რა ჯგუფის სახელებს შორის, შევეცდებით ცალ-ცალკე წარმოვადგინოთ სემანტიკური დაპირისპირება: ადამიანი (ვინ ჯგუფი) — არაადამიანი (რა ჯგუფი) და სულიერი (ცოცხალი) — უსულო (არაცოცხალი). ამ დაპირისპირებას (ანუ გარჩევას ცოცხალსა და არაცოცხალს შორის) ჩვენი ნაშრომისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ისინი მრავალმხრივ საყურადღებო მონაცემებს გვაწვდიან ქართველურ ენათა ზმნის სისტემისა და ისტორიის თვალსაზრისით<sup>2</sup>. ნაშრომში, როგორც უკვე ითქვა, განხილული იქნება სივრცული ლოკაციისა და „მყოფობა-მქონებლობის“ მნიშვნელობათა მიმართების საკითხი მრავალფეროვანი სვანური დიალექტური მასალის გათვალისწინებით.

---

<sup>1</sup> ამის შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

<sup>2</sup> უსულო საგანთა სივრცული ლოკალიზაცია წარმოდგენილი იქნება სხვა სტატიაში!



## § 2. ადამიანის მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკური შესაძლებლობანი სვანურში

2. 1. როგორც უკვე ითქვა, მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნები სვანურში, ქართულის მსგავსად, სივრცეში ადამიანის სამ განსხვავებულ მდებარეობას გამოხატავენ: ვერტიკალურს — **ლგ** „დგას“, ჰორიზონტალურს — **აყურე** „წევს“ და შუალედურს (ე. წ. „მოკეცილს“) — **სგურ** „ზის“.

ვინაიდან სვანური ენის კილო-კილოკავებს შორის სივრცული მიმართებების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სხვაობაა, ამიტომ შევეცდებით საკმაო საილუსტრაციო მასალის საფუძველზე მოვახდინოთ მდებარეობის აღმნიშვნელ ზნათა ანალიზი სინქრონიულ დონეზე და გამოვავლინოთ ყველა ის სემანტიკური შესაძლებლობანი, რაც ამ კილო-კილოკავებში ვლინდება. უპირველეს ყოვლისა თვალსაჩინოებისათვის შეძლებისდაგვარად სრულად წარმოვადგენთ საილუსტრაციო მასალას სამივე ძირითადი პრედიკატისთვის.

1. ვერტიკალური — **ლგ** (ბზ., ლშზ., ჩოლ.), **ლგ** (ზს., ლნტ.) „დგას“

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

ამეჩუ ჩუ **ლგ ხელწიფ** (სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939, 86:12) „აქ დგას ხელმწიფე“; სამ ლაჰარ შუკუჟი ეშხუ **მარე** ბაჩყი **ლგ** (იქვე 225:18) „გზაჯვარედინზე ერთი კაცი ქვაზე დგას“; ესლრი ი შუკუჟისგა ჩუ **ლგ მარე** (იქვე 353:9) „მიდის და გზაში დგას კაცი“; ლდგარ იმდლტი, ეჩქას სერ აგითე ვედნის ი ჩუ ისგური მავ, **ერ** კაჩ **ლგ** (იქვე 8:11) „მიცვალეულს რომ დაასაფლავებენ („მიცვალეული იმარხება“), მაშინ შინ ბრუნდებიან და ჯველა ჯდება, ზოგი ფეხზე დგას“; ხოშა თუეთნე **ნადაურ** ყორჟი **ლგ** (იქვე 108:8) „დიდი თეთრი დევი („ნა-დევ-არ-ი“) კარებთან („კარქსზე“) დგას“ ...

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

**ქორაშ** მახუში, ჰედ მაშენამთემ **ლუაჟმარე** ქა ღარი ტაბაგთექა, შდარს სგებნათ ხანლინე ლამზგარჟიშშალ ი

ამხტალაღდ ჩუ **ლგ** უშკუშუნდ (სვან. ქრესტ., 1978, 174:13) „ოჯახის უფროსი, ან შედარებით უფროსი მამაკაცი მივა („გავა“) ტაბლასთან, ხელებს წინ გაიშვერს ისე, როგორც ლოცვის დროს და კარგა ხანს უხმოდ დგას“; ამეჩუ **მიჩა დი** ყორჟი **ლგ** (სვან. პროზ. ტექსტ., II, 1957, 175:12) „აქ დედამისი კართან დგას“; დინა მიჩა ჯიმილს ჰყუნს ხოკუანე ჰგუშხარისგა, მარე ალი ჟ'იკედ ი ჰყუნჟი დანუს აგნე ი **ჯი** მეგჰად **ლგ** „გოგო თავის ძმას ქონს უგდებს ფეხებში, მაგრამ ეს იღებს და ქონზე დევს აყენებს და თვითონ მაგრა დგას“; **ბეფშუ** ქორაშუ ყარჟი **ლგ** ი ეჩხენქა იტულალ „ბავშვი სახლის სახურავზე დგას და იქიდან ყვირის“; **ჩუ ლგ** ამეჩუ, ყორჟი, **მეშხე დანუ** ი ჟი ხასგურ მეშხე რანუს<sup>1</sup> „აქ, კართან, დგას შავი დევი და აზის შავ რანუს“ ...

*ლ ა შ ხ უ რ ი*

**ბაჩი** ხილ ჩუქტუნ **ლგ** ი ხოლოლი შომადღენ ოხკუნანეხ კინდილს „ბაჩი ხის („ხილ-ჩი“) ქვეშ დგას და ელოდება როდის ჩამოუგდებენ ბლის ასხმულას“; ანქანამდყ **ლგ** **ლჟაჟარ** „მანქანასთან დგანან მამაკაცები“; შუკუტი პილჟი **ბოფშ ლგ** „გზის პირას ბავშვი დგას“; **ზურალ ჩუ ლგ** ყორჟი „ქალი დგას კარებთან“ ...

*ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი*

**მარე** ბოგჩუქან **ლგ** (ლნტ.) „კაცი ხიდის ქვეშ დგას“; **ჩიჟე** კიბე თხუმჟი **ლგ** „სიძე კიბის თავში დგას“; **ჰყინტ ჩუ ლგ** ძულუნად პილმოყ „ბიჭი ზღვის პირას დგას“; ალ **დენა ჩუ ლგ** ეშხუ ლელუმრჟდსა ი ხაყამნი „ეს გოგო დგას ერთ ნაძვნარში და ეშინია“ ...

*ჩ ო ლ უ რ ჟ ლ ი*

**ბაპ** ეკლესიად ყორმოყ **ლგ** „მღვდელი ეკლესიის კართან დგას“; **ბესი** ჟი ხაბაჯგა ფანუს ი ეჯჟი **ლგ** „ბესი

---

<sup>1</sup> ნაშრომში გამოყენებულია საველე პირობებში ჩვენ მიერ წლების განმავლობაში მოპოვებული მასალა.

ჯონხეა დაყრდნობილი და ისე დგას“; ლაფანაჟი **ზურალ** ჭიშხეი **ლგ** „საკუთრი სუფრის წადგმის დროს ქალიფეხზე დგას“; თამარ **ჩუ ლგ** ლესკთე ი დესამა ხოჟტემე მენწლას „თამარი განზე დგას და გამვლელებს ხელს არ უშლის“...

2. *პორიზონტალური* — **აჟურე** (ზს., ქს.), **ჟურ** (ლნტ., ჩოლ.)  
„წევს“

*ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი*

**ტოტა ჭახან** მახად ამვედ, მახად ამვედ ლათხტიარხან, **ჩუ ლალ აჟურე** ი იშტმინე (სვან. პოეზ., 1937, 52:31) „ტოტა ჭახანი ახლახან მოსულა, ახლახან მოსულა ნადირობიდან, წევს და ისვენებს“;

**ნალუაჟუს** ჩანტისგა ფტტუნ ჩალ ხორშა ი **ენესგა აჟურე** (სვან. ქრესტ., 39:3) „ნამშობიარებს ჩეოში ფეტვის ჩალა უფენია და იმაში წევს“; ... ლწთშუ ნეშკაჟინ **ფერწმა აჟურე**, ეჯას კუნში ბდშუ მერმა ლადლ თერარ ნალლდუდ ხოჯემ (იქვე 115:33) „ღამე სხვენზე ვინც წევს, იმას კვამლისგან მეორე დღეს თვალები ჩასისხლიანებული აქვს“; **სულასახელ** ტოქტრზ ჰაკტუნისგა **აჟურე** (სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939, 100:14) „სულასახელი ოქროს აკვანში წევს“ ...

*ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი*

**სოსლან** ამხუ ლადელ მინდერისგ'აჟურე **ჩუ** (სვან. პროზ. ტექსტ., II, 171:1) „ერთ დღეს სოსლანი მინდორში წევს“; ლნდსგიდიტ ი კარატნტ ლეჟა **აჟურე სიმაქ** ი ალი ხარგადი (იქვე 210:21) „გაიხედა და საწოლზე წევს ქალიშვილი და ეს ელაპარაკება“; ... მიჩა დის ხტქუე „ბეფშუდ“, ერე „ღია, ჯი როქ მიჩა ჯიმილს ლემგრშუტენინ, **ეჩა** როქ **მაჯონ აჟურე** მინდურისგა (იქვე 55:11) „დედამისს უთხრა ბავშვმა, რომ „დედა, შენ რომ ძმას ახსენებდი, იმისი მსგავსი წევსო მინდორში“; **მესგურე** ჰამუნდუე ნებოზდ **ჩუ** გარ **აჟურე** (იქვე 269:18) „მოჯამაგირე დილიდან საღამომდე წევს“ ...

ლომხურო

**მანა ნალღუაჟს** შიმღ ხაბშენ კოტრლ ლეზობნოს ი ამჟი **აჟურე** (სვან. პროზ. ტექსტ., IV, 10:33) „ახალ ნამშობიარებს ხელად აწვდიან ცოტაოდენ საჭმელს და ასე წევს“; ... უეზირ ... ხეწად, ერე **ზურალ** ნენსგამასა **აჟურე** ი ჰყუინტარ ეჩხენ-ამხენ მეჯრალჟი ხოჟურეს (იქვე 76:12) „ვეზირმა დაინახა, რომ ქალი შუაში წევს და ბიჭები აქეთ-იქით მკლავებზე უწევს“; ჩუ ერ ილღუაჟალ **ზურალ**, ესინ უსგუა ნაგზათეჟა ღრთ **აჟურეს** (იქვე 10:30) „ქალი რომ იმშობიარბს, ზოგჯერ ლამის ექვსი თვე წევს“; **ჰყინტ** ვაბ-ვაბელ **აჟურე** „ბიჭი გულადმა წევს“ ...

ლეიტეხურო

მაულ ხეწად აღ მარეს ... ი ათაყამინდა: „ჯე ლოქ დემ ღერი ეჩა მიარეხო, **იმაღე** ლოქ **აჟურე** ხუმლან ძირს“ (სვან. პროზ. ტექსტ., III, 1967, 299:7) — მელიამ დაინახა ეს კაცი და შეეშინდა: „მე ვერ მივალო მასთან ახლოს, რაღაცა წევსო ხურმის ძირას“; აჯალ ათალაკა ემსუ **დენტ-ჰვანს**: კადან ლადარეჟი **აჟურეს** (სვან. ქრესტ., 1978, 341:36) „ისევ გადააწყდა თურმე ცოლ-ქმარს: ნაჯახის ყუაზე წვანან“; მერბე **დენტ-ჰვანს** ათელაკან: კამბეჩი გურეჟი **აჟურეს** (იქვე 341:37) „მეორე ცოლ-ქმარს გადააწყდა: კამეჩის ტყავზე წვანან“; **ზურალ** ლაჟურადესკა **აჟურეიყურ** (ლნტ.) „ქალი ლოგინში წევს“ ...

ჩოლურულო

**ბლაჟე აჟურე** ლაჟურაჟი „ბავშვი წევს საწოლზე“; ეჩხენ თურმე მეღციან **ხალს აჟურე** „იქით თურმე პოლიციის („მილიცი-ი“ს“) ხალხი წევს“; **ხუთკუნჭულა ჩუაჟურე** ფიცრიმ ლაჟურაჟი „ხუთკუნჭულა წევს ფიცრის საწოლზე“; **აღმარ ჩუაჟურეს** მაგ, ქოყანა **ხალს**, ამჩუ „ესენი ყველანი წვანან, ქვეყნის ხალხი, აქ“ ...

3. შუალედური (ე. წ. „მოკეცილი“) — **სგურ** (ზს., ლშხ., ჩოლ.), **სკურ** (ლნტ., ჩოლ.) „ზის“

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

ჯაჯუ ესნარ საკარცხუილუნ **სგურ** (სვან. პროზ. ტექსტ., I, 26:22) „ჯაჯუ თურმე საკარცხულში ზის“; ამი ჩუქუნან **ზურალ სგურ** (იქვე 56:3) „ამის ქვეშ ქალი ზის“; ამეჩუ, ლგცუი ჩუ **სგურ კანარი გეზალ** ი იგუნი (იქვე 146:3) „აქ, წყაროზე ზის კეისრის შვილი და ტირის“; ამჩიქა **მიჩა დი ჩუ სგურ** ბალისგა გაკ ჩუქუნან (იქვე 250:4) „ამ დროს დედამისი ზის ბაღში კაკლის ხის ქვეშ“ ...

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

ალ მეზგემ ლარდამ ბალკონჟი **სიმაქ სგურ** ... (სვან. პროზ. ტექსტ., II, 108:11) „ამ ოჯახის სახლის აივანზე ქალიშვილი ზის“; მერბელად ხაქუთხ: „იმ ესერ ატმურე გიცარს, **მინე მუხუიტან ლეჟან** ესერ სტიფისგა **სგურ**“ (იქვე 127:38) „მცხოველებმა უთხრეს: „რას ატყავებო ამ ვერძს, ჩვენი ამომწყვეტი ლევანი სოფლის მოედანზე ზისო“; მგულაწადხენ **სგურ მუ**, ნენსგაჩუ მინე გეზალ (იქვე 182:30) „აღმოსავლეთისკენ ზის მამა, შუაში მათი შვილი“; ისგუ ლომგიმხენ მი სგურდე, ამჟი **ბუა სგურ** სგუბინხენ, მი ლომგიმხენ „შენს უკან მე რომ ვიჯდე, ასე მამა ზის წინ, მე უკან“ ...

ლ ა შ ხ უ რ ი

... ამეჟი **სგურ ზითუნახაჟ** ი იცხენდელ (სვან. (ლშხ.) ტექსტ., 19??, 61:13) „ამაზე ზის მზეთუნახავი და თმას ივარცხნის“; **ნაცარქექაჟა ჩუ სგურ** დანა ლაზგანდა ი ლეზობ-ლეთრას მიჩაჟუმ იმარე ი იზბი (იქვე 81:11) „ნაცარქექია ზის დევის სახლში და საჭმელ-სასმელს თავისით იმზადებს და ჭამს“; კოჯა კეცხუი ჩუ **სგურ დანუ-დედბერი** (სვან. პროზ. ტექსტ., IV, 128:4) „კლდის წვერზე ზის დედაბერი დევი“; ლერეჟტი მგბანდე **ზურალ ერეჩუ სგურ** „მკერავი ქალი იქ ზის“ ...

ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი

ლღდგარი თხუმმოყ სკურ ხოჩა ლღმხნლ ხოშა მარე ი ფელ ზურალ (სვან. პროზ. ტექსტ., III, 51:33) „მიცვალეზულის თავთან ზის გონიერი უფროსი კაცი და ან ქალი“; ჭირისუფვლ ჩუ სკურ ლღდგარმოყ ი იგუნის (იქვე 52:1) „ჭირისუფალი ზის მიცვალეზულთან და ტირის („ტირიან“)“; აღ მარე ჩუ სკურ მოშ, სტოლ ზულუა ი ლზდრალი (იქვე 53:11) „ეს კაცი ზის ცალკე, მაგიდა აქეს და საწერიც“; ბაბ ძაძფურად სკურ (იქვე 181:7) „მღვდელი შეწუხებული ზის“ ...

ჩ ო ლ უ რ უ ლ ი

სინამღუილღსა გირგოლ ამჩუ სკურ „სინამღვილეში გირგოლი აქ ზის“; სტოლა თხუმ ჩუ სკურ აღე, მგხმნრნოლ, მარე დესამა ხოჩა ამშა ლისდის „სუფრის თავში ზის ეს, მელორე, მაგრამ არაფერი სჯობია ამის ყურებას“; ... ეჩა ფეხუ, ე, კუკუშუ, ჩუ სკურ ეშჩუ, ეჯდარეშმოყ „იმისი ცოლი, ე, კუკუსი, იქ ზის, იმათთან“; ეშხუ ნებოზს ჩუ სკურ აჯალ ეჯი მწარე „ერთ საღამოს ისეე ზის ის კაცი“ ...

ადამიანის მღებარეობის სივრცულ ლოკალიზაციას გამოხატავს, აგრეთვე, სგუეჯი (ბზ.), სგუეჯი (ბქ.), სგოჯ (ლშხ.), სკუეჯი (ლნტ., ჩოლ.) „ზის, ბრძანდება“ პრედიკატი, რომელიც ადამიანის სივრცული ლოკალიზაციის გარდა მიემართება ხატების, ეკლესია-მონასტრების, საკრალური ნივთებისა და, მონადირულ ენაზე, ნადირის სივრცულ ლოკალიზაციასაც, თუმცა მას უფრო „მყოფობის“ სემანტიკა გააჩნია, რაც საილუსტრაციო მასალიდანაც ნათლად ჩანს:

მეტხუდარ კოჯა ძირად აჩად, ჟი ლახგარღლე ჟიბაჟ დალილღს: „დიდაბ აჯვად, მადე სგოჯი, ქა დო მისგუეჯი, გუნ მეკუადი“ (ბზ., ლატ., სვან. პოეზ. I, თბ., 1939, 270:18-20) — მონადირე კლღის ძირას მივიდა, შეელაპარაკა ზევით დალს: „დიდება მოგივიდეს, ვინც ბრძანდები, მიბრძანე, ძალიან მინდა!“; ხადა ჯადეს მუჭუტი მიშგუტი, ნამჭუსურ სგოჯი მუჭუტი მიშგუტი, დედეს ისგუა ხახინი! (ბზ., უშგ., სვან. პოეზ. I, თბ., 1939, 84:18-20) „ვინს გყავდეს ჩემი გამყიდველი,


«თუ» ნამყსური ბრძანდება ჩემი გამყიდველი, დედაშენს მიახარე!"; ხელწიფხემ გეზალ ... შიშდ ლახსგურდა მიჩა რაშს ი აჩად, იმგტა მიჩა **ხეხუ სგუეჯი** (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, თბ., 1957, 112:28-30) „ხელმწიფის შვილი ხელად თავის რაშს მოაჯდა და წავიდა, რიქ სადაც მისი ცოლი ბრძანდებოდა“; ჟიბე მაცხტარი ყორჟი **დედუფალ სგოჯი** (ბქ., სვან. პოეზ. I, თბ., 1939, 356:4-5) „ზემო მაცხოვრის კარზე დედოფალი ბრძანდება“; მეთხტიპრ დემ პბედანტი ჟი ლიზის რი ხნქტუ: „იმპ **ჭაბუკუ ლოქ სკუეჯი**, ჩუტ ანჩად ძირხო!“ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., III, 162:28) — მონადირე ვერ ბედავს ასვლას და უთხრა: „რომელი ჭაბუკი ბრძანდებო, ძირს ჩამოდიო!“; მქსმე მუხტბე ესნარ, დიდბი ლეწედ, **კგერანგ სგუეჯი** (ბზ., სვან. ქრესტ., 88:12) „მესამე ძმა თურმე, დიდება მის სახელს („დიდება მოსასვლელი“), წმინდა გიორგი ბრძანდება“; **თარგლეზერიშ ლანჟუმი სგუეჯი** მეზგრჟი (ბქ., სვან. ქრესტ., 179:13) „მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია მდებარეობს („ბრძანდება“) მეზირის მთაზე“; **თუნალ** მწა მეზგაისგა როქტუ **სგუეჯი**, ეჯ მეზეე ჩიგარ როქტუ ლერსგუანთე გარ სიპ ჩიქსგა (ბზ., სვან. ქრესტ., 78:5) „ნატურის თვალი რომელ ოჯახშიც დევს („ბრძანდება“), ის ოჯახი ყოველთვის ბედნიერიო („ყოველთვისო მარჯუნისკენ მხოლოდ ტრიალებს ყველაფერში“)“; ქემმა ხეკერქის ხედას, ... ამჟი ხოცნდის: „**ემხუ** ესერ ამეჩუ **სგეჯი**“ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, თბ., 1957, 235:14-15) — თუ რომელიმე მოკლავს ნანადირევს („თუ ეშოვათ რომელიმეს“), მაშინ ასე პასუხობენ: „ერთი აქ არისო („ბრძანდებაო“)“ და მრავ. სხვ.

ჩენი აზრით, ვერცერთ ზემოჩამოთვლილ ჯგუფში ვერ მოექცევა ისეთი მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნები, როგორცაა, მაგ.: **ხაქტიქტუ** (ხს.), **ქუქტუ** (ბქ., ლნტ.), **ხაქტინქტა** (ჩოლ.) „ჩაცუტქულია („აცუტქია“)“, **ხაბიჯლ** (ჩოლ.) „აცუტქია“. აღნიშნული ფორმები გამოხატავენ როგორც ადამიანის, ისე ზოგიერთი ცხოველის მდებარეობის სივრცულ ლოკალიზაციას და მათ ნეიტრალური მდგომარეობა უკავიათ *დგომასა* და *ჯდომას* შორის, ამიტომ, ვფიქრობთ, სივრცეში ადამიანის სამ განსხვავებულ მდებარეობას (*ვერტიკალურს* — **ლგვ** „დგას“, *ჰორიზონტალურს* — **აჟტრე** „წევს“ და

შუალედურს (ე. წ. „მოკეცილს“) — სგურ „ზის“) უნდა დაემატოს მეოთხეც, რომლისთვისაც სახელი უნდა შეირჩეს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანის მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს სამივე პირის ფორმა გააჩნიათ: 1. **ხუგ** „ვღვავარ“, **ხგ** „ღვახარ“, **ლგ** „ღვას“; 2. **ხუაყურე** „ვწევარ“, **ხაყურე** „წევხარ“, **აყურე** „წევს“; 3. **სგურ** „ვზივარ“, **სგურ** „ზიხარ“, **სგურ** „ზის“, რომლებიც, როგორც ვხედავთ, არამარკირებულია, და, გარდა იმისა, რომ მათი ძირითადი მნიშვნელობა სივრცული ლოკალიზაციის აღნიშვნაა, ყველა ამ ზმნისათვის, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, საერთოა „*მყოფობა-არსებობის*“ სემანტიკით გამოყენება. რაც შეეხება **ლგ** „ღვას“ ზმნის მაქცევრიან (ე. წ. მარკირებულ) **ხ-ა-გ** „აღვას“, **ხ-ო-გ** „უღვას“ ფორმებს, მათ შესახებ სათანადო ადგილას გვექნება მსჯელობა.

**ადამიანის სივრცული ლოკალიზაციის ამსახველი გრადაციების სქემა სვანურში**





2. 2. მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკური შესაძლებლობანი სვანურში. 1. ზმნა **ლგ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**ლგ** (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „დგას“ სვანურში შემდეგი მნიშვნელობით გამოიყენება: 1. ზეზეა, ფეხზე იმყოფება, ამართულია მთელი ტანით „ადამიანი“ (საპირისპ. **აყურე** „წევს“, **სგურ** „ზის“); 2. ამართულად, ვერტიკალურად არის განლაგებული რაიმე ზედაპირზე „საგანი“, დევს; 3. გაჩერებულია, ერთ ადგილზეა, არ მიდის, არ იძვრის. 4. არ მოქმედებს, გაჩერებულია, შეჩერებულია. 5. რაიმეში ასხია „სითხე“; არ დის, უძრავადაა, დაგუბებულია. || არის, დარჩენილია სითხე „ჭურჭელში“. 6. დაბანაკებულია, იმყოფება „სადმე“; რაიმე პოზიცია უკავია. 7. ბინადრობს, სახლობს, ცხოვრობს. 8. ამართულია, აგებულია „რაიმე მალალი შენობა, ნაგებობა“; მოწყობილია რაიმე კონსტრუქცია. || დარგულია ან ამოსულია „ხე“. 9. არის, იმყოფება „რამედ“, ასრულებს რაიმე სამუშაოს, მოვალეობას. 10. გავრცელებულია, ტრიალებს; ირევა „სუნი“. || ისმის, ვრცელდება (რაიმე ხმა...). 11. დამდგარია, მოსულია „რაიმე დრო“. 12. ქარია, ქარბუქია. 13. დაგლეჯილია, დაფლეთილია „ქაღალდი, ტანსაცმელი...“. 14. გავარვარებულია, ცხელია. 15. დამწვარია, ფერფლადაა ქცეული „სახლი, ნაგებობა“. 16. მოასფალტებულია „ქუჩა“<sup>1</sup> და მრავ. სხვ.

მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნებისთვის ქართულში, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია „*არსებობა-ყოფობისა*“ და „*კუთვნილებისა*“ სემანტიკით მათი გამოყენება. სვანურშიც ამ ზმნების ერთ-ერთი მნიშვნელობა სწორედ „*არსებობა-ყოფობისა*“ გამოხატვაა, განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას **ლიგნე**<sup>2</sup> „დგომა“ ზმნის შესახებ, რომელიც, ჩვენი დაკვირვებით, თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებითთან, რომელთა დგომაც რეალურად შესაძლებელია (მაგ.: **ლგ** „დგას“ — **მარე** „კაცი“, **ქორ** „სახლი“, **მეგემ** „ხე“, **ლაყურა** „საწოლი“, **ჭიქ** „ჭიქა“, **მაშინა** „მანქანა“ და ა. შ.), მაგრამ იგივე ზმნა გვხვდება შემდეგ შესიტყვებებში (თუ სხვადასხვა იდიომატურ გამონათქვამში):

**ბაღდ ლიგნე** (ზს.), **ბაღდ ლიგენე** (ლნტ.) / **გლაჯდ ლიგნე** (ჩოლ., ლშხ.) / **წაწდ ლიგნე** (ჩოლ.) / **ტრაკდ** / **ტრაშდ ლიგნე** (ჩოლ.,

<sup>1</sup> მაგ., ლენტეხზა დაბაღსკა თელდ **ასფალტ ლგ** (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., III, 1967, 10:31) „ლენტეხის ცენტრში მთლიანად მოასფალტებულია („**ლენტეხ**-ი<sup>1</sup> **დაბა**-ში **მთლ**-ად **ასფალტ**-ი **დგ**-ა-ს“)“.

<sup>2</sup> და, ასევე, მისგან ნაწარმოები ზმნის პირიანი ფორმები.

ლშს.) „დაფლეთა, ნაფლეთებად ქცევა, დახევა (ზედმიწ. — ფლეთად **ღგ-მ-ა**)“; **ბგლად ლიგნე** (ბზ.) „დაფლეთა, დაგლეჯა; დამსხვრევა, დამტვრევა (ზედმიწ. — ფლეთად||მსხვრევად... **ღგ-მ-ა**)“; **გინჯილდ ლიგნე** (ზს.), **გენჯილდ ლიგნე** (ლშს.) „დაფლეთა, დაგლეჯა (ზედმიწ. — **გლეჯ-ად ღგ-მ-ა**)“; **გგლჯდ ლიგნე** (ბზ.), **გლჯდ ლიგნე** (ბქ.), **გლაჯდ ლიგნე** (ლშს.), **გლჯდ ლიგნე** (ლნტ.) „დაგლეჯა, დაფლეთა (ზედმიწ. — **გლეჯ-ად ღგ-მ-ა**)“; **გრამდ ლიგნე** (ზს., ჩოლ.) „ფერფლად ქცევა (ზედმიწ. — ფერფლად **ღგ-მ-ა**)“; **გუჟსად ლიგნე** (ბზ., ჩოლ.), **გუჟსად ლიგნე** (ლნტ.) „დახრუკვა, დაწვა, ფერფლად ქცევა, ცეცხლში შთანთქმა (ზედმიწ. — ფერფლად **ღგ-მ-ა**)“; **ბრიკს||ბანკირს ლიგნე** (ბქ.) „ურჩობა, ოჩნობა (ზედმიწ. — ნაბიჯ **ღგ-მ-ა**)“; **თხუემე ლგცვექდ ლიგნე** (ბქ.) „თავის დანაყვა, გახეთქვა (ზედმიწ. — თავის წყალ-**ფქვი**-ილ-ად და-**ღგ-მ-ა**)“; **როფდ ლიგნე** (ბზ.) „დიდი ჩხუბი (ზედმიწ. — საფანელად **ღგ-მ-ა**)“; **ციცუღდ ი შტუგუღდ ლგგ** (ჩოლ., ლშს.) „ჩხუბობენ“; **ბიზიკდ ლგგ** (ბზ.) „ჩქარია, მოხერხებულობა, ყოჩაღობა (ზედმიწ. — **ბიზიკ-ად ღგ-ა-ს**)“; **ცხენდ ლგგ** (ბქ.) „გავარგარებულობა, გავარგარებული არის; მაღალი სიცხე აქვს (ზედმიწ. — ნაკვერცხლად **ღგ-ა-ს**)“; **ბიქუიშ ჭულ ჩუ ლგგ** „ქარია, ქარი არის (ზედმიწ. — ქარის წულილი ქე **ღგ-ა-ს**)“; **თე ხაგ** (ზს., ქს.) „გათვალულობა (ზედმიწ. — **თვალ-ი ა-ღგ-ა-ს**)“; **ფთთუ ხაგ** „გაბზარულობა, გაბზარული არის (ზედმიწ. — **თმა ა-ღგ-ა-ს**)“; **ყაყა ხაგ** „მისი ყველაფერი ჩანს, მასზე ყველა ლაპარაკობს (ზედმიწ. — **ყაყანი ა-ღგ-ა-ს**)“; **საზანდარდ/საროსტად ლგგ** (ჩოლ.) „ბევრს ლაპარაკობს“ და მრავ. სხვ., რაც მის სემანტიკურ შესაძლებლობებზე მიანიშნებს. ცხადია, რომ ქცევის თვალსაზრისით ნეიტრალური **ლგგ** „ღგას“, მნიშვნელობით ყოველთვის სუბიექტის ვერტიკალურ მდგომარეობაში ყოფნას („ღგომას“) არ გამოხატავს, არამედ ზოგადად „*ყოფილობასაც*“, რასაც აქ წარმოდგენილი იდიომატური გამოთქმებიც ცხადყოფენ.

აქვე შევნიშნავთ, რომ ყველაზე ხშირად სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში დასტურდება მასდარი **ლიგნე** „ღგომა“ და მისგან ნაწარმოები ზმნის პირიანი ფორმები. ქართულში, თითო-ოროლა გამოწკლისის გარდა, *ღ გ ო შ ა* და მისგან ნაწარმოები ზმნის პირიანი ფორმები ფრაზეოლოგიზმთა ჩამოყალიბებაში დიდ როლს არ ასრულებენ.

მიუხედავად იმისა, რომ **ლიგნე** „ღგომა“ სვანურში ბევრ სიტყვასთან კავშირში გვხვდება და მისი ასპარეზი სხვა ზმნებთან შედარებით ფართოა, არ უკავშირდება ყველა სინონიმურ და სემანტიკურად ახლოს მდგომ სიტყვებს. მაგალითად, არ ამბობენ: **ჩქიმდ ლგგ**

„ლამაზია (ზედმიწ. — იერად **დგ-ა-ს**)“, **თხუიმს ვიცდ ხოგნე** „თავს დაუჩეჩქავს (ზედმიწ. — თავს ცომად **უ-დგ-ა-მ-ს**)“, **ხოჩა ლესდი ხაგ** „ლამაზია (ზედმიწ. — კარგი შეხედვა **ა-დგ-ა-ს**)“ და ა. შ. ჩვენი აზრით, სწორედ ეს არის პირველი ნიშანი აღნიშნული ზმნის ფრაზეოლოგიურად ჩაკეტვისათვის. უფრო მეტიც, შესაძლოა, თავდაპირველად ამ ზმნის გადატანითი გაგება შემოფარგლული ყოფილიყო ერთი მიმართულების ემოციებით და შემდგომ, დროთა განმავლობაში, მისი ხმარების რადიუსი გაზრდილიყო.

2. **აყურე** (ზს., ქს.), **ყურ** (ლნტ., ჩოლ.) „წევს“ პრედიკატი სვანურში სულ ორი მნიშვნელობით გამოიყენება: 1. წევს „ადამიანი, ცხოველი“ (ძირითადი მნიშვნელობით). 2. გართხმულია, გაწოლილია ძირს „მცენარე“ (გადატანითი მნიშვნელობით), რაც მის სემანტიკურ შეზღუდულობაზე მიანიშნებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მას სრულებით არ შესწევს უნარი ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა ჩამოყალიბებაში მიიღოს მონაწილეობა.

3. **სგურ** (ზს., ლშხ., ჩოლ.), **სკურ** (ლნტ., ჩოლ.) „ზის“ პრედიკატი კი შემდეგი მნიშვნელობით გამოიყენება: 1. ზის „ადამიანი, ცხოველი“. 2. მიხვედრა. 3. ხელისგულზე ტარება, განებვირება. 4. ცოლად გაყოლა. 4. დარდიანება, წუხილი. 5. დაწყობა, დალაგება „ხალხის“. როგორც ვხედავთ, არც **სგურ** ზმნა არ გამოირჩევა თავისი სემანტიკური შესაძლებლობებით.

4. ჰორიზონტალური მდებარეობის აღსანიშნავად მეტაფორული მნიშვნელობით გამოყენებული **კაჩ** „დგას (ზედმიწ. — აღმართულია)“ პრედიკატი შემდეგი მნიშვნელობით დასტურდება სვანურში: 1. დგას ფეხზე „ადამიანი“. 2. აღმართულია „კლდე, მწვერვალი, ხე“. 3. ქარია. 4. მეტისმეტად შეშინება, უზომოდ აღელვება, შეძრწუნება, გულის გახეთქვა:

**მიშგუ ქორ სგუებინ იცხ კაჩ** (ზზ.) „ჩემი სახლის წინ მსხლის ხე დგას („აღმართულია“)“; **ეშიუ მეჩი ზურაღ კაჩ** (ზზ.) „იქ მოხუცი ქალი დგას („აღმართულია“)“; **კესარს მაყალშუ ფათუ მან კაჩ ოთოგან, მარე უარ დეშ ხანქუე** (ბქ., სვან. პრ. ტექსტ., II, 1957, 276:7) „კეისარს შიშით თმა ყალყზე დაუდგა, მაგრამ უარი ვერ უთხრა („კეისარ-ს შიშით თმა ყველა აღმართ და-უ-დგ-ა, მაგრამ უარ-ი ვერ უთხრა“)“; **ჰამუნდუე ნებოზდ ჭვშხუი კაჩ ალ მარე** (ბქ.) „დილიდან

სალამომდე ფეხზე დგას („აღმართულია“) ეს კაცი“; **მიშეუ სგუებინ კოჯ კაჩ** (ბქ.) „ჩემ წინ კლდეა აღმართული“; **ამეჩუ ბოფშ კაჩ** (ლშხ.) „აქ ბავშვი დგას („აღმართულია“)“; **სგობინ ბეტონ კაჩ** (ლშხ.) „წინ ბეტონი დგას („აღმართულია“)“; **გირკტან ჩინგ ხილარ კაჩ** (ლშხ., ჩოლ.) „ირგვლივ ყველგან ხეებია აღმართული“; **ფათუ კაჩ-კაჩ ოთოგან** (ლშხ., ჩოლ.) „მიშისაგან თმები ყალყზე დაუდგა“; **ხილ კაჩ** (ჩოლ.) „ხილი დგას („აღმართულია“)“; **ამეჩუ ეჯ მარე კაჩ** (ლნტ.) „აქ ის კაცი დგას („აღმართულია, აყუდია“)“; **ამეჩუ ლეფრე მეგამ კაჩ** (ლნტ.) „აქ გამხმარი ხეა აღმართული („აყუდია“)“; **ექკალი ბიქუ ანკაჩდა, ერე იყუფურე მეგამარს, ეშ აქემა მეგამარს** (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 307:32) „იმისთანა ქარი ამოვარდა, რომ ხეებს ძირფეხვიანად თხრიდა, ცელავდა ხეებს („ის ყალიბ-ი ბუქ-ი აღიმართა, რომ ითხრის ხეებს, ი-ს-ე თიბავდა ხეებს“)“; **ბიქუ ენკაჩან** (ჩოლ.) „ქარი ამოვარდა“ და ა. შ.

როგორც საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, **კაჩ** „დგას (ზედმიწ. — აღმართულია)“ პრედიკატი სვანურში უსულოსაც მიემართება და სულიერსაც.

ამრიგად, როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნები სვანურში, ქართულის მსგავსად, სივრცეში ადამიანის სამ განსხვავებულ მდებარეობას აღნიშნავს: ვერტიკალურს — **ლგგ** „დგას“, ჰორიზონტალურს — **აყურე** „წევს“ და შუალედურს (ე. წ. „მოკეცილს“) — **სგურ** „ზის“. სივრცული ლოკალიზაციის გამოხატვის გარდა, აღნიშნული ზმნებისათვის, განსაკუთრებით კი **ლგგ** „დგას“ ზმნისათვის, დამახასიათებელია „*არსებობა-ყოფობისა*“ და „*კუთვნილების*“ სემანტიკით გამოყენება, რასაც ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალაც ადასტურებს.

§ 3. ცხოველთა, ფრინველთა, მწერთა და ქვეწარმავალთა მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნების სივრცული ლოკალიზაცია და მათი ურთიერთმიმართება „მყოფობის“ ზმნებთან

3. 1. ცხოველთა სივრცული ლოკალიზაცია. მდებარეობის აღმნიშვნელი ძირითადი ზმნები (ლგგ „დგას“, აყურე „წევს“, სგურ „ზის“), რომლებიც სივრცეში ადამიანის სამ განსხვავებულ მდებარეობას აღნიშნავს, როგორც უკვე ითქვა, გამოიყენება ცხოველთა მდებარეობის, პოზის აღსანიშნავადაც. მათი მდგომარეობა სივრცული მიმართებების ცვლის თვალსაზრისით ადამიანთან შედარებით სვანური ენის კილო-კილოკავებში კიდევ უფრო განსხვავებულია და შეიძლება ითქვას, ხშირ შემთხვევაში საკმაოდ შეზღუდულიც, თუმცა, როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ცხოველთა მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს ხშირად „მყოფობის“ ზმნები ენაცვლებიან:

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

შელ ლგგ/აყურე/სგურ<sup>1</sup> „ძალლი დგას/წევს/ზის; ფირჲ ლგგ/აყურე „დგას/წევს“; ღუაშ ლგგ/- აყურე „ჯიხვი დგას/წევს“; დაშდუ ლგგ/აყურე „დათვი დგას/წევს“; ციცჲ ლგგ/სგურ/აყურე (ბზ.) „კატა დგას/ზის/წევს“; ერმ'ზგის, ძულტუას ამხანთე, ბულტუა ლგგ (სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939, 415:18) „სხვა ადგილას, ზღვის აქეთა მხარეს, მოზვერი დგას“; ნაფკუნ ჯუთოლ ყორჲი აყურე (სვან. პოეზ., I, თბ., 1939, 52:31) „ნალეკვარი ძუ ძალლი კარებთან წევს“ ...

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

შელ ლგგ/აყურე „ძალლი დგას/წევს/ზის; ფჲირ ლგგ/აყურე „დგას/წევს“; ღუაშ ლგგ/აყურე „ჯიხვი დგას/წევს“; ციცჲ ლგგ/აყურე/ხაქჲიქჲუ (ბზ.) „კატა დგას/წევს/აცუტჲია“; მალ აყურე წიფრა ჩუქა ი ბაღე ხოტუას შდიმჲუ ი ღაზბინე ლიქინე (ბქ., სვან. ქრესტ., 210:9) „მელია წევს წიფლის ხის ქვეშ და ფოთოლი

<sup>1</sup> თუმცა ეს უკანასკნელი ძალლის ჯდომის აღსანიშნავად იშვიათად გამოიყენება.

დაეცა ყურზე და გაიქცა („დაიწყო სირბილი“); სი მარე, ჩუმიკჷ წრი ალ **დაშდუ** იმგუალეგ, ალ **ლეჟტუწარისგააჟ აყურე** (ბქ., ეკლინგის მასალები) „შე კაცო, სადღაც არის-მეთქი ეს დათვი, ამ არყნარში წევს-თქო“ ...

*ლ ა შ ხ უ რ ი*

**შელ ლგ/აყურეიყურ** „ძალი დგას/წევს/ზის; ფურ **ლგ/აყურეიყურ** „დგას/წევს“; **ღუაშ ლგ/აყურეიყურ** „ჯიხვი დგას/წევს“; **დაშტუ ლგ/აყურეიყურ** (ლშხ.) „დათვი დგას/წევს“; მართლა ძღღდ **კუიცრა** ლას ი **ჩუ ყურ** ამჩუ (ეკლინგის მასალები) „მართლა დიდი შუნი იყო და წევს აქ“ ...

*ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი*

**შელ ლგ/აყურეიყურ** „ძალი დგას/წევს/ზის; ფური **ლგ/აყურეიყურ** „დგას/წევს“; **ღუაშ ლგ/აყურეიყურ** „ჯიხვი დგას/წევს“; **ვან ლგ/აყურეიყურ** „ხარი წევს“ ...

*ჩ ო ლ უ რ უ ლ ი*

**შელ ლგ/აყურე** „ძალი დგას/წევს/ზის; ფურ **ლგ/აყურე** „დგას/წევს“; **ღუაშ ლგ/აყურე** „ჯიხვი დგას/წევს“ და ა. შ.

სვანურ მრავალფეროვან საილუსტრაციო მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ **ლგ** „დგას“ და **აყურე** „წევს“ პრედიკატი თითქმის ყველა ცხოველის სივრცულ ლოკალიზაციას გამოხატავს. რაც შეეხება **სგურ** „ზის“ პრედიკატს, იგი ყველა ცხოველს არ მიემართება, რასაც სავლელ პირობებში მოძიებული მასალებიც ადასტურებენ. თუმცა, თუკი, რომელიმე ინფორმატორს **სგურ** „ზის“ ცხოველთან მიმართებაში მაინც წამოცდა, ეს აუცილებლად ქართულის გავლენას უნდა მიეწეროს, ვინაიდან აღნიშნული პრედიკატის შერჩევის პრინციპი ამ შემთხვევაში სავსებით ნათელი არ არის ზოგი მათგანის აღნაგობიდან თუ მდგომარეობიდან გამომდინარე.

ზოგიერთი ცხოველის (მაგ.: *ძაღლის, კატის, მელიის, კვერნის, მგლის* და ა. შ.) ჯდომის „ჩაცუცქვის“ აღსანიშნავად სვანურში, ძირითადად, **საქუთქუთქუქუ** (ზს., ლნტ.), **საქუთქუთა/ხაბიჯლ** (ლშხ.,

ჩოლ.) „აცუცქია“ პრედიკატი გამოიყენება, რაც, ვფიქრობთ, ბევრად უფრო რეალურად ასახავს ცხოველთა მდებარეობის სივრცულ ლოკალიზაციას.

აქვე უნდა განვიხილოთ ხეზე „*მყოფობის*“ ამსახველი ისეთი პრედიკატებიც, როგორცაა **საკარჩხა/ხაფორცხა** (ზს., ლნტ.), **ხაფორცხა** (ზზ., ლმხ., ჩოლ.), **ხაფოთა** (ლმხ., ჩოლ.) „აცოცია“, რომლებიც ერთნაირად მიემართება როგორც ჩვენ მიერ აქ ჩამოთვლილ ზოგიერთ ცხოველს, ისე ადამიანსაც.

### ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

**ბეფშუ ჰანუისგა საქუიქუ** „ბავშვი ეზოში არის ჩაცუცქული („აცუცქია“)“; **ციცუ ხაფორცხა იცხუი** „კატა არის აცოცებული ხეზე („კატა აცოცია ხეს“)“; **ჰყინტ ლარტამისგა საქუიქუ** „ბიჭი ბოსტანში არის ჩაცუცქული („აცუცქია“)“; **ბეფშუ უისგუჟი ხაფორცხა** „ბავშვი ვაშლის ხეზე არის აცოცებული („აცოცია“)“; **ჰყინტ ჰებუი ხაკარჩხა** „ბიჭი ბლის ხეზე არის აცოცებული („აცოცია“)“ ...

### ბ ა ლ ს ქ ე ე მ ო უ რ ი

**ჟელ კალისგა საქუიქუქუქუქუ** „ძალი ეზოშია ჩაცუცქული („აცუცქია“)“; **ციცულდ ყორჟი საქუიქუქუქუქუ** „კატა კარებშია ჩაცუცქული („აცუცქია“)“; **ბეფშუ ჰანუისგა საქუიქუქუქუქუ** „ბავშვი ეზოშია ჩაცუცქული („აცუცქია“)“; **დამდუ მეგემჟი ხაკარჩხა/ხაფორცხა** „დათვი ხეზეა („დათვი ხეზე აცოცია“)“; **მალ ჟანურაშ მეგემს ხაკარჩხა/ხაფორცხა** „მელია არყის ხეზეა („აცოცია“)“; **ნალეჟურ სოშაუნსახთიშ კელთხი კოჯაშ თხუმიჟი საქუიქუქუქუქუქუ** „ბიჭი უზარმაზარი კლდის წვერზეა ჩაცუცქული („აცუცქია“)“; **სოფლიშ ბეფშუ მანგ ნიშგე ჰებს ხაკარჩხა** „მთელი სოფლის ბავშვი ჩვენს ხეზეა ასული („სოფლის ბავშვი ყველა ჩვენ ხეს აცოცია“)“; **მიშგუთა ბაბა კაკს ხაკარჩხა** „ბაბუაჩები კაკლის ხეზეა ასული („აცოცებულია“)“ ...

ლ ა შ ხ თ რ ი

კიტაულ სგა ლაზისა ხაქუნქუა „კნუტი შესასვლელში ჩაცუცქულა“; ციცუ ლამფას ხაფორცხა/ხაფოთა „კატა ჭერს აცოცია“; ბაყაყ ნიცისა ბლაჟი სგურ „ბაყაყი წყალში ფოთოლზე ზის“, თუმცა უფრო ხშირია არსებობის გამომხატველი არი „არის“ ზმნის გამოყენების შემთხვევები.

ლ ე ნ ტ ე ხ თ რ ი

ჟელ კალისა ქუქ<sup>1</sup>უ<sup>1</sup> „ძალი ეზოშია, ზის („აცუცქია“)“ და არა ჟელ სკურ „ძალი ზის“; მაულ ჩირთ ჩუქუნან ქუქ<sup>1</sup>უ<sup>1</sup> „მელია ბუჩქის ძირას არის ჩაცუცქული“; დაშტუ ცინყას ხაფორცხა „დათვი მოცვის ბუჩქზეა აცოცებული („აცოცია“)“ ...

ჩ ო ლ უ რ უ ლ ი

კიტაულ სგა ლაზისა ხაქუნქუა „კნუტი შესასვლელში ჩაცუცქულა“; მაულ ხილმოყ ხაბიჯლ „მელა ხესთან აცუცქია“; ციცუ ლამფას ხაფორცხა/ხაფოთა „კატა ჭერზეა („აცოცია“)“ ...

გარდა ზემოთ წარმოდგენილი ფორმებისა, სვანურ დიალექტებში ცხოველთა წოლის აღსანიშნავად დასტურდება მეტაფორული გადააზრიანებით მიღებული შემდეგი ზმნები — ლშხ., ჩოლ. ხაბრანჯლა/ხაპრანწყა/ხაგრანგა/ხაბრანყუა/ხაბრინგა (მაგ., ციცუ ბანრანჯლა/ხაპრანწყა „წევს“, ჟელ ბანრანჯლა/ხაპრანწყა „ძალი წევს (ზედმიწ. — „აფარჩხია/აპარჰყია“)“, ფურ ხაგრანგა „ძროხა წევს (ზედმიწ. — „აგორია“)“...), ბზ. ხაგრანგა (მაგ., დაშდუ ხაგრანგა „დათვი წევს (ზედმიწ. — „აგორია“)“, ბქ. ხაკრანკა (მაგ., დაშდუ ხაკრანკა „დათვი წევს (ზედმიწ. — „აგორია“)“, ბზ., ლშხ., ჩოლ. ხაბჯგენა (მაგ., ფირუ ხაბჯგენა „ძროხა დგას (ზედმიწ. — „აბიჯგია“)“ და სხვ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სვანურში ძალღის დგომას მიემართება კაჩ „დგას („აღმართულია“) პრედიკატიც (მაგ., ჟელ კაჩ „ძალი დგას (ზედმიწ. — აღმართულია)“, რომელიც ადამიანსაც მიემართება და ზედმიწევნით გამომხატავს მის სივრცულ ლოკალიზაციას.



ლაშხურსა და ჩოლურულში, მეტაფორული გადააზრიანების შემთხვევაში, გარჩეულია დიდი ძალისა და პატარა, ფინია ძალის სივრცული ლოკალიზაცია მათი აღნაგობიდან გამომდინარე, მაგ., **უელ ხაგრანგა** „ძალი წევს („აგორია“), მაგრამ **უელ ხაპრანჭყა** „ფინია ძალი წევს („აპარჭყია“), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრს, რომ სვანურში, მსგავსად ქართულისა, *სავნის (resp. ობიექტის)* ფორმა განაპირობებს მის სივრცულ მიმართებას და არა ფუნქციას.

**შენიშვნა:** სვანურის თითქმის ყველა დიალექტში **ამფხუ** „ბაყაყი“ ლექსემას არც ერთი ზემოთ დასახელებული პრედიკატი არ მიემართება. ვერც სვანურ ტექსტებში (მაგ., შდრ. ემხუ ხოშა ოთახისა ... **ოქურე თახტუი ბაყაყ ხეყადხ**, ეჩეხ-ამეხ ხემწიფე ი მიჩა ძეხუ დედფალ ლგგვდახ, გირიმურგუალ ნაზირ-ჟეზირალ. ხემოლ სკადვად ალ ღარიბ მაროლ, შიშტ ლახჭუთედდახ: „მა ლოქ ლი ალე, ა, **ტახტუი ლოქ ერ არი?**“ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 322:8-12) „ერთ დიდ ოთახში **ოქროს ტახტზე ბაყაყი ჰყავდათ**, აქეთ-იქით ხელმწიფე და მისი მეუღლე დედოფალი იდგნენ, ირგვლივ ვეზირები. როგორც კი შევიდა ეს ღარიბი კაცი, ხელად ჰკითხეს: „რა არისო ეს, აი, **ტახტზე რომ არისო?**“ ) და ვერც საველე პირობებში მოძიებულ მასალებში **ამფხუ** „ბაყაყი“ ლექსემის სივრცეში ლოკალიზაციისათვის **ლგვ** „ღვას“ / **სგურ** „ზის“ პრედიკატი ვერ დავაფიქსირეთ. **ამფხუ** „ბაყაყი“ გამოკითხულ რესპონდენტთა შორის ძირითადად ასოცირდება ხტომასთან, მაგრამ თუ ზის, ამ შემთხვევაში **სგურ** „ზის“ პრედიკატის ნაცვლად ამბობენ **წრი** „არის, იმყოფება“ (მაგ., **ბაყაყ წრი** (ბზ., ლნტ.), **ბაყაყ არი** (ქს.), **ამფხუ წრი** (ბქ.) „ბაყაყი არის“) პრედიკატს. ასეა სვანურის თითქმის ყველა დიალექტში ლაშხურის გარდა, სადაც *ბაყაყ-*ს მიემართება როგორც **სგურ** „ზის“ პრედიკატი (მაგ., **ბაყაყ ნიცისა ბალაჟი სგურ** „ბაყაყი წყალში ფოთოლზე ზის“), ისე **ხაპრანჭყა** „აპარჭყია“ პრედიკატი (მაგ., **ბაყაყ ნიცისა გაბვანბელ ხაპრანჭყა...** „ბაყაყი წყალში გაფარჩხულად ზის („აპარჭყია“)“, თუმცა ეს უკანასკნელი პრედიკატი მეტაფორული ინტერპრეტაციითაა გაჩენილი.

შესაძლოა ჩოლურულ მეტყველებაში ადამიანის მიმართ გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებულ გამოთქმაში დაფიქსირებული პრედიკატი **ხაპიტყ** „ზის (მაგ., **იმჟი ბაყაყშალ ხაპიტყ** „როგორ ბაყაყივით ა-ტყეპ-ია“)“ სწორედ ბაყაყს მიემართებოდეს.

3. 2. **ფრინველთა სივრცული ლოკალიზაცია.** რაც შეეხება ფრინველებს, მწერებს და ზოგიერთ ქვეწარმავალს, მათ მიემართება ძირითადად ლოკატიური პრედიკატი **ხაგ** „ადგას“, თუმცა როგორც ფრინველების, ისე ზოგიერთი მწერისა და ქვეწარმავლის<sup>1</sup> აღმნიშვნელი ლექსიკის სივრცული მიმართება სვანურში დიალექტების მიხედვით განსხვავებულ სურათს იძლევა, რაზეც მეტყველებს ერთი და იმავე ობიექტის მდებარეობის მიმართ ამა თუ იმ დიალექტში გამოყენებული სხვადასხვა პრედიკატები. ჩოლურული, რომელიც ძალზე საინტერესო ვითარებას ავლენას სივრცული ლოკალიზაციის თვალსაზრისით, ჩიტის მდებარეობას **სგურ** „ზის“ პრედიკატით გადმოსცემს, თუმცა არც **ხაგ** „ადგას“ პრედიკატს გამოორიცხავს, როცა სხვა დიალექტებში *ჩიტის ჯდობა* უმეტესად **ხაგ** „ადგას“ პრედიკატით გადმოიცემა, ზოგიერთ დიალექტში კი არალოკატიური **წრი / არი** „არის“ ზმნით, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ დიალექტოლოგიურ მასალას, რაც საშუალებას მოგვცემს გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ აღნიშნული საკითხის შესახებ.

*ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი*

**ნაპოლ მევაამეი ხაგ** „ჩიტი ხეზე ზის („ა-დგ-ა-ს“);  
**ლაჭურაჟი ნაპოლ ხაგ** „ფანჯარაზე ჩიტი ზის („ა-დგ-ა-ს“);  
**მურყუამეი ქათალ ხაგ** „კომპზე ქათამი ზის („ა-დგ-ა-ს“)“ ...

*ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი*

**ნაპრ ლაჭურაჟი ხაგ** „ჩიტი ფანჯარაზე დგას („ა-დგ-ა-ს“);  
**ჟერბ კოჯეი ხაგ** „ორბი კლდეზე დგას („ა-დგ-ა-ს“);  
**ქათლწარ მეგემეი ხაგხ** „ქათმები ხეზე სხედან („ა-დგ-ან-ან“)“ ...

*ლ ა შ ხ უ რ ი*

**ჟორბ კოჯეი ხაგ** „არწივი||ორბი კლდეზე ზის („ა-დგ-ა-ს“);  
**ნებოლარ ხილარს ხაგხ** „ჩიტები ხეებზე სხედან („ჩიტები ხილებს ადგანან“)“ ..., მაგრამ **ქათალ**

---

<sup>1</sup> მწერებისა და ქვეწარმავლების სივრცული ლოკალიზაციის შესახებ სათანადო ადგილას გვექნება მსჯელობა.

**მეგემუი ლგ** „ქათამი ხეზე დგას“ ან **ქათალ მეგემუი**  
**არი** „ქათამი ხეზე არის“ ...

*ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი*

**ნეპოლ ნეშკაყი ხაგ** „ჩიტი სხვენზე ზის („ადგას“)“;  
**ყუიჩ მეგამუი ხაგ** „მამალი ხეზე ზის („ადგას“)“; **ჟერბ**  
**ნაშხატყი ხაგ** „არწივი||ორბი ღობეზე ზის („ა-დგ-ა-ს“)“  
...

*ჩ ო ლ უ რ უ ლ ი*

**ნეპოლარ ხილარს ხნგხ** (ჩოლ.) „ჩიტები ხეებზე არიან  
(„ჩიტები ხილებს ადგანან“)“; **ნეპოლ ხნგ** „ჩიტი ზის  
(„ა-დგ-ა-ს“)“ ..., მაგრამ **ნეპოლ სგურ** „ჩიტი ზის“ და ა.  
შ.

ფრინველთა სივრცული ლოკალიზაცია სვანური ენის ყველა დიალექტში, როგორც მასალის ანალიზმა გვაჩვენა, გამოიხატება მდებარეობის აღმნიშვნელი რამდენიმე პრედიკატით, თუმცა ერთგვაროვანი ვითარება დიალექტებში არც ამ მხრივ გვაქვს. „მყოფობის“ აღმნიშვნელი **არი** „არის“ ზმნა კი ფრინველთა სივრცული ლოკალიზაციის გამოსახატავად ყველა დიალექტში გვაქვს და მათ შორის ბალსქვემოურშიც, რომელიც სხვა დიალექტებთან შედარებით აღნიშნულ საკითხში არქაულ ვითარებას ინარჩუნებს.

3. 3. **მწერთა სივრცული ლოკალიზაცია.** როგორც უკვე ითქვა, სვანურში ქართულისგან განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს მწერთა სივრცული ლოკალიზაცია. ჩვენი დაკვირვებით, მწერებს (მაგ.: *პეპელას, ბუზს, კოლოს, კალიას* და ა. შ.), რომლებიც დაფრინავენ, ძირითადად მიემართება ლოკატიური პრედიკატი **ხაგ** „ადგას“ სვანურის ყველა დიალექტში, ხოლო ძირსმხოხავი მწერების სივრცული ლოკალიზაცია **ხაბოლა**<sup>1</sup> „აცოცია“ პრედიკატით გადმოიცემა, თუმცა ბალსქვემოურსა და ნაწილობრივ ქვემოსვანურ დიალექტებში

---

<sup>1</sup> ძირსმხოხავი მწერების სივრცული ლოკალიზაცია იშვიათად, მაგრამ მაინც **ხაცონცა** „აცოცებულია“ პრედიკატითაც გადმოიცემა ბალსქვემოურში, მაგ., **სანაფს მტ ხაცონცა** „ვამლზე მატლია („სინაფს-ს მატლ-ი ა-ცოც-ია“)“, **ბაღეუი მტ ხაცონცა** (ლხმ.) „ფოთოლზე მატლია („აცოცია“)“.

აღნიშნულ პრედიკატებს აქაც უმეტესად „*ყოფობის*“ აღმნიშვნელი **პრი** „არის“ ზმნა ენაცვლება.

*ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი*

**ბუზულ ნაგ ლაჭურაჟი** „ბუზი ზის („ა-დგ-ა-ს“) ფანჯარაზე“, მაგრამ **ბუზულ პრი ლაჭურაჟი** „ბუზი არის ფანჯარაზე“; **მერჟე ნაგ სანს** „ჭიანჭველა არის თეფშზე („ჭიანჭველა ა-დგ-ა-ს თეფშს“)“, მდრ. **მერჟე პრი სანსისგა** „ჭიანჭველა არის თეფშზე“; **ყუაჟილს პარპოლდ ნაგ** „პეპელა აზის („ა-დგ-ა-ს“)“; **მეკრაჟი ბუზულ ნაგ** (ბზ.) „მკლავზე ბუზი აზის („ა-დგ-ა-ს“)“; **მერჟე ნაბოლა სანს** „ჭიანჭველა არის („აცოცია“)“ თეფშზე („თეფშს“)“ და სხვ.

*ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი*

**ლეღუს მერ ხაგ** „ხორცს ბუზი ადგას“; **ყუაჟილს მერ ხაგ** „ფანჯარას ბუზი ადგას“; **ყუაჟილს ჭვრელ პარპოლდ ხაგ** „ყვავილს ჭრელი პეპელა ადგას“; **ლეზუებს მეშე ხაგ** „საჭმელს ჭიანჭველა ადგას“; **ბეფშუს მუნწელა ხაგ ბარჯჟი** „ბავშვს კალია აზის („ა-დგ-ა-ს“) ბეჭზე“; **მეკრაჟი კვღვნ ხაგ** „მკლავზე კოლო აზის („ა-დგ-ა-ს“)“; **თხუიმიჟი კვღვნ ხაგ** „თავზე კოლო აზის („ა-დგ-ა-ს“)“, მაგრამ **ბეფშუს მეშეკარ ხაბოლან** „ბავშვს ჭიანჭველები ახვევია („მაცოციან“)“; **მეგემს მეშეკარ ხაბოლან** „ხეს ჭიანჭველები ახვევია („აცოციან“)“; **ყუაჟულარს მეტარ ხაბოლან** „ყვავილებს მატლები ახვევია („აცოციან“)“; **ლერეჟუს მუღულ ხაბოლა** „ტანსაცმელს ჭიადლა აზის („აცოცია“)“ და ა. შ.

*ლ ა შ ხ უ რ ი*

**ლეღუჟი ბუზულ ნაგ** „ხორცს ბუზი აზის („ა-დგ-ა-ს“)“; **კოლოლ ნაგ სტოლჟი** „კოლო ზის („ა-დგ-ა-ს“) მაგიდაზე“; **ტოტჟი ბუზულ ნაგ** „მკლავზე ბუზი აზის („ა-დგ-ა-ს“)“; **მეტ ნაბოლა ბალას** „ფოთოლს მატლი აზის („მატლ-ი აცოცია ფოთოლს“)“; **შტიმიჟი ტიშ**

**ჯაბოლა** „ყურზე ტილი აზის („აცოცია“); **ზურაღს**  
**ტიშ ხაბოლა** „ქალს ტილი აზის („აცოცია“)“ ...

ბალსზემოური დიალექტის მსგავსი ვითარება ვლინდება ლაშხურშიც, სადაც მწერთა სივრცული ლოკალიზაციისათვის გამოყენებულ პრედიკატებს სწორედ მყოფობის აღმნიშვნელი **არი** „არის“ ენაცვლება (მაგ.: **ლეღუე ბუზულ არი** „ხორცს ბუზი არის“, **კოდოლ არი სტოლუი** „კოდო არის მაგიდაზე“, **ბუჭუნჭელაი არი სტოლუი** „ჭიანჭველა არის მაგიდაზე“...), რომელიც წინადადების სინტაქსური კონსტრუქციიდან გამომდინარე ხშირად უფრო ბუნებრივია და მას მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს ვერ ჩავანაცვლებთ, თუმცა ბალსქვემოურ დიალექტს ამ შეთხვევაში ერთგვარი დისონანსი შემოაქვს და **ხაგ** „ადგას“ პრედიკატის შემოტანით სინტაქსურ კონსტრუქციებს არღვევს. მაგ., **მდრ. ერთი მხრივ, სტოლუი მერ ხაგ** „მაგიდაზე ბუზი ადგას“ და, მეორე მხრივ, **სტოლს მერ ხაგ** „მაგიდას ბუზი ადგას“ და ა. შ. ვფიქრობთ, პირველ შემთხვევაში (**სტოლუი მერ ხაგ** „მაგიდაზე ბუზი ადგას“) უფრო მართებული იქნებოდა — **სტოლუი მერ არი** „მაგიდაზე ბუზი არის“. სვანურის ყველა სხვა დიალექტში სწორედ ეს კონსტრუქცია დასტურდება.

*ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი*

**სტოლს მეშკარ ხაბოლას** „მაგიდას ჭიანჭველები ასეცია („აცოციან“)“; **კოდონ ჩუ სკურ<sup>1</sup> ყორმოყ** (სვან. პროზ. ტექსტ., III, 120:14) „კოდო ზის კარებთან“; **ნიჩუე ტიშ ხაბოლა** „სახეზე ტილი დასდის („აცოცია“)“ ...

*ჩ ო ლ უ რ უ ლ ი*

**ლეღუს ბუზულ ხაგ** „ხორცს ბუზი აზის ადგას“ ||  
**ლეღუს ბუზულ ხასგურ** „ხორცს ბუზი აზის“; **ლამფას ბუზულ ხაგ** „ლამპას ბუზი აზის („ა-დგ-ა-ს“)“, მაგრამ **ბუჭუნჭელაი არი სტოლუი** „ჭიანჭველა არის

---

<sup>1</sup> ვფიქრობთ, კოდოს სივრცული ლოკალიზაციისათვის გამოყენებული **სკურ** „ზის“ მეტაფორიზაციის შედეგია, რაც ზღაპრის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაშვებია.

მაგიდაზე“; **ბლაჟს კოლონ ნანგ ბარჯუი** „ბავშვს კოლო ადგას მხარზე“; **ტიშ ხაბოლა ლერექუჟი** „ტანსაცმელზე ტილი აზის („აცოცია“)“, მაგრამ **ტიშ ჯარ ნიჩუჟი** „ტილი გაზის („გაქვს“) სახეზე“; **ლერექუჟი ბუღულუ ჯაბოლა** „ჭილუა გაზის ტანსაცმელზე“, მაგრამ **ნიჩუჟი ჯარ ბუღულუ** „მაგრამ სახეზე ჭილუა გაზის („გაქვს“)“; **ტიშ / გგჯლ / ზგსყ ხაბოლა** „ტილი / ტკიპა / რწყილი ჰყავს („აცოცია“)“, მაგრამ **ტიშ / გგჯლ / ზგსყ ხორი** (ჩოლ.) „ტილი / ტკიპა / რწყილი ჰყავს“ და მისთ.

საინტერესოა, რომ ჩოლურულში რელიქტის სახით შემორჩენილი **ხორი** „ჰყავს („უვის“)“ ზმნა მხოლოდ მწერთა (**ტიშ / გგჯლ / ზგსყ** „ტილი, ტკიპა, რწყილი“) აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებს მიემართება. მისი მნიშვნელობა დავიწროებულია, რაც აღნიშნული ზმნის თანდათანობით გაქრობაზე მიანიშნებს. ლაშხურს<sup>1</sup> და ლენტეხურში თითქმის არ დასტურდება, რასაც ემპირიულ მასალაზე დაკვირვებაც ცხადყოფს.

**შენიშვნა: ხანგ||ხანგ** „ადგას“ პრედიკატი სვანურის ყველა დიალექტში მიემართება ბუზ-ს, რასაც ვერ ვიტყვით **ხანგურ** „აზის“ პრედიკატზე, რომელიც ჩოლურულის გარდა სვანურის არცერთ დიალექტში არ მიემართება მწერებს.

3. 4. **ქვეწარმავალთა სივრცული ლოკალიზაცია.** ქვეწარმავალთა სივრცული ლოკალიზაცია სვანურში რამდენიმე პრედიკატით გადმოიცემა: **აყურე** „წევს“, **ხაბოლა** „აცოცია“, **ხაფორცხა** „აცოცია“..., თუმცა ბალსზემოურსა და ქვემოსვანურ დიალექტებში (იშვიათად ბალსქვემოურშიც) მათ მდებარეობას ძირითადად „მყოფობის“ გამომხატველი **არი** „არის“ ზმნა მიემართება.

*ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი*

**ჰერწემ აყურე კალისგა** „გველი წევს ეზოში“, მაგრამ **ჰერწემ არი ჰანგურისგა** „გველი არის ეზოში“; **ვჟილას**

---

<sup>1</sup> ლაშხურში ამ შემთხვევაში **მირი / ჯორი / ხორი** „მყავს / გყავს / ჰყავს“ პრედიკატს **მაყა / ჯაყა / ხაყა** „მყავს / გყავს / ჰყავს“ ენაცვლება, რაც, აშკარაა, ქართულის გავლენის შედეგია.

**ჰანდეკუ საბოლა** „ზღუდეზე ხვლიკია (ზედმიწ. — ზღუდეს ხვლიკი აცოცია)“, მაგრამ **ჰანდეკუ წარი ვტილაჟი** „ზღუდეზე ხვლიკი არის“; **ზურალს ჰანდეკუ საბოლა** „ქალს ხვლიკი აცოცია“; **ჭუედს ჰანდეკუ ხაფორცხა** „კედელზე ხვლიკია (ზედმიწ. — კედელს ხვლიკი აცოცია)“; ჯი ანდრი ჟი თაჭრარბთეჟი ი ვმეჩუ შუკულისგა ხოშა **ჭერწემდლ აყურე** (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 314:2) „თვითონ ამოდის თავგარარში და აქ გზაში დიდი გველი წევს ისევ“ ...

### ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

**ჟიჯ აყურე** (ბზ.) „გველი წევს“, მაგრამ **ჟიჯ საბოლა ვტილას** „გველი არის ზღუდეზე („გველი აცოცია ზღუდეს“)“; **ფხელ საბოლა ჭუნდს** (ბზ.) „ხვლიკი არის კედელზე („ხვლიკი აცოცია კედელს“)“; **შუნალ საბოლა ვტილას** (ბზ.) „ხვლიკი არის ზღუდეზე („ხვლიკი აცოცია ზღუდეს“)“, მაგრამ **ამჩუ ლეყარჩინიშ წარი** „აქ თრითინა არის“ ...

### ლ ა შ ხ უ რ ი

**აშდეკუ საბოლა ვტილაჟი** „ზღუდეზე ხვლიკია („ხვლიკი აცოცია ზღუდეზე“)“; **ზურალს აშდეკუ საბოლა** „ქალს ხვლიკი დასდის („აცოცია“)“; **ჟიჯ ხალუწა დეზუისა** „გველი წევს („აწეღია“)“ ეზოში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში აყურე „წევს“ ...

### ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი

**ჭუნდს აშტაკუ საბოლა** „კედელზე ხვლიკია („კედელს ხვლიკი აცოცია“)“; **ვტილას აშტაკუ ხაცონცა**

---

<sup>1</sup> როგორც ბალსზემოური დიალექტის (კერძოდ ლატალურის) წარმომადგენელმა სპარტაკ ფარჯიანმა აღნიშნა, *თრითინა*-ს ძხოლოდ მყოფობის გამომხატველი *წარი* „არის“ პრედიკატი მიემართება. მსგავსი ვითარებაა ბალსქვემოურშიც, სადაც *თრითინა*-ს *ლდელოფალა*-ს შესატყვისი *ურშუნა*-ს სივრცული ლოკალიზაცია მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნით არ გამოიხატება. ვფიქრობთ, ამისი მიზეზი მისი ტაბუირებული მნიშვნელობა უნდა იყოს.

„ზღუდვებზე ხელიკია („ზღუდვებს ხელიკი ა-ცოც-ი-ა“);  
**ჟიჯ აყჟირეყჟურ** „გველი წვეს“ ...

თუმცა უფრო ხშირად *ქვეწარმავალთა* სივრცულ ლოკალიზაციას ლენტეხურში, სხვა დიალექტების მსგავსად, **პარი** „არის“ (მაგ., **ამტაკჟ არი ამეჩუ** „ხელიკი არის აქ“) პრედიკატი მიემართება.

რაც შეეხება ჩოლურულ მეტყველებას, იქ ქვეწარმავალთა სივრცული ლოკალიზაცია უძრობა-მდებარეობის აღმნიშვნელი სტატიკური ზმნებით არ გამოიხატება, აქ ძირითადად ფიგურირებს „*მყოფობის*“ გამომხატველი **არი** „არის“ ზმნა (მაგ.: **ლაგწგიჟი აშდჟკჟ არი** „ზღუდვებზე თრითინა არის“, **შისხუნდ არი ლაჰმანა** „ძლოკვი არის სათიბში“ და ა. შ.), მაგრამ გარკვეულ კონტექსტში რომელიმე *ქვეწარმავლის*, მაგალითად, *ხელიკის*, სივრცული ლოკალიზაცია, სხვა დიალექტების მსგავსად, **ხაფრთა** „აცოცია“ პრედიკატით გადმოიცემა (**ჰუჟადს ხელიკ ხაფრთა** „კედელზე ხელიკია (ზედმიწ. — კედელს ხელიკი აცოცია“)). გარდა ამისა, ჩოლურულში ერთი მეტად საინტერესო ტენდენციაც იკვეთება, კერძოდ, **ჟიჯ**-ს „გველი“, რომელიც **შისხუნდ**-ზე „ძლოკვზე“ უფრო გრძელია, მიემართება **ხადჟუნა** „წვეს (ზედმიწ. — აწელია)“ პრედიკატი, ხოლო **შისხუნდ**-ს, როგორც გველზე უფრო პატარას და მოკლეს მყოფობის გამომხატველი **პარი** „არის“ ზმნა. ვფიქრობთ, საინტერესო ვითარებასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან, როგორც ზემოთ ითქვა, ესა თუ ის პრედიკატი შერჩეულია იმის მიხედვით, თუ რა და როგორ აღიქმება ადამიანის თვალით, ანუ *საგნის* (*resp. ობიექტის*) სივრცული ლოკალიზაცია დამოკიდებულია სწორედ ამ ობიექტის ფორმაზე, რასაც ყველაზე კარგად და ზედმიწევნით ასახავს ჩოლურული მეტყველება.

უნდა აღინიშნოს, რომ ლაშხურშიც, ისევე, როგორც ჩოლურულში, **ჟიჯ** „გველი“ ლექსემას **აყჟირე** „წვეს“ პრედიკატი არ მიემართება, მას ენაცვლება **ხადჟუნა** „გაწოლილია“ პრედიკატი (მაგ., **ჟიჯ ხადჟუნა** (ლშხ., ჩოლ.) „გველი წვეს „გაწოლილია (ზედმიწ. — აწელია)“. ბალსქვემოურ დიალექტში კი, სადაც **ჰერწემ აყჟირე** „გველი წვეს“ ფორმა უფრო გავრცელებული, **ხადჟუნა||ხადრუნა** „გაწოლილა („აწელია“)“ ფორმაც გვხვდება (მაგ., **ლარალეჟა ხოშაჟსახჟიშ სჟირილ ჰერწემ ხადრუნა** (ბქ.) „სათიბზე უზარმაზარი გველი არის გაწოლილი („სათიბ<sup>1</sup>ს<sup>1</sup> ზემოთ უზარმაზარი სრული გველი აშხლართია“)), რომელიც, ჩვენი აზრით, მეტაფორული



მნიშვნელობითაა გამოყენებული, თუმცა *გველის* ფორმასა და მდგომარეობას ზედმიწევნით ესადაგება.

**შენიშვნა:** ქვემოთხსენებული დიალექტებში **ხაბოლა** ფორმა გამოიყენება ასეთ კონტექსტშიც, მაგ., **ზისხ ხაბოლა დენას ტუტეტი** (ლნტ.) „ქალიშვილს ხელზე სისხლი აცხია („აცოცია“)“, **ნიჩუტი წუთირ ხაბოლა** „სახეზე ჭუჭუი აცხია („აცოცია“)“, **ქუეყან ბონდ ი უბე ხბოლან** (ჩოლ.) „უამრავი ნაგავი და მტვერი მოედო („მოეხვია, ააცოცდა“)“, ანუ *ცოცვის* გარდა *აცხის* მნიშვნელობაც აქვს.

აღნიშნული ზმენებით გარკვეულწილად ხდება ცხოველთა, ფრინველთა, მწერთა, ქვეწარმავალთა სამყაროს (ფართო გაგებით) ერთგვარი კლასიფიკაცია მათი ფორმისა და მათთვის დამახასიათებელი სივრცული მდგომარეობის, მდებარეობის — მათი ტოპოლოგიის მიხედვით, თუმცა ამა თუ იმ პრედიკატის შერჩევის პრინციპი ყოველთვის ნათელი არ არის, ტოპოლოგიური კომპონენტი ერთგვარად დაჩრდილულია, ქართულში, მაგალითად, *ზის* პრედიკატის შემთხვევაში (*კუ ზის, თავვი ზის...*), სვანურში კი **სგურ** „ზის“ პრედიკატის ადგილას **არი** „არის“ იკავებს (**მდუგუ არი** „თავვი არის“, **ბუძგუ არი** „ზღარბი არის“ და ა. შ.). ასევე საინტერესოა სვანურში, კერძოდ ბალსქვემოურ დიალექტში **მდუგუ** „თავვი“ ლექსემის მიმართ გამოყენებული პრედიკატი **არიჭუანე** „ყურებდაცქვეტილი იყურება“ (მდრ. ჩოლ. **რაჭუშანლ არიჭუანე** „კურდღელივით აქვს ყურები დაცქვეტილი“), რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში *თავვი* აუცილებლად ერთ ადგილასაა გაშემებული, ანუ *ზის*, თუმცა სვანური **სგურ** „ზის“ პრედიკატი მას არ მიემართება, რაც რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგადაც დასტურდება.

როგორც წარმოდგენილმა მასალამ ცხადყო, ძალზე საინტერესო ვითარება ვლინდება ზოგიერთი მწერისა და ქვეწარმავლის აღმნიშვნელი ლექსიკის სივრცულ მიმართებასთან დაკავშირებით სვანურში, რაც ქართულისაგან განსხვავებულ სურათს წარმოგვიდგენს. განსაკუთრებით ხშირად მწერებსა და ქვეწარმავლებს, როგორც უკვე ითქვა, მიემართება **ხაბოლა** „აცოცია“ პრედიკატი. ამ პრედიკატით გადმოიცემა სიტყვის მნიშვნელობა როგორც ფსიქოლოგიური ფენომენი — იდეა ან წარმოდგენა. ის, რაც მიწაზე დახიხავს, ადამიანის თვალში აღიქმება როგორც უსუსური, პატარა არსება, რომელიც ცოცავს, დახიხავს, მოძრაობს ნელა. **ხაბოლა**-ს მასდარია **ლიბოლე** „აცოცება“. გვაქვს, აგრეთვე, **ლიბულალ** „ლასლასი, ძლივს

სიარული“ ფორმაც, რომელიც მიემართება როგორც ადამიანს, ისე ცხოველებსაც:

**ნაწილი ქა უნდ იბუღალ** (ბქ.) „სიბერისგან ძლივს დალასლასებს“; **ლინთუისგა ხოლა ნაბედ უნთხუმაღ ქა უნდ იბუღალს** (ბქ.) „ზამთარში ცუდად გამოკვებილი საქონელი ძლივს დალასლასებს“; **მეაღ ჩუმდ იბუღალ / ივუნდუღალ** (ჩოლ.) „ყოველთვის ჩუმად საქმიანობს („დაბოდილობს, დალასლასებს“)“; **ბუღულშალ იბუღალ** (ჩოლ., ლშხ.) „ობობასავით ჩუმად დალასლასებს“; **ბენარეთისა უნდ იბუღალს** (ჩოლ.) „სიბნელეში ძლივს დალასლასებენ“ და სხვ.

აქვე შევნიშნავთ, რომ **ლიბოლე** „აცოცება“ მიემართება მწერებსა და ქვეწარმავლებს, ხოლო **ლიბუღალ** „ლასლასი, ძლივს სიარული“ ადამიანებს და, ძირითადად, მსხვილფეხა საქონელს. ნიშანდობლივია ისიც, რომ სვანურში ქვეწარმავლებს **მებუღარ** ფორმით აღნიშნავენ, ანუ მიწაზე მცოცავი მხოთხავი არსებები. რაც შეეხება **მებუღალ** ფორმას, იგი ყოველგვარ სულიერ არსებას გულისხმობს, მაგ., **გიმუი ქა მებუღალ მაგ** (ბქ.) „მიწაზე მოსიარულე ყველა სულიერი („მიწაზე მოლასლასე ყველა“)“.

ჩოლურული მეტყველება, რომელიც მრავალი თავისებურებებით გამოირჩევა, ამ შემთხვევაშიც საინტერესო ვითარებას ავლენს, კერძოდ, **ხაბრლა** „მაცოცია“ პრედიკატი სულიერს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში მიემართება, თუ საქმე ეხება ისეთ მწერებს, როგორცაა: **ტიშ** „ტილი“, **გვჯღ** „ტკიბა“, მაგ.: **სუიტრყი ტიშ მაბრლა** „სვიტრზე ტილი მახის („მაცოცია“)“, **კაბუი გვჯღ მაბრლა** „კაბაზე ტკიბა მახის („მაცოცია“)“ და ა. შ., ყველა სხვა შემთხვევაში, უგამონაქლისოდ უსულო საგნის მდებარეობას, ლოკალიზაციას გამოხატავს, მაგ.: **მეკარყი ფათუ მაბრლა** „მკლავზე თმა მაქვს („მაცოცია)“, **კაბუი ბონდ მაბრლა** „კაბაზე მტვერი მაქვს („მაცოცია)“, **ლერქუტი ბალე მაბრლა** „ტანსაცმელზე ფოთოლი მაქვს („მაცოცია)“ და მისთ.

მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ის, რაც ერთი დიალექტის წარმომადგენლისთვის მდებარეობის აღმნიშვნელი **ხაგ** „ადგას“ პრედიკატი გადმოიცემა, მეორე დიალექტის წარმომადგენლისთვის ქონა-ყოლის გამოხატველი ზმნაა ნიშანდობლივი, თუმცა არაერთგვაროვანი სურათია თვით ერთი დიალექტის შიგნითაც კი;

ხშირად ერთსა და იმავე ლექსიკურ ერთეულს ხან მდებარეობის აღმნიშვნელი პრედიკატი მიემართება, ხან — ქონა-ყოლის. აღნიშნულ მასალაში ცხადად იგრძნობა ამ ენის მატარებელი ხალხის შემოქმედებითი დამოკიდებულება ამა თუ იმ გამოთქმისადმი.

## გამოყენებული ლიტერატურა:

### ა) სამეცნიერო ლიტერატურა

**აბულაძე** 2000 — ლ. აბულაძე, ლექსიკური სემანტიკის ისტორიიდან, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXIV, თბილისი, 2000

**ლოლაძე** 2005 — ნ. ლოლაძე, არსებობისა და ქონა-ყოლის ზმნათა მიმართებისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IX, თბილისი, 2005

**ლოლაძე** 2011 — ნ. ლოლაძე, სივრცული ლოკალიზაციის აღმნიშვნელი ზმნები, საენათმეცნიერო ძიებანი, XXXIV, თბილისი, 2011

**ლოლაძე** 2013 — ნ. ლოლაძე, „პოზიციური“ პრედიკატები დგას, დევს/წევს, ზის (სემანტიკური ანალიზი), 72-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2013

**რახილინა** 1998 — Рахилина, Семантика русских «позиционных» предикатов: стоять, лежать, сидеть, висеть, *Вопросы Языкознания*, № 6., 1998

**სუხიშვილი** 2005 — მ. სუხიშვილი, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IX, თბილისი, 2005

**შანიძე** 1980 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1980

**ჩიქობავა** 1950 — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება. — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბილისი, 1950

J. Newman, A cross-linguistic overview of the posture verbs ‘sit’, ‘stand’ and ‘lie’, *The Linguistics of Sitting, Standing, and Lying*, (Amsterdam, 2002), s. 1-24.

## ბ) ლექსიკონები

**თოფურია, ქალდანი** 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000

**ლიპარტელიანი** 1994 — ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1994

## გ) წყაროები

**სვან. პროზ. ტექსტ.** 1939 — სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსწემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი, 1939

**სვან. პროზ. ტექსტ.** 1957 — სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსწემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1957

**სვან. პროზ. ტექსტ.** 1967 — სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1967

**სვან. პროზ. ტექსტ.** 1979 — სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არ. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი, 1979

**სვან. ენის ქრესტ.** 1978 — სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი, 1978.

## Medea Sagliani

### On the spatial localization in Svan

#### I. Spatial localization in the verbs denoting location of animals, birds, insects and reptiles and its interaction with predicates derived from the verb “be”

##### Summary

This paper reviews the phenomenon of spatial localization of human beings, animals, birds, insects, and reptiles, and its interrelationship with the predicates derived from the verb “be”.

The most common verbs denoting position, which describe human beings' three different types of positioning in space (either a vertical one, a horizontal one, or in an intermediate way, the so-called “sitting cross-legged” manner), are as well used to denote the positions and poses taken by animals. The interaction of spatial parameters changes the point of view in comparison with humans in Svan subdialects, and it may be noted that, in most cases in a rather limited way, though, as the field work data suggest, verbs denoting localization of animals are often used interchangeably with predicates derived from the verb “*be*”.

In the case of birds, insects, and some reptiles, the predicate **xag** “stands on is heading to them” is applied, which is primarily restricted to the expression of spatial relations, although the spatial interaction of vocabulary denoting birds, as well as certain insects and reptiles, provides different results depending on the dialect variation in Svan. The latter is indicated by the use of different predicates with the general meaning of “be”, cf. *ãri* “it is” being involved into the expression of birds' spatial localization in various dialects of Svan, including the Lower Bal varieties; the latter, compared to the other varieties of Svan, tends to preserve more archaic expressions for the coding of spatial relations.

## მუხრან სუსიფილი

### მომი სმანური ნასმსობა რაჭულში

ღეო „ძნა მღგარი ხუთეულით ოცეულამღე ZAB“ (საბა) როგორც კულტურულ-ისტორიული, ასევე სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით, საყურადღებო სიტყვაა: ის დარგობრივ ლექსიკას, კერძოდ, მემინდვრეობას განეკუთვნება, გავრცელების თვალსაზრისით შეზღუდულია, ძველ ქართულში არ დასტურდება, თუმცა საბა სიტყვის დამოწმებისას „ბალავარიანზე“ უთითებს; დიალექტებიდან შემოგვრჩა მხოლოდ რაჭულში; ამასთან ღეო ფონოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით (CVV) ქართული სათვის უჩვეულო ფუძეა, საბასთან ამ სტრუქტურის რამდენიმე სხვა ფუძეც გვაქვს (თეო, ჩეო, ქეშეო, ჭეო/ჭეოდ-ჭეოდ).

დასაწყისში წარმოდგენილი განმარტების გარდა, „ძნა მღგარი ხუთეულით ოცეულამღე“, სხვა ნუსხების მიხედვით, ღეო ძნაა, მღგარი ნამკალთა შინა (+ძნეულად Cab) CD, „ნამკალსა შინა მღგარი“ E; ძნეული ღეოს სინონიმი ჩანს (შდრ.: „შეკრიბეთ ლუარძლი იგი და შეკართ ძნეულად“ მ. 13,30). საფიქრებელია, რომ „ძნეული“ უნდა ძნების კრებულს ნიშნავდეს“ - განმარტავს ივ. ჯავახიშვილიც (1986, 96). ღეოს ბრჯასთან ერთად „ზვინი“-სიტყვის ბუდეშიც განიხილავს საბა.

სემანტიკური სხვაობა ზვინის, ღეოსა და ბრჯას განმარტებებში ლოკალური და მოცულობითი ხასიათისაა, შდრ.: ზვინი... ძნათა დგმულობა მცირედ-მცირედ რაოდენ ძნაა, სოფლიონი ათეულად და ოცეულად უხმობენ, ხოლო ამათ ყოელთავე ღეო ეწოდების მინდორთა შინა დგმულსა, ხოლო რა კალთა კიდესა დაიღვას ყოელივე ერთად ბრჯად უწოდენ, უკეთუ მეტად დიდი ბრჯა იყოს გინა თივა ანუ სელი და ცერცვი მას უწოდენ ზვინად“ (საბა).

შედარებულ სინონიმურ ერთეულთა (ღეო, ბრჯა, ზვინი) საერთო მნიშვნელობა „სიტყვის კონაში“ წარმოდგენილი დაზვინა<sup>3</sup> „დაავროვა“, ნაზვნები

„განამრავლები“ სიტყვათა განმარტებებით ამოიკითხება, ის ნამკალის ერთეულია, მკის შედეგად ნაგროვები.

საბაზე დაყრდნობით განიმარტება ღეო ნიკო და დავით ჩუბინაშვილებთანაც:

ღეო ძნა მღვარი სუთეულიდან ოცეულამდე (ნ. ჩუბინაშვილი, 1961),  
ძნა მღვარი სუთეულიდან ოცეულამდე ВЯЗКА ШОПОВ (დ. ჩუბინაშვილი, 1984).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ღეო დახასიათებულია როგორც რაჭულ დიალექტში შემორჩენილი არქაული სიტყვა: ღეო - ძვ. და კუთხ. (რაჭ.) ერთად დადგმული 5-20 ძნა (საბა). 20 ნაბჯი (=ძნა) ერთი ღეოა („ლიალ.“) ქველ VII. რაჭული დიალექტის ლექსიკონში ამ იშვიათ სიტყვას სათანადო ფრაზაც ახლავს: ღეო ყანაში დადგმული 20 ნაბჯი... რამდენი ღეო პური მომკევით? (კობახიძე, 1987); სათანადო ილუსტრაციები დამოწმებულია ო. კახაძის ნაშრომში „პურეულის ლექსიკა ქართულში: ღეო 20 ნაბჯია (ფუტიეთი); სამ ღეოს ერთი ნაბჯი (კონა) აკლდა იქა... 4 ნაბჯი მადანა გამოჩნდა... ქვევიდან მუაღვით ნაბჯები (ფუტიეთი).

- თამარა, თქვენი რამდენი იყო, სუთი ღეო? - სუთი ღეო  
და ორი ნაბჯი (ფუტიეთი) (კახაძე, 1987, 75).

განმარტებით ლექსიკონში ერთგვარად დაჯამებულია ღეო - ს შესახებ არსებული მონაცემები და სალექსიკონო ერთეულს ასეთი კვალიფიკაცია ეძლევა: ღეო - ძვ. და კუთხ. (რაჭ.) ერთად დადგმული 5-20 ძნა (საბა). 20 ნაბჯი (=ძნა) ერთი ღეოა („ლიალ.“); განმარტებას სალიტერატურო ენიდან სათანადო ილუსტრაცია არ ერთვის. ილუსტრაციები დაცულია განმარტებითი ლექსიკონის ფონდის მასალაში:

მ. ლებანიძის:

„გავტოპავდით და გავტოპავდით ხეორს,  
შურდულით ხელში ვეფერებოდით ღეოს,  
გულისფრიალით ვეპარებოდით ოლეს,

გადავირბენდით სათიბებსა და გორებს...

შ. ფორჩხიძის: ფერღობზე წითლად ღვიოდა ღეო .

ა. ლლონტის მიერ შედგენილ „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა-ში“ ლეოს განმარტება მ. ალავიძეზე დამოწმებით არის წარმოდგენილი: ღეო (ზ. რაჭ.) ოცი კონა პურეულისა მოძკილ ადგილზე დროებით დადგმული (ღლონტი, 1984).

ქართული ენის ფონოლოგიური სტრუქტურის ანალიზმა აჩვენა, რომ სიტყვის ბოლოს ხმოვანთა კომპლექსები, მათ შორის, ეო მიმდევრობაც, ერთი მორფემის ფარგლებში ქართული სათვის ბუნებრივი არ არის. შესაბამისად, ღეო -ს რიგის დადასტურებული ფუძეები თეო, ჩეო, ჭეო, წყეო, ჯეო... (ექსპრესიულ ფუძეთა გამოირიცხვით) ან ნასესხებია, ანდა მორფემათა შორის გრამატიკულ-ლექსიკური ზღვრის მოშლით არის მიღებული (უთურგაიძე, 1976, 29-32). ჩერქეზული ენებიდან შეთვისებულად არის მიჩნეული, მაგალითად, ქართ. ჩეო, სვან. ჩაჭ ზს., ლნტ., ჩეჭ ლშს. შდრ., ჩერქ. ქაჭ > ჩაჭჲ „ღობე“ (შენგელია, 2006, 152); სვანურის უძლავუტიანი დიალექტებიდან ჩაჭჲ ფორმის შეჯერება უუძლავუტო ლაშხურის ჩეჭჲ ფორმასთან ზემოსვანურსა და ლენტეხურში უკანა რიგის უძლავუტსა და სესხებისას ამოსავლად ქართ. ჩეო -ს ივარაუდება (ქალღანი, 1969, 72), თუმცა არ გამოირიცხება სესხების სხვაგვარი შესაძლებლობაც (შენგელია, იქვე). მასდარის ფორმები ივარაუდება ამოსავლად თეო, წყეო ლექსემათათვის: თევ-ა > \*თევ-ო > თეო (გ. ახვლედიანი). ეს ფორმა თეო საყურადღებო ჩანს იმიტაც, რომ გვაქვს ოდენსუფიქსიანი წარმოება დანიშნულების სახელისა, რაც მის არქაულობაზე მიუთითებს (უთურგაიძე, 1976, 31); -ო სიტყვაწარმოებით სუფიქსად ჩანს წყეო ფორმაშიც: „ჯერ ერთი, ამ ფორმას აქვს ღებლელი წყეე ამავე მნიშვნელობით \_ „სწყეო“, მეორეც, იგი უთუოდ უკავშირდება წყევ ძირს (ა-წყვ-ა) (უთურგაიძე, 1976, იქვე); წყეე „სწყეო“ საბასთან ბოლოგიდური -ო-ს გარეშეა დამოწმებული, ხოლო მასდარის სალექსიკონო ფორმად არა ძველი ქართულის წყვა, აწყვა, არამედ



წყევ- ფუძიანი წყევ ა „სწყევთ აწყვა“ არის გამოტანილი; შდრ., ასევე წყევი (25.25 იობ.) აწყვა.

თეო (თევ-ო) და წყეო (წყევ-ო) ლექსებითა არსებული სავარაუდო ანალიზის კვალობაზე, შეიძლება დავუშვათ ღეო ფორმის მიღების ანალოგიური გზა: ზმნის ფუძეზე სიტყვაწარმოებითი -ო სუფიქსის დართვა - ღეო < \*ღევ-ო და ეს სააღბათო \*ღევ- ფუძე სემანტიკურად აღე ბა ზმნას დავუკავ- შიროთ, რომლის ფორმებთანაც მნიშვნელობის გადაკვეთა უდასტურდება. შდრ., ალება... 3. მოწევა, შეგროვება, თავმოყრა (მოსავლისა)... || აკრეფა, შე- გროვება, აღებულ-ი... აღებული ყანა... მოწეული, მოძკილი ყანა (ქეგლ. I).

ღეო მნიშვნელობით იმავეს აღნიშნავს, რასაც ძვ. ქართულის მიმდლო- ბური ფორმა გამონაღები „მორჩი, ყლორტი“: „ლერწმისა იგი გამონა- ღები“ ბ. კეს. - ექუს. დღ. 64,27. ოღონდ ესაა, რომ ალება ზმნა ცალთანხმოვ- ნიანი ძირია, -ებ თემისნიშნანი: ი-ღებ-ს - აღ-ი-ღ-ო („გამოიღის პური ქუეყანით ფს. 103,14) და ჩვენი ძიებისათვის საორიენტაციო \*ღევ- ფუძე ნა- მყო ძირითადში მხოლოდ შინაგანი რეკონსტრუქციის შედეგად თუ აღდება, და ისიც - ნამყო ძირითადში: აღ-ი-ღ-ო < \*აღ-ი-ღ-ევ-ა (გოგოლაშვილი, 1984, 42-43). ღეო- ფუძის წარმოქმნის ერთ-ერთი შესაძლებელი გზა იქნებოდა რა- ჭულში -ებ /-ევ თემის ნიშანთა მონაცვლეობის დადასტურება, აქ კი -ებ /-ემ თემის ნიშანთა მონაცვლეობა გვაქვს: ი-ღებ-ს / იღ-ემ-ს (ჯორბენაძე, 1989, 410). ამდენად, ღეო - ს დაკავშირება აღე ბა ზმნასთან, ღეოს ეტიმოლოგი- ზაციის ცდა ქართულ ენობრივ სინამდვილეში ბუნდოვანი რჩება.

ქართულ (რაჭ.) ღეოსთან მატერიალურ და სემანტიკურ სიახლოვეს აჩენს სვანური გასუბსტანტივებული მიმღეობა მღ-ღაჭ (ბზ.) „გასალეწი მარ- ცვლეული“, სხვა დიალექტებში აწმყოს მიმღეობის მღ- პრეფიქსს მო- პრეფიქ- სი ენაცვლება: მღ-ღაჭ ბზ., მო-ღაჭ ბქ. ლნტ., მო-ღაჭი ლმზ. 1. ბზ. გასალეწი მარცვლეული. მღღაჭ ქაფხიჭხ კალჭისგა (ბზ.) - გასალეწი მარცვლეული კა- ლოზე გაშალეს. 2. მოსავალი ნებჭაშარს ნათეჭ მოღაჭს ჟი ხწგემზ (ბქ. 230) - საღამოობით მოძკილ მოსავალს დაზვინებენ (დაღამენ) (თოფურია, ქალღანი,

2000); ბალსზემოური და დანარჩენი დიალექტების მნიშვნელობათა შეჯგერება სემანტიკური განვითარების მიმართულებას ცხადად გვიჩვენებს („გასაღწი მარცვლეული“ > „მოსავალი“), ასევე ცხადი ჩანს სემანტიკური კავშირი ქართ. ლეო'სთანაც (=“მნა, მნეული“), მაგრამ ნათელი არ არის ფონეტიკური და გრამატიკული მიმართება ქართული და სვანური ფორმებისა. ლაშხ. მო-ლაჭ-ი უძლავტიანი დიალექტების მიმღობათა ფუძეებისათვის ამოსავლად ა ხმოვ-ნიან ფუძეს გულისხმობს: მგ-ღაჭ ბზ. მო-ღაჭ ბქ., ლნტ. < მო-ლაჭ-ი ლშხ. უძლავტის მიზეზი აუსლავტში მოკვეცილი ი ხმოვანია, ლაშხურმა რომ შემოგვინახა; შესადარებელ ქართულ ლეო ფუძეში კი ე ხმოვანი გვაქვს. ქართულიდან რომ იყოს ეს სიტყვა სვანურში გადასული, ლაშხურის სათანადო ფუძეში ასევე ე ხმოვანი გვექნებოდა; შესაბამისად, უნდა ვიფიქროთ, რომ ღე ო ზ. რაჭულში სვანიზმია, კერძოდ, მგ-ღაჭ ფორმის რეფლექსი: სიტყვის ანლაუტში მ-თანხმოვნის დაკარგვა, მით უმეტეს ნასესხები სიტყვის ფუნქციონირება პრეფიქსისა, რაჭული სათვის ჩვეულებრივი ფაქტი იქნებოდა (შდრ.: დულარე < მდულარე, ძორი < მძორი, თელი < მთელი და ა.შ.); ასევე, სვანური უძლავტიანი ა ხმოვანი (მგ-ღაჭ) აკუსტიკურად ბუნებრივად აღიქმებოდა ე ხმოვნად.

აღსანიშნავია, რომ სვანურის ეს მიმღობა, ოღონდ მო- პრეფიქსიანი, ლეჩხუმურმაც შეითვისა: მო ღ ა ვ - ი (ლეჩხ.) მოსავალი, ჭირნახული (მ. ჩიქ.); ბარაქა, მოსავალი (მ. ალავ., 1), მო ღ ა ვ ი ა ნ - ი (ლეჩხ.) ბარაქიანი, მოსავლიანი, ლოვლათიანი ადგილი (ღლონტი, 1984).

### გამოყენებული ლიტერატურა:

- გოგოლაშვილი, 1984:** გ. გოგოლაშვილი, დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ასალ ქართულში, თბ.
- თოფურია, ქალღანი, 2000:** ვ. თოფურია, მ. ქალღანი, სვანური ლექსიკონი, თბ.
- კახაძე, 1987:** ო. კახაძე, პურეულის ლექსიკა ქართულში, თბილისი.
- კობახიძე, 1987:** რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენელი ალ. კობახიძე, „მეცნიერება“, თბილისი.
- საბა:** სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, 1993, თბილისი.

- უთურგაიძე, 1976:** თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, „მეცნიერება“, თბილისი.
- ქალღანი, 1969:** მ. ქალღანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სისტემა სვანურში, თბილისი.
- ღლონტი, 1984:** აღ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, „განათლება“, თბ.
- შენგელია, 2006:** ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი, „ქართული ენა“, თბილისი.
- დ. ჩუბინაშვილი, 1984:** დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ.
- ნ. ჩუბინაშვილი, 1961:** ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანებით, აღ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ.
- ჯავახიშვილი, 1986:** ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, II, შრომები, თხზულებანი 12 ტომად, ტ. V, თბილისი.
- ჯორბენაძე, 1989:** ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი.

**Murman Sukhishvili**

**On a Svan Borrowing in Rachan**

### Summary

**yeo** (a sheaf) is a Georgian archaic word in the Rachan dialect. It is interesting in a cultural and historical, as well as structural and semantic point of view. The word relates to a specialized vocabulary, in particular, it relates to the arable farming. For Georgian a phonological structure of a base CVV (the vowel complex in the auslaut) is unnatural.

We think that the word **yeo** is a phonetically changed form of the Upper Balian participle **mგ-ყჷმ** (corn to be flailed): Svan **m-ყჷმ** and Rachan **yeo**. This change is expressed in losing Svan prefix consonant **m - m > Ø**, turning the base umlaut vowel **ჷ** into the vowel **e - ჷ > e** and transforming the auslaut **u > o (ჷმ > o)**.

## მეღვა ღლონტი

### ქართული სიტყვის საღვთისმეტყველო ასპექტები

(ქართ. ზოგი და საზოგადოება; მოყვასი, მეგობარი და ამხანაგი; თანანადები და თანამდები)

„რას ჰქვიან ენის ცოდნა?  
რასაკვირველია, არა კმარა მხოლოდ სიტყვები ვიცოდეთ,  
თუნდ მთელი ქართული ლექსიკონი...  
საჭიროა ენის სულისა და გულის შეგნება,  
ამ შეგნებისათვის კი საჭიროა ენის ის ღირსება და მადლი,  
რომ თვით მწერალს უცემდეს ქართულად გული და მაჯა“  
ვაჟა-ფშაველა

**„ურთიერთას ტურთი იტურთეთ და ესრეთ ადასრულეთ  
შჯული ქრისტესი“:**

კაცობრიობისათვის დღემდე სანატრელია მაღალზნეობრი-  
ობით ნასაზრდოები ჯანსაღი ურთიერთდამოკიდებულება, რომ-  
ლის ქვაკუთხედია ოცი საუკუნის წინ უფალი იესო ქრისტეს მი-  
ერ მთავარ მცნებად ბოძებული შეგონება: „მცნებასა ახალსა მი-  
გცემ თქუნენ, რადთა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შე-  
გიყუარენ თქუნენ, რადთა თქუნენცა იყუარებოდით ურთიერთას“  
(იოანე 13, 34; 15, 12).

წმიდა პავლე მოციქულმა ამ მცნების კონკრეტული შინა-  
არსი გაგვიცხადა და დაგვაგაღებულა, მივბაძოთ ჩვენს  
უფალს, რომელმაც თავი დაიმდაბლა, ჩუენი უძლურებანი მიიღო  
და ჩუენი სნეულებანი (ცოდვები) იტვირთა (მათე 8, 17; ესაია 53,  
40), რითაც მოგვეცა მაგალითი „ურთიერთას თავს-დებისა“, ანუ  
ერთმანეთის ნაკლოვანებათა და მანკიერებათა მოთმენისა და  
ატანისა: „ურთიერთას ტურთი იტურთეთ და ესრეთ ადასრულეთ  
შჯული ქრისტესი“ – გვევედრება წმიდა მოციქული პავლე (გა-  
ლატელთა მიმართ 6, 2).

წმიდა მამათა განმარტებით, (სამოციქულო, 523-525; ლოპუ-  
ხინი 3, 228-229), ამ შეგონების პირველ ნაწილში ხსენებულ  
ტურთს შეადგენს ადამიანის ცოდვები, ბრადეულობა და მანკიე-  
რებანი. ამ მიმე ტურთს ვატარებთ ჩვენ – უკლებლივ ყველა,

თუმცა ყველას არ ძალგვიძის მისი სათანადოდ გაცნობიერება, მისი სიმძიმის განცდა; სამაგიეროდ, სხვისას ვხედავთ და ნიშნის მოგებით განვიკითხავთ. წმიდა მოციქული გაფრთხილების ნიშნად შეგვაგონებს: გარდა საკუთარ ცოდვათა განცდისა („განცდად თუსთა ცოდვათა“), ყოველ თქვენგანს მართებს და ევალება ერთმანეთის ტვირთის ზიდვა.

„ურთიერთას ტვრთის ტვრთვა“ იმასაც გვაგაღებულეებს, რომ მოყვასს სულგრძელობით არა მხოლოდ ცოდვები მივუტევოთ, არამედ მისი ყოველგვარი (ფიზიკური, ხორციელი, სულიერი თუ მატერიალური) სიმძიმე და ტანჯვა ისევე განვიცადოთ და გადავატანინოთ, როგორც საკუთარს განვიცდით და ვუმკლავდებით ხოლმე. ამას კი მხოლოდ მოყვასისადმი მხურვალე სიყვარული შეგვაძლებინებს, რასაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ხშირად საკუთარი თავით პერობილება გადასძალავს ხოლმე. სწორედ ამიტომ იხსენიება საგანგებოდ წმიდა მოციქულის შეგონების მეორე ნაწილში – **შჯული ქრისტესი**, ვითარცა მითითება საყოველთაო ქრისტესმიერ სიყვარულზე, უმთავრეს ქრისტიანულ მცნებაზე: **„შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თუსი“** (მარკოზი 12, 31); **„იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუნ“** (იოანე 15, 12).

ამგვარი – ქრისტესმიერი ურთიერთდამოკიდებულების გამომხატველი არაერთი მშვენიერი სიტყვა მოიპოვება ქართულში, მაგალითად, ძველი ქართული **თანა-კომპონენტიანი: თანა-ზიარი** „მონაწილე“ და **თანა-ზიარება** „ერთობა; მონაწილეობა“, **თანა-მზრუნველი** „ჭირისუფალი; მზრუნველი“ და **თანა-მზრუნველობა** „ზრუნვა; დახმარება“, **თანა-შემწე** „დამხმარე“ და **თანა-შემწეობა** „დახმარება“, **თანა-მდებობა** „ზღვევა; დასჯა“ და **თანა-მდებ-ყოფა** „კისრება“, **თანა-ღუაწა** „ზრუნვა“, **თანა-მაგალი** „თანამგზავრი“, და მრავალი სხვა;

ასევე, **ერთ-კომპონენტიანი: ერთმანე(რ)თი, ერთიმეორე, ერთურთი, ურთიერთი** „ერთმანერთი“, **ერთზრახვა** „თანამოაზრე“, **ერთგული** „ერთგული; თანამოაზრე“, **ერთობ**, **ერთობით**, **ერთფერად**, **ერთსახედ/ერთცახედ** „ერთად“, **ერთნაწილ-ყოფა** „ერთობა“, **ერთობა**, **ერთგუამობა**, **ერთვორცობა** „ერთობა, ერთიანობა“, **ერ-**

თლობითი „ერთიანი, მთლიანი, საერთო“, **ერთობილი** „მთელი“, **ერთნება**, **ერთნებობა**, **ერთნება-ყოფა**, **ერთსულება** „ერთსულოვნება“, **ერთსული**, **ერთვმობითი** „ერთსულოვანი“, **ერთვულ**, **ერთობით**, **ერთსულად** „ერთსულოვნად“, **ერთცნობა** „თანამოაზრეობა“, და სხვა მრავალი.

ამ მხრივ უაღრესად საგულისხმოა ქართული **ზოგ**-ის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე, რომლის ლექსიკური მარაგი (35-მდე ლექსიკური ერთეული) ორი მაგისტრალური სემანტიკური მიმართულებით გადანაწილდება:

1) **„ნახევრის“**, **„ნაწილის“** და **„განახევრების“**, **„გა(მო)ყოფის“** სემანტიკით გაერთიანებული 20-მდე ლექსიკური ერთეული: **ზოგ**, **ზოგი**, **ზოგვი** „ნახევარი; ნაწილი; ზოგი, ზოგიერთი; კერძო“; **ზოგადი** „ზოგი; ნაწილი“, **ზოგისაგანი** „ნაწილი“; **ზოგის-ზოგი** „ნახევარი, განახევრებული; ნაწილი“; **განზოგება** „განახევრება; გაყოფა“; **განზოგებულად** „ცალ-ცალკე“; **ზოგსრადმე**, **ზოგსრე** „ნაწილობრივ; რამდენადმე; ცოტად თუ ბევრად“; **ზოგებით** „ნაწილობრივ, ნაწილ-ნაწილ; ცალ-ცალკე“; **ზოგებითი** „ნაწილობრივი“; **(და)ზოგვა** „(და)ზოგვა“, **ზოგვა** „გაფრთხილება; არგამეტება“ და სხვა;

2) პირველის საპირისპირო მაგისტრალური მიმართულება, რომელსაც შეადგენს **„საზოგადოს“**, **„საერთოს“** და **„საზიაროს“** სემანტიკით გაერთიანებული 15-მდე ლექსიკური ერთეული: **ზოგად** „საზოგადოდ; სართოდ; ერთად (ყოფნა)“; **ზოგადი** „საერთო; საზოგადო; საზიარო“; **ზოგება** „საზიარობა“; **ზოგებით** „საზოგადოდ; ერთად (ყოფნა)“; **ზოგებითი** „საზოგადო; საერთო“; **საზოგადო** „საერთო; საზიარო; საყოველთაო“; **ზოგადობა** „კრებული; სიმრავლე“; **საზოგადობა** „საყოველთაობა“; **საზოგადო-ყოფა** „საყოველთაოდ ქცევა“; **საზოგადოება** „საყოველთაობა; საზოგადოება“, და სხვა.

ყურადღებას იპყრობს **ზოგ**-ის ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში არსებული სამი ლექსიკური ერთეული: **ზოგადი**, **ზოგებით** და **ზოგებითი**, რომლებიც ორივე მაგისტრალური სემანტიკური მიმართულების კუთვნილებაა, შდრ.:

**ზოგადი** – ერთი მხრივ, „ნაწილი; ზოგი“ და, მეორე მხრივ, „საზოგადო; საერთო; საზიარო“;

**ზოგებით** „ნაწილობრივ, ნაწილ-ნაწილ; ცალ-ცალკე“ და „საზოგადოდ; ერთად (ყოფნა)“;

**ზოგებითი** „ნაწილობრივი“ და „საზოგადო; საერთო“.

ქართულმა ენამ, ქართველმა სიტყვათშემოქმედმა, სიბრძნით განაგო და ისტორიული, სახელმწიფოებრივი თუ სოციალური ერთობის სახელდებისათვის მიმართა სიტყვას, რომელიც იტევს ადამიანთა კეთილგონიერული ერთობის ორმაგ, ურთიერთშემავსებელ შინაარსსა და სემანტიკას, კერძოდ:

**სა-ზოგადო-ებად** იწოდება ადამიანთა ის ღვთიემოსაწონი ერთობა, კრებული, რომლის წევრები ერთმანეთს კი არ იმეტებენ, არამედ თავდაუზოგავად უფრთხილდებიან და ზოგავენ ურთიერთს (შდრ.: ძვ.ქართ. **ზოგვა** „გაფრთხილება; არგამეტება“), ხოლო თითოეული წევრი, ვითარცა ამ ერთობის ორგანული ნაწილი, თანა-მონაწილეა ღვთის, სამშობლოსა და მოყვასისადმი სიყვარულით მსახურების იმ **საზოგადო, საზიარო, საერთო** საქმისა, რომელსაც ჰქვია „**ურთიერთას ტვრთის**“ ღირსეულად ზიდვა (შდრ.: **ზოგადი** „ნაწილი“ და „საზოგადო; საერთო; საზიარო“; **საზოგადო** „საერთო; საზიარო; საყოველთაო“).

**„შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“:**

ზემოთ ხსენებულ დღემდე სანატრელ, ღვთიემოსაწონ სა-ზოგადოებაში ყველა, როგორც წესი, ერთმანეთის **მოყვასად** შეირაცხება – ოჯახის წევრი იქნება იგი, მეგობარი, ამხანაგი, მეზობელი, თანამშრომელი თუ თანასოფლელი. ქართული **მოყვასის (მოყვასობის)**, სინონიმებია **მეგობარი (მეგობრობა)** და **ამხანაგი (ამხანაგობა)**. ქართული ისტორიული სინამდვილიდან მოკიდებული დღემდე, სამივე ორგანული ნაწილია იმ მეგობრობის ინსტიტუციისა, რომელსაც ყოველი კეთილგონიერი ქართველი მიიჩნევს სულიერებისა და მადალზნეობრიობის უმაღლეს გამოხატულებად. თუმცა საუკუნეთა ქარტეხილებში გამოვლილმა ამ მშვენიერმა ქართულმა სინონიმურმა ცნებებმა მრავალმხრივ საგულისხმო და, თან, დამაფიქრებელი სემანტიკური ცვლილებები

განიცადეს: ერთი, ლამის არის, თვალდახედშეა გაგვიქრა, მეორე სადღეგრძელოების იაფფასიან თემად გვექცა, მესამის „ჭურჭელში“ კი უგემური და უმაქნისი „სითხე“ ჩაგვისხეს...

### **მოყვასი:**

შეიძლება ითქვას, დღეისათვის თვალდახედშეაა გამქრალი მადლიანი ქართული სიტყვა **მოყვასი**, მისი ნამდვილი მნიშვნელობა და დანიშნულება. ძვ.ქართ. **მოყუასი**, თავისი წარმომავლობით, **ყუარ-** ფუძით ნაწარმოები ზმნური სახელია, შდრ.: ძვ.ქართ. **ყუარ-ება**, **მო-ყუარ-ება**, **მო-ყუარ-ეობა**, **სი-ყუარ-ული** მნიშვნელობებით – „სიყვარული; მოწყალება“; ასევე: **მო-ყუარ-ული** „მოყვარული“, ძვ. ქართ. **მიყუარი** „მოყვარე; მეგობარი“ და **მო-ყუა-სი** „მეგობარი; მახლობელი; სასულიერო პირი“.

სადექსიკონო განმარტებით, ქართული **მოყვასი** ასევე არის „მოძმე, მახლობელი, ამხანაგი“ (ქეგლ-ი), გურულ დიალექტში **მოყვასი** „აღერსიანი, მოსიყვარულე ადამიანი“. სულხან-საბასთვის **მოყვასი** „ამხანაგია“ (რა თქმა უნდა, **ამხანაგის** პირვანდელი, მადლიანი გაგებით). **მოყვასს** დავით ჩუბინაშვილი კიდევ ერთ, განზოგადებულ მნიშვნელობას უძებნის – „მოყვარე“, და ეს მნიშვნელობა არ უნდა აგვერიოს კონკრეტული შინაარსის მქონე, „ნათესაობის, მეუღლის ნათესაების, მძახლების“ აღმნიშვნელ **მოყვარე-სა** და **მოყვრებ-ში**. თუმცა დღეს ყველა ეს სიტყვა – **მოყვარე**, **მოყვრები**, **მოყვრობა**, **დამოყვრება** – საბოლოო ჯამში, დანათესაების, უფრო ზუსტად, მეგობრული ნათესაური ურთიერთობის შინაარსის მატარებელია.

უწინარესად გასათვალისწინებელია ის, რომ **მოყვასობით** ჩვენი წინაპარი აღნიშნავდა სიყვარულით აღსასრულებელ საღმრთო საქმეს, ხოლო **მოყვასად** იგი ღვთის მსგავსად და ხატად ქმნილ იმ ადამის ძეს მიიჩნევდა, რომელსაც ამ რჯულის საქმის აღსრულება დაეკისრა ზეციერისაგან.

ყველა ქრისტიანმა კარგად უწყის ზემოთ უკვე ნახსენები ქრისტიანული რჯულის განმსაზღვრელი მცნება: „**შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი**“, რომელიც სწორედ **მოყვასისადმი სიყვარულს** გვაავალდებულებს. მაგრამ, სამწუხაროდ, გვავიწყდება ან სათანადოდ ვერ გაგვიაზრებია, ვინ არის **მოყვასი**,



ვინ უნდა მივიჩნიოთ **მოყვასად** როდის და როგორ მქლავნდება ჩვენი სიყვარული მოყვასისადმი, ან რას გვავალებულებს უფალი მოყვასისადმი სიყვარულით.

**მოყვასი** თავდაპირველად უადრესად ფართო ცნება იყო და გულისხმობდა არა მარტო თვისტომს ან სისხლით ნათესავსა თუ დანათესავებულს, რომელთა მიმართაც ჩვენ განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს, არამედ ასევე უცხოტომელს და თვით მტერსაც კი! ამას შეგვაგონებს წმიდა სახარება:

**„გიყუარდედ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენტა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენტა და ულოცევდით მათ, რომელნი გამკლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ, რადთა იყვნეთ თქუენ შვილ მამისა თქუენისა ზეცათამსა“** (მათე 5, 44-45); ამასვე გვიმოწმებს ძველი აღთქმა. მოსეს რჯულის წიგნებში უმთავრესად ის ვალებულებებია გამოკვეთილი, რომლებიც სწორედ თავისი მოყვასის მიმართ უნდა ჰქონოდა იუდეველს:

**„არა ავნო მოყუასსა შენსა და არცადა მო-რად-სტაცო“; „არა ხვდოდი ზაკუფით ნათესავსა შორის შენსა, არა შეერთო სისხლსა მოყუასისა შენისასა...“; „არა გჟულდეს ძმად შენი გონებითა შენითა, მხილებით ამხილო მოყუასსა შენსა და არა მოილო მისთვის ცოდვამ. და არცა შური იძიოს ჳელმან შენმან და არცა ძური იჯსენო ძეთათვის ერისა შენისათა“; „და შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ (ლევიტელთა 19, 13-18).**

თუმცა რჯულის დამცველი იუდეველი ასევე ვალებული იყო, უცხო – მწირისა და მსხემის (ხიზნების) მიმართაც გამოეხატა სიყვარული და თანაგრძნობა: **„უკუეთუ ვინმე მოგიკდეს თქუენ მწირი ქუეყანასა თქუენსა, არა აჭირებდეთ მას. არამედ ვითარცა მკვლარი თქუენ შორის იყოს მწირი იგი, რომელი მოვიდეს თქუენდა და შეიყუაროთ იგი, ვითარცა თავი თვისი, რამეთუ მწირ იყვნით თქუენცა ქუეყანასა ეგვიპტისასა“** (ლევიტელთა 19, 33-34).

მაგრამ ცოდვამ, ცოდვისმიერმა ცხოვრების წესმა, დაავიწროვა **მოყვასის** თავდაპირველი, მაღლიანი მნიშვნელობა და მხოლოდ თვისტომის, ახლობლის, სანათესაოს აღმნიშვნელად და-

რჩა. როგორც ჩანს, ქართულში ამავე მიზეზით იტვირთა „ნათესავეებისა და დანათესავეების“ მნიშვნელობა **ყუარ-** ფუძით ნაწარმოებმა ზემოსსენებულმა სიტყვებმა – **მოყვარე, მოყვრები, მოყვრობა, დამოყვრება** (შდრ.:ძვ.ქართ. **მიყუარი** „მოყვარე; მეგობარი“).

სიტყვა **მოყვასის** ქრისტიანულ მნიშვნელობას და დანიშნულებას წმიდა მამები საგანგებოდ განმარტავენ **„მოწყალე სამარიტელის“** იგავთან დაკავშირებით (ლუკა 10, 30-35). რჯულისმცოდნემ უფალი იესო ქრისტესგან მოითხოვა იმის განსაზღვრა, თუ ვინ არის მისთვის მოყვასი, რა ნიშნებით უნდა ამოიცნოს მან თავისი მოყვასი – ერთმორწმუნოებით, სისხლით ნათესაობით, თვისტომობით, ვალდებულებით თუ სხვა რაიმე ნიშნით: როგორ მივხვდეთ, ვის უნდა გადავუხადო ეს ჩემი საღმრთო ვალი, ცხონების ღირსი რომ გავხდეთ?

„მოწყალე სამარიტელის“ იგავის თხრობამდე რჯულისმცოდნის მიერ დასმულ შეკითხვაში **„ვინ არს მოყვასი ჩემდა?“** ამოიკითხება ამ შეკითხვის უკუფენილი ლოგიკური გაგრძელება – **ვინ არ არის** მოყვასი ჩემთვის? რჯულისმცოდნე უთუოდ ის ადამიანია, რომელსაც გარშემო მყოფნი მტერ-მოყვრად ჰყავს დაყოფილი. ვინც ამგვარად სვამს შეკითხვას: ვინ არის მოყვასი ჩემთვის? – ცხადია, იმას გვიდასტურებს, რომ მისთვის ჯერ კიდევ ყველა არ არის მოყვასი, მოძმე და ახლობელი. სამწუხაროდ, ხშირად ასევე კნინდება და ვიწროვებდა **მოყვასის** ნამდვილი, ქრისტესმიერი მნიშვნელობა და მოყვასისადმი სიყვარულის აღსასრულებლადაც მეტისმეტად ვიწრო, „სამოყვრებო“ სარბიელს ვიტოვებთ...

„მოწყალე სამარიტელის“ იგავშიც ხომ ასეა: რჯულის დამცველმა მღვდელმა და ლევიტელმა შეურაცხვეს თავიანთი რჯული, რომელიც მათ ავალდებულებდა არათუ მოყვასის, არამედ მისი დაკარგული თუ გზაზე დავარდნილი ხარის, სახედრის, ძროხის ან მათ ქვეშ მოყოლილი ტვირთის და თვით მტრის საკუთრების მოფრთხილებასა და დაბრუნებას (იხ. და შდრ.: გამოსლვათა 23, 4-5; 2 სჯულისა 22, 1-4; ლუკა 13, 15-17). მაგრამ მათ

არ შეიბრალებს სიკვდილის პირას მისული თვისტომი, თავიანთი მოყვასი...

სამარიტელი კი, მიუხედავად იმისა, რომ იმხანად სამარიტელებსა და ებრაელებს შორის უკვე 500-წლოვანი მტრობა იყო გაჩაღებული, ყველანაირად შეეწია გასაჭირში ჩავარდნილ საბრალო ებრაელს და **თავის გულმოწყალებით იქცა ებრაელის მოყვასად.**

მაგრამ ებრაელი – **ებრაელი ვინდაა სამარიტელისთვის?**

როგორც წმიდა მამები განგვიმარტავენ, სწორედ ამ შეკითხვაზე პასუხია „მოწყალე სამარიტელის“ იგავის უმთავრესი სათქმელი, და ამ სათქმელსაც თავად უფალი გვაწვდის, როდესაც რჯულისმცოდნეს მრავლიმეტყველად შეგაონებს: **„ვიდოდე და ჰყოფდ შენცა ეგრევე“** (ლუკა 10, 37).

ამ შეგონებით ყოველდღიურად უფალი, თითქოს, ასე გვმოდვრავს: შენ მე მეკითხები, **ვინ არის ჩემთვის მოყვასი**; ახლა წარმოიდგინე ადამიანი, რომელიც თავის თავს შეეკითხება: **ვისთვის შემიძლია მე მოყვასობის გაწევა? თვითონ მე ვისთვის ვარ მოყვასი?** ამის შემდეგ თავად დაუდექი შენს თავს მსაჯულად, ერთმანეთს შეადარე ეს ორი შემკითხველი, შენი თავი და ეს ადამიანი, და თავად განსაჯე, ვინ უფრო ერთგულად და თავდადებით აღასრულებს ღვთის ნებასა და მცნებას – ის, ვინც თავისთვის ეძებს მოყვასს, თუ ის, ვინც მოყვასს სამოყვასებლად ეძიებს? **მოყვასობა** ის ხვედრია, რომელიც ჩვენ გვერდით მყოფს ყოველთვის ერგება, და ასევე ყოველთვის გვერგება ჩვენ, როდესაც ვინმეს გვერდით აღმოვჩნდებით (შდრ. რუსული **Ближний** „ახლობელი; მოყვასი“).

სამარიტელი არ დალოდებია ებრაელთა და სამარიტელთა ისტორიულ შერიგებას, მივიდა და ხელი გაუწოდა გაჭირვებულს, უმოყვასა მას. ერთმა მეორის მოყვასად თავი მხოლოდ იმიტომ მიიჩნია, რომ იმ მეორეს უჭირდა, და ისე მოეპყრა მას, **„ვითარცა თავსა თვსსა“ – მტერმა მტერი შეიწყალა და გულმოწყალებით გამოზრდილმა სიყვარულმა მტერი – მოყვასად აქცია!**

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სიტყვით რომ ვთქვათ, „უბრალო მსოფლიო ანგარიშით“ დაშორებული ანტონიმური წყვი-

ლი – მოყვასი და მტერი – ამ მადლიან იგავში სახარებისეული ზნეობრივი კატეგორიის ფარგლებში ექცევა და უკვე იმგვარად შეწყვილებულ ერთეულად გვესახება, რომელთა შორის არსებული ანტაგონიზმი განელებული კი არა, მთლიანად წაშლილი და გამქრალიცაა. ქრისტესმიერი სიყვარული ის სასწაულმოქმედი ძალაა, რომლითაც ყოველ ჩვენგანს შეუძლია დაძლიოს ეს სამარცხვინო ანტაგონიზმი, უარი თქვას გარშემო მყოფთა მტერ-მოყვრად დახარისხებაზე და მიჰყვეს ქრისტეს მცნებას: „იყუარებოდით ურთიერთას“ (იოანე 13, 34; 15, 12), რამეთუ „ღმერთი სიყუარული არს“ (1 იოანე 4, 8).

ასე რომ, ჭეშმარიტი პასუხი შეკითხვაზე – „ვინ არს მოყუასი ჩემდა?“ – არსობრივად, ქრისტიანული ფორმულირებაა მოყვასის (მოყვასობის) ნამდვილი შინაარსისა და დანიშნულებისა:

ტომობრივი თუ სისხლით ნათესაური სიახლოვე და ურთიერთობა არაფერია იმ სიახლოვესთან შედარებით, რომელიც სიყვარულიდან და თანაგრძნობიდან აღმოცენდება. ამიტომ შენი მოყვასი უპირველესად ის არის, ვისაც შენგან დახმარება და ხელის გამართვა სჭირდება, ვისი „ტვირთისა“ თუ „სიმძიმის“ ტვირთვას შენს მოვალეობად შერაცხავ და მის აღსრულებას გადაუდებლად, დიდი სიხარულით შეუდგები.

### **მეზობარი:**

დადგენილია, რომ ქართული სტუმარმასპინძლობისა და სუფრის (ტრაპეზის) მრავალსაუკუნოვანი ინსტიტუტი ქრისტიანული შინაარსისა და დანიშნულების შემცველია, რაზეც მეტყველებს, ერთი მხრივ, სტუმრის ღვთის წყალობად აღიარება („სტუმარი ღვთისაა!“), თანამეინახეობის მაღალზნეობრივი ტრადიცია („დღეს სტუმარია ეგ ჩემი!.. მითაც მე ვერ ვუღალატებ...“), თამადის, ანუ პურისუფლის, მშვიდობისმყოფელი ფუნქციები, სადღეგრძელოების ლიტურგიული თანმიმდევრობა, მეორე მხრივ, ფაქიზი, ღრმადსულიერი დამოკიდებულება ჭამა-სმის მიმართ.

საერთო ტრაპეზის გაზიარება წმიდა წერილში განსაკუთრებული საღვთისმეტყველო შინაარსითა და დანიშნულებით იმოსება. მაგალითად, ფსალმუნებში ხშირად ესმება საზი იმას,

თუ ვისთან ჭამ, ვისთან იზიარებ ტრაპეზს ან ვისთან არ უნდა გაიზიარო ტრაპეზი:

**„ხლოლ შენ, კაცო, მოყუასო ჩემო, წინამძღურო ჩემო და მეცნიერო ჩემო, რომელმან ერთბამად შენდა და ჩემდა დაატკებენ ჭამადნი, რამეთუ ვიდოდეთ ჩუენ ერთობით სახლსა ღმრთისასა...“** (ფსალმუნი 54, 14-15);

**„რომელი ამპარტავეან იყო თუალითა და უძღებ გულითა, მის თანა არა ვჭამი...“** (ფსალმუნი 100, 5); ან კიდევ: **„კაცმან მშუდლობისა ჩემისამან, რომელსა-იგი მე ვესევდი, რომელი შჭამდა პურსა ჩემსა, მან განადიდა ჩემ ზედა წიხნად“** (ფსალმუნი 40, 10).

სწორედ ამ მხრივაა ყურადსაღები **გობ-** ფუძით ნაწარმოები ქართული სიტყვა **მე-გობ-არ-ი**, რომელიც გეკარნახობს, რომ საოჯახო სუფრის, საერთო საოჯახო ტრაპეზის გასაზიარებლად მოწვეული სტუმარი უწინარესად არის ის ღირსეული და პატივსაცემი ადამიანი, რომელიც მასპინძლებთან ერთად **საერთო გობიდან** გაიზიარებს ტრაპეზს (ბესარიონ ჯორბენაძე). იგულისხმება სტუმარმასპინძლობისა და, საზოგადოდ, კაცთა შორის კეთილი დამოკიდებულების გამომხატველი უძველესი ტრადიცია: ვისთან ერთადაც საერთო **გობ-**იდან პური ამომიწია, იგი ჩემი **მე-გობ-**არია!

თამამად შეიძლება ითქვას, რომ **საერთო საოჯახო გობის გაზიარების** ქართული სტუმარმასპინძლობის ტრადიციით აღიბეჭდება **ზიარების წმიდა საიდუმლო**, კერძოდ, **საეკლესიო ტრაპეზის გაზიარება: საერთო გობი**, თავისი საკრალური ფუნქციით, ეთანაბრება იმ **საერთო ზიარების ჭურჭელს**, რომლითაც და რომლიდანაც ზიარების წმიდა საიდუმლოს მაზიერებელი მრევლი ქრისტეს მაცხოვრებელ ხორცსა და სისხლს იღებს.

ამ მხრივ, უადრესად საგულისხმოა ის, რომ ზიარების წმიდა საეკლესიო საიდუმლო უფალმა იესო ქრისტემ დაგვიწესა დიდ ხუთშაბათს – თავის რჩეულ მოწაფეებთან **საპასექო ტრაპეზის გაზიარების ვამს**. წმიდა იოანეს სახარების მეექვსე თავში უფალი მრავალგზის იმეორებს, რომ იგია ზეციერი პური – ჭეშმარიტი საზრდო, ურომლისოდაც ვერა კაცი ვერ ცხონდება:

„მე ვარ პური ცხორებისაჲ; რომელი მოვიდეს ჩემდა, არა შიოდის, და რომელსა პრწმენეს ჩემი, არასადა სწყუროდის... პური, რომელი მე მიესცე მას, ვორცი ჩემი არს“ (იოანე 6, 35. 51);

„რომელი ჭამდეს ვორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოდ, და მე აღვადგინო იგი უკუანანდსკნელსა მას დღესა. რამეთუ ვორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასუმელი არს“ (იოანე 6, 54-55);

თავად უფლისაგან ბოძებულ „მაჲო ჩუენოს“ ლოცვაშიც პური ჩუენი არსობისაჲ მრჩობლი შინაარსისაჲ: ამ ლოცვით ჩვენ უფლისაგან გამოვითხოვთ არა მარტო ყოველდღიურ საარსებო პურს, ანუ ხორციელ საზრდოს, არამედ – სულიერ საზრდოსაც, ანუ ზიარების წმიდა საიდუმლოს ღირსყოფასაც. ისიც ცხადია, რომ ქრისტიანისთვის სულიერი საზრდო ღვთის სიტყვა, ქრისტეს მცნებები და სათნოებანია, რომელთა ღვთის ნებისაებრ აღსრულება ცხოვრების წესად უნდა ექცეს მას. წმიდა იპოლიტე რომაელი გვარწმუნებს: **ზეციერ პურს ღირსეულად მიიღებს ის, ვინც სულიერ საზრდოდ შეიმზადებს თავს ქრისტესთვის.**

ყოველივე აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება, თუ რამ განაპირობა ესოდენ მყარი მეგობრობის ინსტიტუტის დამკვიდრება ქართულ ისტორიულ სინამდვილეში:

ისევე როგორც დიდ ხუთშაბათს საპასექო ტრაპეზზე ქრისტეს რჩეული მოწაფეები ღირსნი გახდნენ, საერთო საზიარო-სატრაპეზო ჭურჭლიდან ერთობლივად მიეღოთ ქრისტესგან მისი მაცხოვრებელი ხორცი და პატიოსანი სისხლი, და მრავალმოწყალე უფალმა ისინი ამის გამო აღიარა თავის მეგობრებად („თქვენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკუეთუ ჰყოთ, რომელსა-ესე გამცნებ თქვენ“ – იოანე 15, 14), მსგავსადვე, – საოჯახო ტრაპეზზე მასპინძლებთან ერთად საერთო გობიდან გამზიარებელსაც თავის მეგობრად აღიარებს ოჯახი, ვითარცა მცირე ეკლესია (წმიდა იოანე ოქროპირი).

მაგრამ, ტრაპეზის ღირსეულად გაზიარებასთან ერთად, ჭეშმარიტ მეგობარსა და მეგობრობას ესოდენ მაღალი ქრისტეს-

მიერი პატივით ასევე შემოსავს **ქრისტეს რჯულის** ღირსეულად აღსრულება.

**„იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქვენ“** (იოანე 15, 12) – გემოდღვრავს უფალი, და არა მარტო მცნებად გვიდებს მოყვასისადმი სიყვარულს („ურთიერთას სიყუარულს“), არამედ მის რაგვარობასაც განგვიმარტავს: **„უფროდის ამისსა სიყუარული არავის აქუს, რაფთა სული თვისი დადვას მეგობართა თვისთათჳს“** (იოანე 15, 13); და იქვე იგი ასახელებს იმის წინაპირობას, თუ ვინ მიიღებს იმის ღირსყოფას, რომ იყოს არა მხოლოდ მონა ღვთისა, არამედ – **მეგობარი ქრისტესი: „თქვენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკუეთუ ჰყოთ, რომელსა-ესე გამცნებ თქვენ“** (იოანე 15, 14).

მაშასადამე, **ქრისტეს მეგობრის** უზენაესი წოდება იმას მიენიჭება, ვინც მხოლოდ სიტყვიერად კი არ აღიარებს ქრისტესმიერი „ურთიერთას სიყუარულის“ მცნებას, არამედ **„ჰყოფს“**, ანუ აღასრულებს ამ მცნებას, როგორც ამას წმიდა მოციქული იაკობი გვიჩვენებს: **„და იყვენით მყოფელ სიტყვსა მის და ნუ ხოლო მსმენელ და შეურაცხ-მყოფელ თავთა თვისთა“** (იაკობი, 1, 23), რათა არ ვემსგავსოთ მღვდელსა და ლევიტელს იგავიდან ან იმ „მწიგნობართა და ფარისეველთ“, რომელნიც **„თქვან და არა ყვიან“** (მათე 23, 3).

აქედან გამომდინარე, ის, ვინც „სამართელის იგავში“ წარმოდგენილი მღვდლისა და ლევიტელის მსგავსად არ შეასრულებს, არ „ჰყოფს“ თავის რჯულსა და მოვალეობას, ვერც გვერდით მდგომის მოყვასად შეირაცხება და, მით უფრო, ვერც – **ქრისტეს მეგობრად**.

ასე რომ, ისტორიულად იგივეობრივი იყო მოყვასისა და მეგობრის, მოყვასობისა და მეგობრობის ქრისტესმიერი შინაარსიც და დანიშნულებაც. ეს კი ნიშნავს, რომ მოყვასობისა და მეგობრობის უდლისა თუ ტვირთის გამწვი – ქრისტესმიერი მოყვასობისა და მეგობრობის აღმსრულებელია და, მაშასადამე, იგი ქრისტეს ემსახურება, (შდრ.: **„რომელსა უყუარდეს მოყუასი თვისი, მან შჯული აღასრულა... აღმასრულებელი შჯულისაჲ სიყუარული არს“** (რომაელთა მიმართ 13, 8. 10).

ამ მხრივ, საგულისხმოა სულხან-საბასეული და დავით ჩუბინაშვილისეული განმარტებანი სიტყვისა **მეგობარი**:

„**მეგობარი** – (ფსალმუნი 37, 12) ესე არს მიწვივ გაუყარი სათანადო მოყვასი, მარადის მას თანა მყოფი“ (სულხან-საბა); „**მეგობარი** – მოყვასი, მოყვარე შესაკუთრებული ვისიმე უზაკველთა და ვასხებულთა [ურთიერთის მიმართ ვალდებული – დ.დ.] სიყვარულითა ან თანაზიარი ჭირისა და ღვინისა; **მეგობრობა** – მოყვრობა“ (ჩუბინაშვილი); (შდრ.: ძვ.ქართ. **მიყუარი** „მოყვარე; მეგობარი“).

ამიტომაც – მოყვასისა და მეგობრის დალატი, როგორც წესი, არ ეგებს.

### **ამხანაგი:**

სულხან-საბა ორბელიანის იდეალი ერთგული, თავდადებული და გამტანი **ამხანაგია**. „სიბრძნე სიცრუისაში“ იგი ხოტბას ასხამს **ამხანაგს**, მის მოვალეობებს:

„**კარგი ამხანაგი ადვილად არ იშოვების, გზაზედ ცუდად არ იპოვების, იაფად ვერავინ იყიდის. ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მადალია, სიმაგრე დაურღვეველია. ამხანაგი ღვინი ფრიალია, სიხარულთა გამამდიდრებელია, სუფრათა შემამკობელია. ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბმელია. ამხანაგი მტერთათვის მაზიანებელია, მოყვარეთათვის საიმედოვნეა, უცხოს თანა გამოსაჩენია და მეცნიერსა თანა მოსამსახურეა. ამხანაგი მარტოსათვის ხმის გამცემია, ჯართათვის მარგებელია და ცოტას კაცთა შემაქცეველია. ამხანაგი ჭირში მომხმარეა, სნეულებაში მკურნალია, სიკვდილში თავის წამგებია“.**

დამეთანხმებით, რომ ეს არის **მოყვასისა და მეგობრის** უმშვენიერესი ხოტბა, რომლითაც სულხან-საბა ეხმაურება რუსთველური **მოყვასობისა და მეგობრობის** დიდებულ იდეას.

სამწუხაროდ, წინა საუკუნეში კომუნისტურმა თუ სოციალისტურმა ყოფამ დააზიანა სიტყვა **ამხანაგის** ძველი, პირვანდელი მნიშვნელობა, და ერთი ფუნქციალა დაუტოვა: მას მხოლოდ ნომენკლატურის ან მუშა-მოსამსახურეთა და პარტიულ მუშაკთა მიმართვისას იყენებდნენ (ამხანაგო მოსამართლე! ამხანაგო



ბრიგადირო! და სხვა). ჩვენს თანამედროვეობაში ამ სიტყვამ უფრო „ბიზნეს-პარტნიორობის“ – **ამხანაგობების** (ინგლ. **Company** „კომპანია; საზოგადოება; ამხანაგობა“) და სხვა მსგავსი სოციალური მნიშვნელობა შეიძინა: **ამხანაგი** (ინგლ. **Companion** „ამხანაგი, თანამგზავრი; თანამონაწილე“) არის ადამიანი, რომელთანაც გარკვეული საქმე მაკავშირებს (შდრ.: დავით ჩუბინაშვილის განმარტებით, სპარსული წარმომავლობის **ამხანაგი**, გარდა „მოძმისა და მოყვარისა“, ნიშნავს „**მონაწილეს**“).

რა თქმა უნდა, არც ამხანაგის დალატი გვმართებს.

### **მოყვასი, მეგობარი, ამხანაგი:**

როგორც ვხედავთ, **მოყვასი, მეგობარი** და **ამხანაგი**, თავიანთი გამაერთიანებელი, გადამკვეთი სემანტიკური კომპონენტებით – „**მოყვარე**“, „**ახლობელი**“ – მკვეთრად გამოხატული სინონიმებია. ამასთან, სამივე მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ინსტიტუციის კუთვნილებიყო, ზნეობრიობასა და მაღალ სულიერებას გვიქადაგებდა და არაერთ ვალდებულებას გვაკისრებდა როგორც ღვთის, ისე მოყვასის წინაშე, კერძოდ:

ეკლესიური სწავლებით, თუკი ჩემს **მოყვასად** განურჩევლად ყველა უნდა მივიჩნიო, **მეგობართა** რიცხვი გარკვეულწილად შემოიფარგლება: „**გიყვარდეს ყველა, ბოროტის-მყოფელთან მეგობრობას კი ერიდე**“ (ამბა მათე).

ამასთან ერთად, მე – **ქრისტეს მეგობრობის მსურველს** – ქრისტეს ეკლესია, მცირე ეკლესიასთან, ანუ ოჯახთან ერთად, კიდევ ორ უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას მაკისრებს: უნდა ვიყო **რჯულის სიყვარულით „მყოფელი“** და **ზიარების წმიდა საეკლესიო საიდუმლოს** ღირსეულად მიმღები.

დღეისათვის კი **მოყვასი** და **მოყვასობა, მეგობარი** და **მეგობრობა, ამხანაგი** და **ამხანაგობა** სოციალურ-ზნეობრივი იერარქიის შემდეგ საფეხურებზე გადანაწილდება:

**ამხანაგს** შემოეძარცვა თითქმის საუკუნოვანი „სამარცხვინო“ სამოსი, ხოლო **ამხანაგობამ** შეინარჩუნა სოციალური ინსტიტუტის საფეხური;

**მეგობრობა** სულიერ-ზნეობრივი ინსტიტუტის კუთვნილებად დარჩა;

**მოყვასობის** ინსტიტუტი კი, მადლობა უფალს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, **ილია მეორის** უდიდესი ძალისხმევითა და უსაზღვრო სიყვარულით – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის აღორძინებასთან ერთად აღდგა, ვითარცა უზენაესი, ღვთაებრივ რანგში ამაღლებული ქრისტიანული ინსტიტუცია.

### **თანანადები და თანამღები:**

„მამო ჩუენოს“ ლოცვაში ჩვენ უფალს ვევედრებით: **„და მომიტევენ ჩუენ თანა-ნადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანა-მღებთა მათ ჩუენთა“** (მათე 6, 12), რითაც გამოიხატება აზრი გვერდით მყოფი ცოდვილი და შეჭირვებული **მოყვასის** თანაშემწეობის, შემწყნარებლობისა და მიმტევებლობის, ანუ „ურთიერთას ტურთის ტურთვის“ შესახებ.

წმიდა იოანე ოქროპირი საგანგებოდ შენიშნავს, რომ მოყვასის ყველა ბრალისა და ცოდვის მიტევება საღმრთო საქმეა: **„დიდად სათნო არს ღმრთისა – მიტევებად მოყვისა ბრალთა... რამეთუ თანა-ნადებთა მიტევებად საქმე არს ღმრთისა“** (ოქროპირი 1996, 22-23).

გაეიხსენოთ, რომ ამ ლოცვაში ჩაწერილი ძვ. ქართ. **თანა-ნადები** ნიშნავს „ვალს“, ხოლო ძვ. ქართ. **თანა-მღები** – „მოვალეს; დამნაშავეს“ და, რაც უადრესად საგულისხმოა, ასევე – „ღირსს“. **თანა-მღებისა** და **თანა-ნადების** სემანტიკა, საღვთისმეტყველო გააზრებით, გეკარნახობს, რომ ყოველ ჩვენგანზე დაკისრებული ქრისტესმიერი **თანა-მღებობა** უწინარესად ღვთისა და მოყვასის წინაშე აღსასრულებელი მოვალეობაა, რასაც ფხიზლად უნდა მოვეკიდოთ: როგორც კი დავაპირებთ ვინმეს (თუნდაც ჩვენ წინაშე დიდად დამნაშავისა და შემცოდის) განკითხვას ან დასჯას, უმაღლ საკუთარი ცოდვების სიმძიმე განვიცოდოთ, მოთმინებას მოვუხმოთ, შეჭირვებულ მოყვასს შევეწიოთ და შევეუნდოთ მას შეცოდებანი მისნი – თუკი გვსურს, რომ, უმოწყალო მონის მსგავსად (მათე 18, 23-35), „მოვალედ“ და „და-

მნაშავედ“ კი არ წარგდგეთ ღვთის წინაშე, არამედ ჩვენც მოგვითმინონ, ჩვენც შეგვეწიონ, და იმის „ღირსი“ შევიქნათ, რომ უფალმა ჩვენც „შეგვინდუნეს თანა-ნადებნი ჩუენნი“!

ამასთან ერთად, „მამაო ჩუენოს“ ლოცვაში „ურთიერთას ტურთის“ ზიდვის შინაარსს ასევე გგჰარნახობს ძველი ქართული ზმნის პირველი ობიექტური პირის მრავლობითობის გამოხატვის საგანგებო მორფოლოგიური წესი – მხედველობაშია ძველქართული გადმონაშთი და სვანურში დღემდე შემორჩენილი ე.წ. **ინკლუზივი** (ანუ I პირთან ერთად ჩართულია II პირი) და **ექსკლუზივი** (ანუ I პირთან ერთად ჩართულია III პირი), მაგალითად:

„პრქუა ვინმე მას მოწაფეთაგანმან: უფალო, **გუასწავე** ლოცვაჲ, ვითარცა იოვანე ასწავა მოწაფეთა თუსთა“ (ლუკა 11, 1) – აქ **გუ-ასწავე** ინკლუზიური ფორმაა, რომელშიც პირველი ობიექტური პირის მრავლობითობის გამომხატველი **გუ-** თავსართით იგულისხმება: „გუასწაველე ჩვენ, ანუ მე და შენ ან მე და თქვენ“ (=I-მე+II-შენ, თქვენ).

ამისგან განსხვავებით, „მამაო ჩუენოს“ ლოცვაშია:

„პური ჩუენი არსობისაჲ **მომეც** ჩუენ დღეს და **მომიტვეენ** ჩუენ თანა-ნადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანა-მდებთა მათ ჩუენთა; და **ნუ შემეიყვანებ** ჩუენ განსაცდელსა, არამედ **მიგსნენ** ჩუენ ბოროტისაგან“ (მათე 6, 11-13; ლუკა 11, 3-4).

მონიშნული ზმნური ფორმები (მო-მ-ეც, მო-მ-იტვეენ, ნუ შე-მ-იყვანებ, მი-გსნენ – ჩუენ) ექსკლუზიურია, რომლებშიც პირველი ობიექტური პირის მრავლობითობის გამომხატველი მ-თავსართით იგულისხმება: „მოგვეცი, მოგვიტვეე, ნუ შეგვიყვან ჩვენ, ანუ მე და მას ან მე და მათ; გვიხსენი ჩვენ, ანუ მე და ის ან მე და ისინი“ (=I-მე+III-ის, ისინი) (შანიძე, 183).

ექსკლუზიური ფორმით, ანუ პირველ პირთან ერთად მესამე პირის ჩართვით, ზმნა საგანგებოდ იძენს **საყოველთაოობის** შინაარსს, რაც იმას ნიშნავს, რომ „მამაო ჩუენოს“ მლოცველი ლოცუელობს არა მარტო საკუთარი თავისთვის ან გვერდით მყოფათთვის, არამედ – საზოგადოდ ყველასთვის! წმიდა მამები ერთხმად გუასწავლიან, რომ უფალი ყველა მლოცველის შე-

მწვა, მაგრამ მისთვის უსათნოესია იმ მლოცველის ღოცვა, რომელიც მხოლოდ საკუთარი სულის ან თუნდაც ოჯახის წევრთა და ახლობელთა გადარჩენას კი არ ევედრება უფალს, არამედ გულმხურვალედ ღოცულობს ყველასთვის – განსაცდელში, გასაჭირში, სნეულებაში, მოგზაურობაში, ღტოლვილობასა თუ უცხოობაში მყოფ მოყვასთათვის!

ურთიერთზრუნვით (თანა-ზრუნვით) გამსჭვალულ ღოცვას თავად უფალი გვასწავლის და ამიტომაც დასძენს „მამაო ჩუენოს“ ღოცვის დასასრულად: **„უკუეთუ მიუტევენთ თქუნ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევენს თქუნცა მამამან თქუნმან ზეცათამან; უკუეთუ არა მიუტევენთ თქუნ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუნმან მოგიტევენს თქუნ შეცოდებანი თქუნნი“** (მათე 6, 14-15).

უფრო მეტიც – ქრისტიანს უფალი უზენაეს ვალდებულებას აკისრებს: მან მთელი გულით მტრებისთვისაც უნდა ილოცოს: „გესმა, რამეთუ თქუმულ არს: „შეიყუარო მოყუასი შენი და შეიძულო მტერი შენი“. ხოლო მე გეტყვ თქუნ: **გიყუარდედ მტერნი თქუნნი და აკურთხევდით მწყევართა თქუნთა; და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუნთა; და ულოცევდით მათ, რომელნი გამძღაგრობდენ თქუნ და გდევნიდენ თქუნ, რაჟთა იყვენთ თქუნ შვილ მამისა თქუნისა ზეცათაჲსა, რამეთუ მზე მისი აღმოვაღს ბოროტსა ზედა და კეთილთა, და აწუმს მართალთა ზედა და ცრუთა“** (მათე 5, 43-45).

ქართველმა ერმა ეს მაღალი ქრისტიანული ვალდებულება – **საყოველთაო მოყვასობა და მეგობრობა** – მრავლისდამტევენელი შეგონება-ანდაზით დაამოწმა: „**რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია**“, და რუსთველისეული სიბრძნით დაამშვენა: „**ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია**“.

### **ბამოყენებული ლიტერატურა:**

**აბულაძე ილია**, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი, 1973.

**ახალი აღთქმამ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი**, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1995.

**წმიდა ბასილი დიდი**, სწავლანი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბილისი, 1996, გვ. 161-189.

**წმიდა გრიგოლი ნოსელი**, წმიდისა გრიგოლი ნოსელ ეპისკოპოსისაჲ პეტრეს მიმართ ძმისა თუსისა პასუხი ექუსთა დღეთათუს, ეკლესიის კალენდარი, თბილისი, 1989, გვ. 194-412.

**ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი**, (ბულგარეთის არქიეპისკოპოსი), სახარება იოანესი, მოსკოვი, 2000 (რუსულ ენაზე).

**იმნაიშიელი ივანე**, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი, 1986.

**წმიდა იოანე ოქროპირი**, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, წიგნი II, თბილისი, 1996.

**წმიდა იოანე ოქროპირი**, განმარტება იოანეს სახარებისა, თბილისი, I, II, 1993.

**რამიშიელი გურამი**, ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით, თბილისი, 1995.

**სამოციქულოს განმარტება**, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებათაგან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბილისი, I, 2000; II, 2006.

**სირაძე რევაზი**, ქრისტიანული მწერლობა და ძველი ქართული მწერლობა, II, თბილისი, 1992.

**წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი**, ნაკვ. 1, 1989; ნაკვ. 2, 1990, თბილისი, „მეცნიერება“.

**ორბელიანი სულხან-საბა**, ლექსიკონი ქართული, I, 1991.

**სარჯველაძე ზურაბი**, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი, 2001.

**ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი** (ქეგლ-ი), ერთტომეული, თბილისი, 1986.

**ღლონტი დოდო (მარიაში)**, იგაენი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი, 1, თბილისი, გამომცემლობა „ალილო“, გამომცემლობა „დედაენა“, 2009.

**ღლონტი დოდო (მარიაში)**, „არა ხოლო პურითა ცხონდების კაცი“ (რაისთვის ვჭამოთ და რაისთვის ვსვათ?), ჟურნალი „რწმენა და ცოდნა“, რედაქციის მოძღვარი – იოანე ცურტაველი ეპისკოპოსი, 1 (16) –2009, იენისი-აგვისტო, გვ. 41-49.

**ჩუბინაშვილი დავითი**, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1984.

**ჭელიძე ედიშერი**, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, 1, თბილისი, 1996.

**Толковая Библия, А.П.Лопухина**, Петербург, 1 (1903-1907),3 (1911-1913).

## Medea Glonti

Theological aspects of the Georgian Word

### Summary

Everybody and everything teach something around us. The oldest Pagan and Christian levels of our ethnos and Georgians' characteristic national psychology and traditions are imprinted by the Georgian Language or by the Georgian word.

In the presented letter are analysed the Georgian words: **Zogi** “some” and **Sazogadoeba** “society”, **Moyvasi** “near relation; neighbors”, **Megobari** “friend” and **Amkhanagi** “comrade; companion“. **Tananadebi** “debt” and **Tanamdebi** “debtor; criminal“. The given lexical unites express the semantic of christian dependence. Such explanation of the given words are confirmed by the theological material.

**მეგრული ხეც- (ხეც-ა) და ლაზური ოწუდე ფუძეთა  
ეტიმოლოგიისათვის**

მეგრულში დასტურდება ლექსიკური ერთეული **ხეც-** (ხეც-ა), რომელსაც გააჩნია რამდენიმე მნიშვნელობა. კერძოდ: ა) **ლუკმა**: ართვ **ხეცა** ვამჭკომუ ამდლა „ერთი ლუკმა არ მიჭამია დღეს“; ბ) **მცირე რამ საჭმელი**: **ხეცას** ვაოჭარუანქჷ „საჭმელს (ლუკმას არ ვადირსებ)“; გ) **ხემსი**: ირფელს თინა ჭკომუნსუ დო **ხეცა** ვარე ჩქიმ ქვარას – „ყველაფერს ის ჭამს და ხემსი არაა ჩემს მუცელში“; დ) **წახემსება**: **ხეცუა** (ხეც-უა) || **ხეცაფა** (ხეც-აფ-ა) – ამჭუანი მუთუნი ვემუუხეცუაფუ – „ამ დილას არაფერი წახემსებია“; ბოშის არძენც, მუქუ **ვეხეც** – „ბიჭს აძღვეს, თავად არ (წა)იხემსა“ (ქაჯაია 2002; ქობალია 2010); ე) **დანაყრება, დაპურება**: ასე **გელეხეცი** „ახლა დაენაყრდი“. **ხეც-** გამოვლენილია შემდეგ ფუძეებში: **უხეცე** (უ-ხეც-ე) „დაუნაყრებელი“, **უხეცეთ** (უ-ხეც-ე-თ) „უხემსოდ, უნაყროდ“, **უხეცობა** (უ-ხეც-ობა) „უზმოლობა, უხემსობა“, **უხეცურ-ი** (უ-ხეც-ურ-ი) „უსაუზმებელი“, „უჭმელი“ (ქაჯაია 2002).

მეგრ. **ხეც-** შესაძლებელია უკავშირდებოდეს ქართულ **ხემს-** ფუძეს. ქართ. **ხემს-ი** – მცირე რამ საჭმელი, ორიოდ ლუკმა. „დღეს მე ხემსი არ ჩამიდვია პირში, შენც მომშეული უნდა იყო, ისე გატყობ“ (რ. გვეტ.); **წა-ხემს-ება** (წაიხემსებს) წაისაუზმებს, შენაყრდება. „არსაკიძე ზეზეურად წაიხემსებდა, კვლავ სამუშაოს მიუჯდებოდა“ (კ. გამს.) (ქეგლი VIII).

ამავე მნიშვნელობისაა ძველ ქართულში დადასტურებული **ხეეს-ი** „მსუბუქი საჭმელი, პიურე, ფაფა“: „ეიბრძანე... რადთა ვქმნეთ ხეესი მცირედ და ვჭამოთ შენ თანა“ (ლიმ. 88,21) (აბუ-ლაძე 1973).

ქართულისთვის ამოსავალი უნდა იყოს ძველი ქართული **ხეეს-** ფორმა, შემდეგ **გ-ს მ-**ში გადასვლით მივიღეთ **ხემს-** (ეს პროცესი ბუნებრივია ქართულისათვის), მეგრული **ხეცა** კი მიღებული ჩანს ქართ. **ხემს-** ფუძისაგან **მ-**ს დაკარგვითა და **ს > ც**

გადასვლის შედეგად, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში აფრიკატიზაციად განიხილავენ. შდრ. მეგრ. კო-ს > კო-ც „კაცს“, ქორწანსია > ქორწანცია „თუ გწამსო“ (დანელია 2006: 73).

მაშასადამე, ქართ. ხეეს- > ხემს- > მეგრ. ხემს- > \*ხეს > ხეც-.

მეორე საანალიზო ფუძე არის ლაზ. ოწუდე (ო-წუდ-ე) (ხოფ., ვიწ.) || ოლაწუდე (ო-ლა-წუდ-ე) (არტ.) || გოლაწუდე (გო-ლა-წუდ-ე) (ფურტ.) „განჯინა“: ხეიტი-ხვატაფე ოწუდეს ქოგოლავობლაძით „ნაირ-ნაირ (ჭრელ-ჭრელ) რამეს განჯინაში ვყრილით“ (Bucaklışi, Uzunhasanoğlu, Aleksiva 2007). ამ სიტყვას ა. თანდილავა ასე განმარტავს: ლაზ. ოწუდე „თარო“ (კედელზე გადებული ფიცარი): ქინი ეზდეს დო ოწუდეს ქოგოლადვეს „დედაბერი აიდეს (აიყვანეს) და თაროზე ჩამოდეს“ (ყდენტი – ჭანური ტექსტები, გვ. 142); სადანი მეოსგააფ ქვაში ოწუდე-სქანის „საინს მივაწყობ შენს ქვის თაროზე“ (კარტოხია – ლაზური ტექსტები, გვ. 21628) (თანდილავა 2013).

საანალიზო ოწუდე წარმოქმნილი სიტყვაა. ნაწარმოებია წუდ- ზმნური ძირისაგან ო- -ე დანიშნულების აფიქსებით. ვფიქრობთ, ლაზ. წუდ- „ფენა-ფენა დაწყობას, დალაგებას ნიშნავს“, შესაბამისად, ოწუდე არის რამის დასაწყობად განკუთვნილი სათავსო. მის პარალელურ ოლაწუდე (ოლა-წუდ-ე) || გოლაწუდე (გოლა-წუდ-ე) ფორმებში გამოიყოფა ოლა-, გოლა- ზმნისწინები და დანიშნულების -ე სუფიქსი. შესაძლოა, ხმოვანზე დაბოლოებული ზმნისწინის დართვამ გამოიწვია დანიშნულების ო- პრეფიქსის დაკარგვა. მაშასადამე, მოსალოდნელი იყო, გვექონოდა: \*ოლა-ო-წუდ-ე || გოლა-ო-წუდ-ე.

ლაზ. ოწუდე (ო-წუდ-ე) (ვიწ.) || ოლაწუდე (ო-ლა-წუდ-ე) (არტ.) || გოლაწუდე (გოლა-წუდ-ე) (ფურტ.) ფუძეებში გამოვლენილი წუდ- ძირი, საფიქრებელია, უკავშირდებოდეს ძვ. ქართ. წედ-ა („ესე არს ყო(ვ)ელივე ღვინის შესასმელი ჭურჭელი (ფიალა, თასი, ჭიქა, სირჩა, ჩარა, ბიდახი, ყანწი, კულა და ყოველივე ღვინოთა სასმელები(ა) ერთბაშად (დიდი თუ მცირე)“) (საბა) და წედი „თეფში, ყვაილნარი, სანერგე“ (აბულაძე 1973) ფუძეებს. შეიძლება აღდგეს საერთოქართველური \*წად-, რომელიც მო-



გვცემდა ქართულ **წედ-** და **ლაზურ წოდ-** ფუძეებს, რომლისგანაც **ო-ს უ-**ში გადავლით მივიღეთ **წუდ-**. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ **ლაზურში** ფენა-ფენა დაწყობა-დალაგების მნიშვნელობით **ოწოდუ** (ო-წოდ-უ) ფუძეც დასტურდება: ოხოროში მოლენი ოდა მა **ბწოდი** „სახლის აქეთა ოთახი მე ავაგე (ზედმიწ. ფენა-ფენა დავაწყვე).“ მოცემულ ფუძეში გამოიყოფა **წოდ-** ძირი და **ო-უ** საწყისის მაწარმოებელი პრეფიქს-სუფიქსი. **წოდ-** და **წუდ-** შეიძლება მივიჩნიოთ პარალელურ ფორმებად.

ამავე რიგში შეიძლება განვიხილოთ მეგრ. **წოდ-** (დო-წოდ-უა) „ლამაზად, მიჯრით დაწყობა, დალაგება“: დიამუშიქ ბარგი კოლოფის ქიმთაწოდუდ „დედამისმა ტანსაცმელი უჯრაში ჩააწყო, ჩააღაგა“. მეგრ. **წოდი** „წყობა, დასტა.“ (ქობალია 2010).

მაშასადამე, **ლაზ. წუდ-** (ო-წუდ-ე) < **წოდ-**: მეგრ. **წოდ-**, **წოდ-**ი უნდა შეესაბამებოდეს საერთოქართველურში აღდგენილ **\*წად-** ფუძეს, რომელმაც ძვ. ქართულში მოგვცა **წედ-**, **წედ-**ა ლექსიკური ერთეულები.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- აბულაძე 1973:** ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი
- დანელია 2006:** კ. დანელია, კოლხური ენა, თბილისი
- თანდილავა 2013:** ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი
- ქაჯაია 2002:** ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ-3, თბილისი
- ქობალია 2010:** ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი
- ქეგელი 1964:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), ტ-8, თბილისი
- Bucaklışi, Uzunhasanoğlu, Aleksiva 2007:** I. Bucaklışi, H. Uzunhasanoğlu, I. Aleksiva, Buyuk Lazca Sozluk, Büyük Lazca Sözlük (Didi Lazuri Nenapuna), Lazca-Türkçe / Türkçe-Lazca, Istanbul.

## ETER SHENGELIA

### Towards Ethymology of Megrelian *xec-a* and Laz *oçude*

#### Summary

The article concerns with ethymology of two words:

1) Megr. **xec-** (*xec-a*) stem which has several meanings: a) gobbet; b) light food; c) take a bite; d) pick a mouthful. To our mind it comes from Georgian **xems-i** “piece of bread”. In Georgian the root **xems-** has a verbal meaning: **çaxemseba** (*ça-xems-eb-a*) “take a bite”. In the old Geogian language is attested **xevc-i** with the same meaning, from which comes **xems-i** with the phonetic process, e. g. **v** changed into **m**, then in Megrelian was dropped the letter **m** (**xes-i**) and after that **s** changed into **c** by affricatization (**xec-a**). Thus. Old Georg. **xevs-** > **xems-** > Megr. **xems-** > **\*xes** > **xec-**.

2) Laz **oçude** (*o-çud-e*) (*xop., vits.*) || **olaçude** (*ola-çud-e*) (*art.*) || **golaçude** (*gola-çud-e*) (*furt.*) “wall-cupboard”; board, shelf. The analysing forms are derived from the verbal root **çud-** “Layer-by-layer stacking” by the excreted prefix **o-** and suffix **-e** (*o-çud-e*), but in its parallel forms *ola-çud-e* || *gola-çud-e* prefixes **ola-** || **gola-** are preverbs and **-e** is deriviting suffix.

Laz **oçude** (*o-çud-e*) (*xop., vits.*) || **olaçude** (*ola-çud-e*) (*art.*) || **golaçude** (*gola-çud-e*) can be correspondence to the Old Georgian **çed-i** “wine drinking vessels” and **çed-a** “plate, parterre, nursery”. It can be restored common Kartvelian **\*çad-** from which have been recived Georgian **çed-** and Laz **çod-** that gave **çud-** by changing **o** into **u**. Thus, we have such picture: common Kartvelian **\*çad-** > Georgian **\*çed-** : Laz **çod-** > **çud-**. Though in Laz **çod-** is also a real form with same meaning. Laz **çod-** and **çud-** can be discussed as the parallel forms.

In this context can be considered Megrelian **çod-** (*do-çod-ua*) “Layer-by-layer stacking”, and **çod-i** “laying”, “pack”.

## საკიებელი

### ქართული:

ამხანაგი 98,103,112-114  
ამხანაგობა 103, 113-14  
არენა (აჭარ.) 18  
არონა 18  
არონა (ჯავახ.) 18  
არუნა (მესხ.) 18  
ა-ტკრეც-ს 27  
აღება 97  
ახალ- 50  
ახელ 41  
ა-ხლ-ა 50  
ა-ხლ-ო 50  
ა-ხორხლ-აე-ს 33  
ბარკ-აღ-ი 19  
ბებრ-უხ-ა 29  
ბეკ-ნ-ა 19  
ბელენძ-უკ-ი(აჭარ.) 19  
ბელენძ-უხ-ა (იმერ.,გურ.) 19  
ბოდო (მოს.) 19  
ბოტ-ი 20  
ბოტ-აობს (მთიულ.) 20  
ბოტ-ება (მოს.) 20  
ბოტ-ობა (მოს.) 20  
ბრძ-ან-ება 20  
ბრჯა 94  
ბუდე 20  
ბუჩ-გ-ა 20

ბუჩ-ა-ობ-ა-20  
გაგება 49  
გამონაღები 97  
გა-ჭერ-გ-ა 33  
გლეჯ-ა 20  
გობ-ი 109-110  
გოგი-ელ-ა(ფშ.)-22  
გოგ-იტ-ა 23  
გოზა 21  
გოზლა (ზ.იმერ.) 21  
გოლ-იტ-ა (ზ.რაჭ.) 23  
გუ-(ინკლუზივისა) 115  
დაზინა 94  
და-გლიჯ-ა 20  
და-კა(რ)ჭკლ-ა(ღეჩხ.,გურ.) 23  
და-ქაშ-დ-ა 29  
და-რეშ-გ-ა(იმერ.) 26  
და-ს-ტყრუშ-აგ-ს(ხევს.) 28  
და-ტყრუშ-გ-ა(ფშ.) 28  
და-ტყრუშ-ა (მოს.) 28  
და-ქაშ-ება 29  
და-ყვაგ-ება 31  
და-წყუდ-ევა-ღ 27  
დუნდგ-ო 22  
ერთ- 102  
ეტყობა 50  
ფაც-იკ-ი 23  
ვარ-იკ-ა 23

ვა-სხ-ი 27  
ვეზური 7  
ვერძა (რაჭ.) 6  
ვეშა (გუდ-მაცრ.) 6  
ვეშაწყარო 6  
ვეძა 6-7  
ვეძათხევა 7  
ვეძათხევი 7  
ვეძები 7  
ვეჟინი 7-8  
ვეძისი 7  
ვეჯ-/ვეჟ- 8  
ვეჯინი 7-8  
ვეჯინის ხევი 8  
ზახილი 42-43,45  
ზახელი 42-43  
ზესიძე 44-45  
ზინი 94-95  
ზოგადი 102-103  
ზოგებით 102-103  
ზოგებითი 102-103  
ზოგი 102-103  
ზრახ- 45  
თათ-ი 22  
თათ-უნ-ი 22  
თანა- 56,101-102  
თანამდები 114-115  
თანა-მდებობა 102  
თანანადები 114-115  
თევა 96

**თეო 96**  
თუნგ-ულ-ა 29  
თქმა 49  
ტაკ-უტი 29  
ტარჭალ-ი (გურ.,იმერ.) 23  
ტაჭალ-ი (გურ., იმერ.) 23  
ტენწ-უხ-ი 29  
ტეხ-ნ-ა 23  
ტინჭ-უხ-ი (ფშ.) 29  
ტნაჭ-ა 17  
ტუდ-ა 17  
ტუ-ილ-ი  
ტუტი 24  
ლაგაზ-ი 24  
ლანდ-ი(იმერ.,აჭ.,ლენხ.,გურ)  
24  
ლარ-ი 24  
ლარ-ო 24  
ლარ-ო (ქიზიყ.) 25  
ლორწ-ო 25  
ლოხ-ი 25  
მ- (ექსკლუზივისა) 115  
მართ 56  
მარტივი 56  
მარტო 56  
მა-ხ-ე 50  
მახიობელ-ი 39-42,46  
მეგობარი 113  
მეგობრობა 113-114  
მესური 39-40,46

მესხელი-ი 39-40,46  
მოლი-ი 25  
მორ-ი 25  
მოტყუება 49  
მო-ტყიპა 28  
მო-ქუჩ-ებ-ა 31  
მოლაკ - ი (ლუჩხ.) 98  
მოლაკიან - ი (ლუჩხ.) 98  
მოყვასი 104-108,111-114  
მოყვასობა 107,114,116  
მო-ხუპ-ვა (ზ.იმერ.) 33  
მ-რეშ-ე-ელი-ი 26  
მ-რუმ-ე 26  
მ-ტკვენ-ა-დ(თუშ.) 27  
მუჯა (ხევს.,მთ.,გუდ-  
მაცრ.,ფშ.)6-7,9  
მუჟა 6-7,9  
მუჯინისწყალი 7  
მხიარული 38,40  
მხიარულება 38  
ნაზუნები 95  
ნაცარი 11-12  
ნახავ 41  
ოძისი 7  
ჟივილ-ხივილი 40  
რეშ-ვა(ზ. იმერ.) 26  
როტ-ვა 26  
რ-ტყ-მა 50  
რქმა 49

სა-გოზ-ელი-ი 21  
სა-დგ-ის-ი 21  
საზოგადოება 103  
სახე 41,46  
სახელი 41-44,46  
სახიობა 41,51  
საჯმარი 41  
სე-სხ-ი 27  
სიტყუა 49  
სილოდა 49  
სიძვა 41  
სისარული 40  
სპერ-ვა(ლუჩხ.) 27  
ს-ტანავ(ხევს.;ფშ.) 55  
სტანია (ხევს.;ფშ.) 55  
ტან<\*თანა /თან 56-57  
ტანება (ხევს.,ფშ.) 56  
ტკრც-ოლ-ა 27  
ტუს-ვა-ა-ა 27  
ტყ-ავ-ი 50  
ტყ-ებ-ა 50  
ტყეპა 28  
ტყუშ- 28  
ტყუება 50  
ტყუიშ- 28  
ტყ-უბ-ი//ტყ-უბ-ი 50  
ფხ-ა 17  
ფშე-ნ-ა 29  
ქაშა ვაშლი 29  
ქინძრ-უტ-ა 29

ქინციქინც (ფშ.)-30  
ქიც[ი]ქიც(ხევს.) 30  
ქიცმა-ქიცმა(კახ.) 30  
ქოშ-ინ-ი 30  
ქონ-ი 31  
ქუ- 49  
ქუნ-ქუნ-ი 31  
ქშ-ენ-ა 30  
ღად- 49  
ღაჟ-ღაჟ-ი 31  
ღეო (რაჭ.)  
ყურცქვიტ-ა 17,31  
შეტეობა 49  
შესება 47, 49-51  
შლეგ-ი 31  
შლიგ-ინ-ი 31  
**ჩეო 94,96**  
ცქვეტ-ა 32  
ცქვიტ-ინ-ა 32  
ძახ- 41-43,46  
ძახილი 41-43,45  
ძესიძე 44-45  
ძნეული 94, 98  
ძრახ- 45-46  
წაღდ-ულ-ა 29  
წა-ქეზ-ებ-ა 30  
წა-ხემს-ება 120  
წელ- 120-121  
წიდ-ა 32  
წიდ-ოვან-ებ-ა- 32

**წყეო 96-97**  
წყუდიადი 27  
**ჭეო 94,96**  
ჭეჭკ-ე-ა 32  
ჭიკ-ნ-ა(იმერ,გურ.) 32  
ჭიხვინ-ი 33  
ჭყეპ-აე-ს(იმერ) 33  
**ხ-** 38,40-41,46  
ხ-ებ-ა 38,46  
ხედაე 41  
ხედვა 46-47  
ხეგ-ა 38-42,46  
ხეგს-ი 120  
ხემს- 120  
ხევეა 40  
ხი- 38  
ხივილი 40  
ხილვა 47  
ხელ-/ხელე-//ხილ-ხალ- 47  
ხმა 41  
წმა 41  
წმევა 41  
წალ- 50  
წელ- 50  
წენ-ა 33  
წენ-ე-ა 33  
ჯარ-ი (ხევს.) 34  
ჯარ-ად 34  
ჯეკ-ნ-ა(იმერ.) 34

**ჯეო 96**

ჯეჭკა-ა 34

ჯვარ-ელ-ა (ფშ.) 22

\*თევ-ო 96

\*კაკალ- 23

\*ღევ- 97

\*ღევ-ო 97

\*შლევგ- 32

balax-i 11

cv-a 15

giž-i 12

na-balax-ar-i 11

na-giž-ar-i 12

na-saxl-ar-i 12

na-venax-ar-i 12

sa-c-ol-i 15

sa-re-c-el-i 15

saxl-i 11-12

venax-i 11

**ზანური (მეგრულ-ჭანური):**

ა-ჯგორ-ე 34

ბაკ-უ-ა 17

ბალანძ-ა 17

ბონძ-ოლ-ა 16

ბორკ-ი 17

ბოტ-ი 20

ბეტ-არ-ი 20

ბუე 6

ბუსქა 20

ბუსკა 20

გოზ-ნ-ა 21

გოზ-ლ-ა 21

გოტყაპაფ-ა 28

გურჯ-ონ-უ-ა 21

დაშკ-ერ-ი 34

ველისკუდი

თვათვ-ი 22

თოთი 22

კუდ-ა 17

კუნტ-ი 24

კუტ-ულ-ა 29

ლეს-ი 25

ლობ-უტ-ი 29

ლულ-უტ-ი 29

მ-ა-ხი-ოლ-გ 38

მენჯი 6-7,9

მენჯიშ დუდი 7

მეჯა 6

მეჯი 6

მ-ო-ხი-ოლ-გ 38

მუქა 6

მუქავა 7

მურ-უ-ა 25

მუჯა 6

მჯვეში/მჯვე/ჯვე/ჯვეში 8

ო-ბურჯ-უ 20

ო-დგ-იში-ი 21

ომენჯე 7

ორნა 18  
ო-რომ-ე 26  
ო-რუმ-ე 26  
ო-რუმ-უ-ან-ს 26  
ო-ტკაპ-უ 28  
ო-ჭიკ-ონ-უ 32  
ო-ჯინაკ-უ 34  
რპატ-უ-ა 26  
რასკ-უ-ა 26  
რასკ-უ-ალი-ი 26  
რასკ-უ-ა 26  
როპიტ-ი 26  
როპიტ-უ-ა 26  
რტყაპ-უ-ა 28  
რ-ჯოხ-ო 42  
ჟიპოტ-ა 17  
სიჯა/სინჯა 8  
სხ-უნ-უ-ა 27  
ტკირაც-უ-ა 27  
ტუც-უ-ა 27  
ფოფორ-ა 17  
ფურინ-ა 17  
ქოშ-ა 30  
ქოშ-ინ-აფ-ა 30  
ქოშ-ინაფილი 30  
ქუნ-ოლ-უ-ა 31  
ქუნ-ონ-ა 31  
ქუნ-უ 31  
ღუღ-ა 17  
წიდ-ა 32  
წინდ-ა 32

ჭინინ-აფ-ა 32  
ჭკაჭკ-უ-ა 32  
ხეც- 119  
ხეცაფა 119  
ხეცუა 119  
ხი- 38  
ხი-ოღ-ი 38, 40-41  
ხოჯ-იკ-ია 23  
ჯა/ნჯა/ჯალ(ეფე)8  
ჯირი/ნჯირი/ონჯირუ 8  
ჯოხ- 42  
ჯოხ-ო 42,46  
ჯუმა/ჯიმა 8  
ჯუმორი/ჯიმორი 8  
ცუჯ-ა 17  
ღეხი 25  
\*ღოხ- 25  
ტაჿა 11  
\*ტაჿა 11

**ლაზური:**

აბანოშ წკა(რი) 6  
ა-ხ-ელ-უ 41  
ბაკ- 19  
ბალანძ-ა 19  
ბანგ-ულ-ა 29  
ბონძ-ოლ-ა 18  
ბორკ- 19  
ბოტ-ი 20  
ბოტ-იკ-ინ-ა 23



ბონიკა-ა 23  
 ბროკ- 19  
 ბუსქა 20  
 ბუსკა-ა 20  
 გოზნა-ა 21  
 გოზლ-ა 21  
 გოლაწუდე (ფურტ.) 120  
 გუდ-ულ-ა 29  
 დაგ- 22  
 დაშკერ-ი 34  
 ელა-ცქვიტინ-უ 32  
 ელა-ცქვიტ-უ 32  
 ველისკუდი 5  
 ვეშკუდელი 5  
 ვიჟა 4-6,8-9  
 ვიჯა-კუდელი 3-4  
 ვიჯა 4-6,8-9  
 ვიჯა-კუდელი 3-4  
 ვიჯე 8-9  
 ვიჯეალთი 3  
 ვიჯე-თუდენი 3-4  
 ვიჯე-ჟიდენი 3-4  
 -თუდენი 3-4  
 კორტოლ-ა 23  
 კუდ-ა 17  
 -კუდელი 4  
 კუკუტ-ი 24  
 კუტ-უხ-ი 29  
 ლერწ- 25  
 ლობ-უტ-ა 29  
 ლოდ-ა 24

ლონგოზი-ი 24  
 ლორ-ო 25  
 მო-თოთ-უ 22  
 მუაბუა 8  
 მუადე 6  
 მუაი წკა(რ)ი 6  
 მუვაბუქუვაბუ 8  
 მ-ცქვიტ-ურ-ა 32  
 მჯაბჯა 8  
 მჯვაბუქუვაბუ 8  
 თ-ბანიკ-უ 19  
 თ-ბოტ-უ 20  
 თ-ბურჯ-უ 20  
 თ-გლიჯ-უ 21  
 თ-დაგ-უ 21  
 თ-დაგ-უნ-უ 21  
 თ-თოთ-უ  
 თ-კვახ-უ 23  
 თლაწუდე (არტ.) 120  
 თ-მოლ-უ 25,120  
 თ-მურ-უ 25  
 თმჯვარუ/თმჟვარუ 8  
 თ-ნდაგ-უ 21  
 თ-რომ-ე 26  
 თ-რუმ-ე 26  
 თ-სპირ-უ 27  
 თ-ტუც-ან-უ 27  
 თ-ფუშქონ-უ 29  
 თ-ქაშ-ან-უ 30  
 თ-ქიშ-ინ-უ 30

ცუჯ-ა 17  
 ო-ცხ-ერ-უ 27  
 ო-ცხ-ონ-უ 27  
 ო-ცხ-უ 27  
 ოწოდუ 120  
 ოწუდე(ხოფ., ვიწ.) 120-121  
 ო-ჭაჭკ-უ 32  
 ო-ჭიკ-ონ-უ 32  
 ო-ხუპ-ინ-უ 33  
 ო-ხუპ-უ 33  
 ო-ჯინაკ-უ 34  
 -ჟილენი 3-4  
 ჟიპოტ-ა 17  
 როტი-პოტი 26  
 უხეცე 119  
 უხეცეთ 119  
 უხეცობა 119  
 უხეცურ-ი 119  
 უჯ-ა 17  
 ფინ-იკ-ი 23  
 ფუღარი||ფოდარი 5  
 ქაშ- 29  
 ქიშ- 30  
 ქიცა-ქიცა 30  
 ღეჯ-იკ-ინ-ა 23  
 ღვაბუჯ-ა 17  
 ღულ-ა 17  
 ყუჯ-ა 17  
 ცხ- 27  
 წიდ-ა 32

წოდ- 121  
 წუდ- 121  
 ჭაჭკ- 32  
 ჭინინ-აფ-ა 32  
 ხოჯ-იკ-ა 23  
 ხოჯ-იტ-იკ-ინ-ა 23  
 ხუპ-ე-ი 33  
 ჯაღეთი||ქაღეთი 8  
 ჯანგი/მუანგი||ქანგი 8  
 ჯიღენი/ჟიღენი 8  
 ჯოხ-/ოხ- 42  
 ჯოხ-ონ-ი 42  
 \*ჯეჭკ- 34  
 mʃuʃa 11  
 \*ʃuʃa 11  
 სვანური:  
 ა-როტ-ე 26  
 ა-ტყპ-ენ-ე (ჩღრ.) 28  
 აყტრე (ზს.ქს.) 61  
 ა-ხონხ-ა 33  
 ა-ხუპ-ე 33  
 ა-ხუპ-ე 33  
 ა-ხონხ-ა 33  
 ა-ჟი-ენ-ე 33  
 ა-ჯგორ-ე 34  
 ბადტ 19  
 ბანტ 19  
 ბანძ-ა- 18  
 ბანძ-პრ 18

ბანი-ს 18  
ბარკ-ს 19  
ბაღდ ლიგენე (ლნტ.) 74  
ბაღდ ლიგენე (ზს.) 74  
ბეკ- 19  
ბიგობრიგ 62  
ბიდ (ბზ.) 19-20  
ბიდ-ირ 20  
ბიზიკდ ლგ (ბზ.)  
ბიქტიმ ჭულ ჩუ ლგ 74  
ბოტა 20  
ბოტ (ბზ.) 20  
ბეტრ 20  
ბრიკს|ბანკირს ლიგენე (ბქ.) 74  
ბღლმდ ლიგენე(ბზ.) 74  
გიდ|გლიდ 62  
გინჯილდ ლიგენე (ზს.) 74  
გლიგ 62  
გლაჯდ ლიგენე(ჩოლ.,ლშხ.) 74  
გლჯდ ლიგენე (ლნტ.)74  
გლჯდ ლიგენე (ბქ.)74  
გლიჯ-ა- 21  
გლიჯ-გლაჯ 21  
გრამდ ლიგენე (ზს., ჩოლ.) 74  
გტსპდ ლიგენე (ლნტ.) 74  
გტსპდ ლიგენე (ბზ., ჩოლ.) 74  
გგლჯდ ლიგენე (ბზ.)21,74  
გგლჯდ-დ 21,74  
გგჯილდ ლიგენე (ლშხ.)74  
ღინდგტ-დ 22  
ღუნდგტ-ნრ 22

დტინდგტ-დ 22  
ზი (ბზ.) 61  
ზი||ზგ (ბქ.) 61-62  
ი-რრტ-ნლ 26  
თიგ 63  
თირ (ზს.) 63  
თხიკ 63  
თხუმემ ლგცვექდ ლიგენე (ბქ.)  
ი-ტკტნ-ე 27  
ი-ტკტნ-ე 27  
ი-ქზ-ი 30  
ი-ქიზ-ი 30  
კაჩ 63,66,75-76,80  
კიკ|კლიკ 63  
კტარჩხ-ს- 17  
კუდ-ს- 17  
ლა-ხ-ბეკ-ე 19  
ლი-ბეკ 19  
ლი-ბკ-ინ-ე 19  
ლი-ბუცქ-უნ-ე 20  
ლი-ბტტ-ან-წლ 20  
ლი-რმ-ი (ბზ.) 26  
ლი-ტუს-ე 28  
ლი-ქზ-ე 30  
ლი-ქშ-მელ 30  
ლე-ყტანტ-მელ (ლშხ.) 31  
ლი-ყტანყტ-იელ(ჩღრ.) 31  
ლი-ყტანყტ-იელ(ჩღრ.) 31  
ლი-შლეგ-ი 31  
ლი-შლიგ-ე 31

ღი-ხუპე 33  
 ღი-ჰეპე (ჩღრ.) 33  
 ღი-ჰეპე (ბზ.) 33  
 ღი-ჰეგნე (ჩღრ.) 33  
 ღი-ხი-ორე 47  
 ლგ (ბზ., ლშხ., ჩოლ.) 22  
 ლგ (ბქ., ლნტ.) 22  
 ლგზ||ღღ (ლნტ.) 61  
**მელ** 25  
 მეღუ 25  
 მო-ღუ (ბქ., ლნტ.) 98  
 მო-ღუ (ლშხ.) 98  
 მუ-ტყუასგ 28  
 მუ-ტყუასგ 28  
 მღ-ღუ (ბზ.) 98  
 ნა-მოღ (ბზ.) 25  
 ნა-ღაუ (ბზ.) 31  
 პულ-ი 24  
 უახ-/უხ-/შხ- 42,46  
 უი-ღი-ჰეგნე (ბზ.) 33  
 საზანდარდ/საროსტად ლგ  
 (ჩოლ.) 74  
 სა-პუღ (ბზ.) 24  
 სგურ (ზს., ლშხ., ჩოლ.) 61-62, 64-  
 66, 69-73, 75-78, 80-83, 85-86, 89  
 სგურ (ლნტ., ჩოლ.) 61, 69-0, 75, 80  
 სგოჯ (ლშხ.) 61, 70-71  
 სგუეჯი (ბზ.) 61, 70  
 სგუეჯი (ბქ.) 70-71  
 სკუეჯი (ლნტ., ჩოლ.) 61, 71

ტრაკდ/ტრამდლოგნე  
 (ჩოლ., ლშხ.) 74  
 ტყუასგ 28  
 ტყუესგნე 28  
 ტყუისგ 28  
 ტყერსგ-ნ-ჲ 28  
 ტყერსგ-ნ-ჲ 28  
 ფჲთუ ხგ 74  
 ფაუ-ელ-ჲ (ბქ.) 22  
 ფიჯ 62  
 ფურსგტუნ-დ 29  
 ფურშგტუნ-დ ლიგნე 29  
 ფუშქონ- 29  
 ფხინტ-ელ-ჲ (ჩბხ.) 22  
 ქოშ (ბქ.) 30  
 ქონ(ბქ.) 31  
 ქონ-ქონ-დ 31  
 ქონჩ(ბზ., ლშხ.) 31  
 ქონ (ბზ.) 31  
 ქუქ<sup>1</sup> (ბქ., ლნტ.) 61, 64, 72, 79-  
 80  
 ყაყა ხგ 74  
 ყუეყუი 63  
 ყუიყუ **53**  
 ყუიყუ||მიყუ 53  
 ყურ (ლნტ., ჩოლ.) 61, 67, 75, 78  
**ჩუ** (ზს., ლნტ.) 96  
**ჩეუ** (ლშხ.) 96  
 ციცუდ ი შტუგუდ ლგგხ(ჩოლ.,  
 ლშხ.) 74

ცხენდლ ლგგ (ბქ.) 74  
 წაწდ ლიგნე (ჩოლ.) 74  
 წიდ 32  
**ჭტიჳ 63**  
 ხაბნწღლა(ჩოლ.,ლშხ.) 81  
 ხაბრწნგა (ჩოლ.) 81  
 ხაბოლა (ბქ.) 61,84-90  
 ხაბოლა (ბზ.) 61,84-90  
 ხნგ (ბზ.,ლშხ.,ჩოლ.) 61  
 ხაგ (ბქ.,ლნტ.) 61  
 ხადღუწა 62  
 ხადღუწა(ბზ.) 62  
 ხათირ (ბქ.) 64  
 ხაწთწრ (ბზ.) 64  
 ხათხიკ (ზს.) 64  
 ხათხიფ(ზს.) 64  
 ხაკარჩხა(ბქ.,ლნტ.)61,79  
 ხაკწრჩხა (ბზ.,ლშხ.,ჩოლ.)61,79  
 ხაკტწარა (ბქ.) 64  
 ხაკტწარა (ბზ.,ლშხ.) 64  
 ხაღ- 47  
 ხაპიტყ||ხაბიჯღ (ჩოლ.) 63  
 ხაპიჭყ (ბზ.) 63  
 ხასტარტა (ლშხ.) 61  
 ხაფორცხა(ბქ.)61  
 ხაფორცხა(ბზ.,ლშხ.) 61  
 ხაქტეიქტ (ზს.) 61  
 ხაქტწნქტა (ჩოლ.) 61  
 ხ-აყტინყტა||ხაბწწყტა (ლშხ.) 63  
 ხ-აჩწჩხტა (ჩოლ.) 63  
 ხაცონცა (ბქ.,ლნტ.)61,83,87  
 ხაცონცა (ბზ. ლშხ.) 61  
 ხ-აძწნძგტა (ჩოლ.) 63

ხაჭიდ (ზს., ქს.) 61  
 ხი- 38  
 ხი-ად 38,40-41  
 ხი-ად-უღ 38  
 ხრგ (ბზ.,ლშხ.,ჩოლ.) 61  
 ხოგ (ბქ.,ლნტ.) 61,67  
 ხოზ (ბქ.) 61  
 ხოზ (ბზ.) 61  
 ხოლაჯა (ლნტ.) 61  
 ხოლჯა (ზს.,ლშხ.,ჩოლ.) 61  
 ხონგრგატა (ლნტ.) 61  
**ხგგ 72**  
 ხონგრგატა (ზს.) 61  
**ჳეწ-წ-ი 33**  
 ჳეწ-ეწ-ი 33  
 ჳეფ-ჳ- 17  
**ჳგწრ- 34**  
 ჳგწრ-უშტ (ბზ.) 34  
 ჳდ-ქეშ-აღ 30  
**\*ბრღ 19**  
**დჳ 11**  
**ტჳ 11**  
 \*mdჳ 11  
 \*mტჳ 11  
 \*mტჳ 11  
 \*mტჳta 11  
 \*ndჳ 11  
 \*ტჳ 11  
 \*ტჳta11

საერთო-ქართველური:

- \*-ა 17
- \*არუნა-19
- \*ბანძ- 18
- \*ბანჯუ- 18
- \*ბარკ- 19
- \*ბეკ--19
- \*ბელენძ- 19
- \*ბოდ- 19
- \*ბოტ-20
- \*ბრძ1- 20
- \*ბუდ-2 0
- \*ბუჩ-20
- \*გლეჯ-/გლიჯ 20-21
- \*გოზ-21
- \*დგ- 21
- \*დეგ- 21-22
- \*დუნდგ-ო-21
- \*-ელ-ა- 22
- \*თათ-22
- \*-იკ- 23
- \*-იკ-ა- 23
- \*-იტ-ა 23
- \*კარჭად-23
- \*კუ-ილ 24
- \*კუტ- 24
- \*კუტხ- 23
- \*კუინჩ-

- \*ლაგაზ-24
- \*ლად-24
- \*ლარ- 24
- \*ლორწ- 25
- \*ლოხ-25
- \*მოდ- 25
- \*მორ- 25
- \*პუ-ილ-
- \*რემ-26
- \*როტ- 26
- \*რუმ- 26
- \***(ს)**ა-დგ-ის1-
- \*სპერ-/სპირ- 27
- \*სხ-27
- \*ტკუენ-/ტკუინ- 27
- \*ტკრეც-/ტკრიც- 27
- \*ტუს-27
- \*ტყეპ-/ტყიპ- 28
- \*ტყრუმ- 28
- \*ტყუემ-/ტყუიემ-28
- \*ტყუესგ-ა 28
- \*-ულ-ა 29
- \*-უმ//უმ-ა29
- \*-უხ 29
- \*ფშუენ-29
- \*ქაშ-29
- \*ქემ-30
- \*ქეზ-/ქიზ-30
- \*ქიც-ქიც-30
- \*ქიშ- 30

\*ქობ-//ქუბ-31  
 \*ღაუ-31  
 \*ყუაუ- 31  
 \*შლეგ-/შლიგ-31  
 \*ცქუებ-/ცქუიბ-32  
 \*ცქუიბ-იბ-32  
 \*ცქურ – 32  
 \*წად- 120-121  
 \*წეუკ- 32  
 \*წიდ-32  
 \*ჭეჭკ-32  
 \*ჭიკ-32  
 \*ჭიხვიბ- 33  
 \*ჭყეპ-/ჭყიპ- 33  
 \*ხორხ-33  
 \*ხუბ-33  
 \*ვენ-33  
 \*ჯარ- 34  
 \*ჯეკ-19,34  
 \*ჯეჭკ-34  
 \*ჟეძი- (ს.იბერ.-კავკ.) 9  
 კ<sup>w</sup>i-(ს.იბერ.-კავკ.) 14  
 კ<sup>w</sup>a- 14  
  
 აბაზური:  
 ara-c<sup>w</sup>a 15  
  
 ადიღური:  
 \*c<sup>w</sup>a- 13

ჭ<sup>w</sup> 13  
 ჭ<sup>w</sup>a- 13  
 ჭ<sup>w</sup>a-miჭi 13

ანდიური:  
 b-i[ku]-du 13

აფხაზური:  
 ად-ც>ეფ-ც 55  
 ა-ც 55  
 ა-ცა 55  
 ა-ცახა 55  
 –ა-აც(ზაა)რა 55  
 a-m-ca 15  
 a-ra-c<sup>w</sup>a 12,15  
 c<sup>w</sup>a-(ს.აფხ.-აბაზ.) 12,14  
 ს-ღე-ც-უბ 55

ალღური:  
 u[g]-as 14

ბაცბური:  
 d-a[k]-ar 13

ბეჟიტური:  
 j-e[k]-al 13

ბუდუხური:

su[გა]-ჴi 14

დარგული:

u-[χ]-es 14

დიდოური:

r-i-k<sup>wa</sup> 13

თაბასანარული:

u-b-[gu]b 14

ონგუშური:

d-a[გ]a 14

კარატაული:

re-[k<sup>wa</sup>]-ლა 13

კრიწული:

u[გა]-ჴu 14

ლეზგიური:

[k:] -un 14

რუთულური:

w-ur[x<sup>w</sup>]-as 14

უბიხური:

č<sup>w</sup> 15

ca- 15

č<sup>wa</sup> 14

ca-ni 14-15

g'a(-n-)č<sup>wa</sup> 13,15

უდიური:

bo-[k]-sun 13

ფესუნ 49

ყაბარდოული:

\*č<sup>w</sup>a- 13

.fa- 13

.fa-miš < \*š<sup>wa</sup>-miš 13

\*š<sup>wa</sup>- 13

ჩერქეზული:

ჩ<sup>აჴ</sup> >ჩ<sup>აჴ</sup> 96

\*č<sup>w</sup>a- < \*č<sup>w</sup>i- (ს.ჩერქ.) 13

\*č<sup>w</sup> (ს.ჩერქ.) 13

ჭამალალური:

b-i[k<sup>w</sup>]-na > b-i[ku]-na 13



**ხუნძური:**

re-[ki]-ne 13

**ხინალღური:**

r-e-ḵ<sup>w</sup>a 13

**ხუნზიბური:**

r-e[k]-a 13

**ბერძნული:**

ἄριον 18

ἄριον 18

**თურქული:**

ვიჯეალი 3

ჩამღიხემშინი 3

Aşağı Çamlıca 3

Aşağı Vice 3

Çamlıhemşin 3

Çamlıhemşin ilçesi 3

Düzköy 6

pına 5

Vicealtı 3-4

Vicedibi 3-4

Vice-i süfla 3-4

Vice-i ulya 3-4

Yukarı Çamlıca 3

Yukarı Vice 3

**ლათინური:**

ago 49

**რუსული:**

темень 27

темница 27

**სომხური:**

թարթ 22

## სარჩევი - CONTENTS

<b>ბაკურ გოგოხია (უზბედი)</b>	
ლაზეთის ქალაქ ვიჯას სახელისთვის.....	3
<b>Bakur Gogokhia- About the name of Vija town in Lazeti .....</b>	<b>10</b>
<b>რაფოელავ კანარკოვსკი - (ვილონეთი, კრაკოვი)-</b>	
<b>სართო იბერიულ-კავკასიური ლექსიკონი: ქართ. „ნაცარი“</b>	
<b>და ავს. a-rac“a „ნახშირი“ - ეტიმოლოგური</b>	
<b>უპირისპირებისათვის.....</b>	<b>11</b>
<b>Radoslav Kanarkovski (Poland, Cracow)-From common Ibero-</b>	
<b>Caucasian vocabulary: On etymological relationship between</b>	
<b>Georg. nacari „ash“ and Abkh. a-rac“a „coal“ .....</b>	<b>16</b>
<b>ლევან კელაურაძე - დამატებანი ქართულურ</b>	
<b>ენათა ეტიმოლოგური ლექსიკონისათვის - II .....</b>	<b>17</b>
<b>Levan Kelauradze- Addenda to Etymological Dictionary of</b>	
<b>Kartvelian Languages - II. ....</b>	<b>38</b>
<b>მანანა კობაიძე - აღქმის სხვადასხვა მოღალტვის</b>	
<b>გამომხატველი ხ- ძირის უმცველი ზოგი უუქმ</b>	
<b>ქართულში .....</b>	<b>38</b>
<b>Manana Kobaidze - Some stems expressing different perception</b>	
<b>modalities and their shared root kh- in Georgian .....</b>	<b>54</b>
<b>ნანა მაჭავარიანი - ზმნის სათანაო კატეგორიის</b>	
<b>წარმოების კვალი ქართულში.....</b>	<b>55</b>
<b>Nana Machavariani - Trace of formation of the verb’s</b>	
<b>category of accompaniment in Georgian .....</b>	<b>57</b>
<b>მედეა საღლიანი - სივრცული ლოკალიზაციისათვის</b>	
<b>სვანურში I. აღამინთა, ცხოველთა, ფრინველთა, მშრთა და</b>	
<b>ქვეარაგვართა მდებარეობის აღმნიშვნელი .....</b>	<b>58</b>
<b>Medea Sagliani - On the spatial localization in Svan I. Spatial</b>	
<b>localization in the verbs denoting location of animals, birds, insects</b>	
<b>and reptiles and its interaction with predicates derived from the verb</b>	
<b>“be“ .....</b>	<b>93</b>
<b>მურმან სუხიშვილი - ერთი სვანური ნახსენება რაჭულში ...</b>	<b>94</b>
<b>Murman Sukhishvili - On a Svan Borrowing in Rachan.....</b>	<b>99</b>

<b>მედეა ღლონტი - ქართული სიტყვის საღვთისმეტყველო ასპექტები (ქართ. ზოგი და საზოგადოება; მოყვასი, მეგობარი და ამხანაგი; თანანადები და თანამდები) .....</b>	100
<b>Medea Glonti -Theological aspects of the Georgian Word .....</b>	118
<b>ეთერ შენგელია - მეგრული ხეც- (ხეც-ა) და ლაზური ოფუდე ფუძეთა ეტიმოლოგიისათვის .....</b>	119
<b>ETER SHENGELIA - Towars Ethymology of Megrelian xec-a and Laz oçude .....</b>	122